საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №27 (2727) სამშაბათი, 3 თებერვალი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

## „აფხაზეთის პრობლემა, აფხაზეთის კონფლიქტი ამა თუ იმ ხერხით, ამა თუ იმ საშუალებით, ამა თუ იმ ძალთა ჩარევით, ამა თუ იმ კომპრომისით აუცილებლად გადაწყდება და მოწესრიგდება ორი ხალხის — ქართველთა და აფხაზთა საკეთილდღეოდ ისევე, როგორც ქართულ-ოსური კონფლიქტი“

### საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2 თებერვლის რადიოინტერვიუ

— თქვენი იუბილესადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პრინციპში, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ჩაიარა. ერთი რადიოინტერვიუ, ასე ვთქვათ, ამ მიზეზის გამო გაცდა. მას შემდეგ, დღეს პირველი ინტერვიუა. რაიმეს ხომ არ დაამატებდით იმას, რაც ტელეეკრანიდან ბრძანეთ. სხვათა შორის, უამრავი მილოცვა იყო, ნაწილი გამოვიყენეთ, ნაწილი — ვერა, იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, — ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

იხ. მე - 2 გვ.

#### მორიგე რედაქტორი

### მოვიშვიშენი მოგიმრავლდნენ, ადამიანო!



ძვირფასო მკითხველო, თუ შენ ამ ნომერში ვესლსა და ლაფს დაუწყებ ძებნას, ამაოდ დაშვრები. სამისოდ არ გაერჯილვართ, რადგან ვფიქრობთ, ციცაბოზე მდგომისთვის ხელის კვრას ჰგავს სასოწარკვეთილი ადამიანებისთვის გამუდმებით ავის კიჟინა. არადა, კეთილიც რომ საკმარისად თვალშისაცემია ირგვლივ? ისეთი, ზნეობრივად რომ აგვამაღლებს და სულს გაგვინათებს?

თუ ჩვენი მიზანი ბედნიერებაა, ბედნიერება რაღაა მაშინ? იქნებ, მიზნის სწორი არჩევანი? მერედა, მე დალოცვილო, მხოლოდ ნაკლის დანახვა და გამუდმებულად ჭირისუფლის როლი მიზნად რატომღა აგირჩევია? დავიჯერო, კეთილ სიტყვაზე მეტად მწარე გვანუგეშებს და საქმეს წინ წასწევს?

ბრძენს უთქვამს: არა მხოლოდ უზომო ქება, გადამეტებული სამძიმარიც მლიქვნელობააო.

ვაი, რომ მოვიშვიშენი მოგმრავლებია, ადამიანო! ამიტომაც, რედაქციამ ამ ნომრისათვის სწორედ ისეთი წერილები შეარჩია, რომლებიც ადამიანის მაღალ სულზე, რწმენასა და შესაძლებლობებზე მოგვითხრობენ. წაიკითხავ და ძალას შეგმატებს (რა თქმა უნდა, თუ ეს გსურს) იმის გაგება, რომ, თურმე შენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებმაც იციან: სიმდიდრისა და სიღარიბის, წარმატებისა და წარუმატებლობის მონაცვლეობა ცხოვრების ულმობელი კანონია. ამიტომაც პანიკას კი არ მისცემიან, რწმენის თილისმას ჩასჭიდებიან და შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოუყენებიათ. წაიკითხეთ და დარწმუნდებით, თუ ზოგისთვის გაჭირვება სასოწარკვეთის საბაბია, ზოგისთვის მისწრაფებაა – აჯობოს სიდუხჭირეს...

და როცა იცი, ამგვარნი მრავლად არიან, რომ იმ ქვითკირში, რომლითაც ძნელად, მაგრამ მაინც ვაშენებთ სახელმწიფოს, მათი ოფლიც ურევია, უბრალოდ, სამარცხვინოა, კმაყოფილებით ზილო ტალახი, მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვის თქმა ასე გემარჯვება და ასე გიჯობს.

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

#### პარლამენტი

### პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალური მოვლენა

გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს 3-6 თებერვლის პლენარული სხდომის დღის წესრიგი.

დღეს 3 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში გააკეთებს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რაც უდაოდ სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალური მოვლენაა. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის ბიურომ იმსჯელა რიგ პროცედურულ საკითხებზე.

თავად პლენარული სხდომის დღის წესრიგით ნავარაუდევია 25-მდე საკითხის განხილვა, რაც შეეხება მთლიანად საგაზაფხულო სესიას, კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი 115-ზე მეტ კანონპროექტსა და კოდექსის პროექტს განიხილავს, რაც თავისთავად უაღრესად დაძაბულ და ინტენსიურ მუშაობას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, ბიუროს სხდომაზე განიხილეს პარლამენტის წევრთა მოსაზრებები ზოგიერთი კანონპროექტის დამატების თაობაზე. კერძოდ, პარლამენტარ ელენე თევდორაძის შუამდგომლობით, სესიის სამუშაო გეგმაში შეტანილია „სასჯელის აღსრულების კოდექსი“, რომლის არარსებობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის სისტემაში და ბუნებრივია, ყოველივე ამის უკან კონკრეტული ადამიანების ბედი დგას.

პარლამენტის ბიურომ განიხილა პარლამენტის წევრთა და ორგანიზაციათა ცალკეული განცხადებები და ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის თავმჯდომარემ შესაბამისი განკარგულებები გასცა.

დღეს, 3 თებერვალს, დილის 10 საათზე მუშაობას დაიწყებს საქართველოს პარლამენტის 1998 წლის საგაზაფხულო სესიის 3-6 თებერვლის პლენარული სხდომა.

* * *

საგაზაფხულო სესიის პირველ სამუშაო კვირას, საპარლამენტო უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დატვირთული შეხვდა. სხდომაზე, დეპუტატებმა განიხილეს და პლენარულ სხდომაზე წარსადგენად მოამზადეს თერამეტამდე საკითხი.

#### დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 29 იანვარი — ქ. თბილისი

#### კ. კოპაძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს მწერალთა კავშირის განძეულობის შენარჩუნების, დაცვისა და შენახვის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის განძეულის მცველი კარლო კოპაძე დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტი მწუხარებას გამოთქვამს

რამდენიმე ხნის წინათ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეჩაიე ცაცა ქარდავა. გასაგებ მიზეზთა გამო, ამ ინფორმაციამ თბილისში დაგვიანებით მოაღწია.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ღრმა მწუხარება გამოთქვა შესანიშნავი ადამიანისა და ლვაწლმოსილი მოქალაქის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

#### ღირსეული

### რჩეულთა ხვედრი



შვიდი წლის ბიჭი ავად გახდა. ლოგინში ძლივს აჩერებდნენ. ერთხელ დედას მის საწოლთან გაზეთი დარჩა. ყმაწვილმა გადაათვალიერა. მისი ყურადღება იქ დაბეჭდილმა სურათებმა მიიპყრო. მაშინვე ფურცლები და ფანქარი მოითხოვა. მალე ყველას გასაოცრად იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მთელი პოლიტბიურო გადმოხატა. მას შემდეგ მეშვიდე ათეული წელია, შვიდფერა მუზის ტყვეობაშია და იმის მიუხედავად, რომ თბილისსა და მოსკოვში ხუთი პერსონალური გამოფენა მოაწყო, ნიკო ფიროსმანის პრემიის ლაურეატია, ხოლო მისი სახლი მშვენიერ გამოფენას ჰგავს, სადაც „წარმოდგენილია“ ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ლითონზე და ხეზე კვეთა, მეგობრული შარჟები — იგი პროფესიით მხატვარი კი არა, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და დასტაქარია.

იხ. მე - 3 გვ.

#### პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა

### სწრაფი ტემპით და ხარისხიანად წარიმართება



ფოთის ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოდერნიზაციის ცალკეული პროექტები განიხილეს 2 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ შეხვედრაზე ამერიკული კომპანია „სი-ლენდის“ წარმომადგენლებმა, კომპანიის უფროსი ვიცე-პრეზიდენტის ელ ოლდრიჯის ხელმძღვანელობით.

„სი-ლენდთან“ თანამშრომლობას საფუძველი მარშან, ზაფხულში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს ჩაეყარა. მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს ფოთის ნავსადგურში საკონტეინერო ტერმინალების განვითარების სხვადასხვა პროექტებს. ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელობის ახლანდელი სტუმრობისას შემუშავდა პროექტის რეალიზაციის სხვადასხვა მიმართულება, რომლებიც, ამერიკელი ბიზნესმენების განცხადებით, ფოთის ნავსადგურში საერთაშორისო სტანდარტების უმაღლეს მომსახურებას ჩამოაყალიბებს. ელ ოლდრიჯმა საქართველოს პრეზიდენტს გააცნო ამ პროექტის ცალკეული ასპექტები და ხაზგასმით აღნიშნა „სი-ლენდის“ მზადყოფნა როგორც საქართველოში, ასევე კავკასიის რეგიონში ხანგრძლივი და ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ფოთის ნავსადგურს დღითიდღე საკვანძო როლი ენიჭება ევრაზიის დერეფნის ამოქმედების კონტექსტში, ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ უცხოელი ინვესტორების აქტიური მონაწილეობით მისი ინფრასტრუქტურის განვითარება სწრაფი ტემპით და ხარისხიანად წარიმართება.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

#### გვწერენ

### ხომ არ სჯობს...

#### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას

**ბატონო ზურაბ!**

მოგეხსენებათ, ქვემო ქართლის მხარე საქართველოს ის რეგიონია, სადაც განსაკუთრებით იგრძნობა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მაჯისცემა. არავისათვის არ არის ძნელი წარმოსადგენი თუ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მრავალეროვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. არადა, ბოლო ხანს ზოგიერთი საპარლამენტო ფრაქციისა თუ ცალკეულ მაჟორიტარ დეპუტატთა ქმედება მიმართულია იქით, რათა ქვემო ქართლიც საქართველოს ერთ-ერთ ცხელ წერტილად გადაიქცეს. საგულისხმოა, რომ ისინი თავიანთ ქმედებაზე პასუხისმგებლობას რატომღაც მხარის რწმუნებულს აკისრებენ.

მარნეულის რაიონის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რაიონის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა, ამ ბოლო დროს რაიონში მომხდარ ფაქტს აფასებენ როგორც რაიონის მოსახლეობის სიმშვიდის ხელყოფას. მით უფრო დაუშვებელია ის, რომ რაიონში ასეთი ანტისახელმწიფოებრივი აქციების ორგანიზატორებად გვევლინება მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც თვით უნდა იყოს გარანტი მთელი რაიონის თითოეული ამომრჩევლის სიმშვიდისა და კეთილდღეობის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია სათანადო კანონში შეტანილ იქნეს დამატება, ან მიღებული იქნეს ახალი კანონი მაჟორიტარი დეპუტატის ვადამდე გაწვევის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში რაიონის მოსახლეობა გამოიყენებს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას და მოაგროვებს 30 ათასიან ხელმოწერას, რათა შემოვიდეთ საკანონმდებლო ინიციატივით.

ულრმესი პატივისცემით:

**რაფიკ ჰაჯიევი,**
სახალხო მოძრაობა „გეირათის“ თავმჯდომარე,
**ვანო ციხელაშვილი,**
სმკ-ის რაიორგანიზაციის თავმჯდომარე,
**ჰამილ მამედოვი,**
სმკ-ის უხუცესების საზოგადოების თავმჯდომარე,
**ოსმან ახმედოღლი,**
აშუღთა საზოგადოების თავმჯდომარე,
**ნუგზარ არჯევანიძე,**
ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე,
**იუსიფ იუსიფოვი,**
აღსაკალთა საბჭოს თავმჯდომარე,
**ვიდადი მუსტაფაევი,**
ავღანელთა კავშირის პარტია.

#### სასამართლო

### ასეთი ჩვენება პროკურორებს აოცებთ...

არ დავმალავ: — სასამართლო პროცესის პირველ ეტაპზე, როცა ზღვასავით მოასკდა შუამდგომლობები განსასჯელთა აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ, და ყველას ნელ-ნელა უარი ეთქვა, — კაცურად დამწყდა გული მამუკა ოშხერელზე. ასე თუ ისე, გალიაში მჯდომთა შორის, ყველაზე ნაკლები დანაშაული მას მიუძღვის. ყოველ შემთხვევაში, — რაც უკვე „ზის“, საკმარისია მოსანანიებლად, თუნდაც თავდებით, გირაოთი, ხელწერილით და კიდევ სხვა ამგვარი წინაპირობით, გისოსებიდან გამოსახსნელად. ახლა მას მიკროინფარქტიც ჩამოუყალიბდა და ამიტომაც ურიგოდ გაუშვეს ჩვენების მისაცემად...

იხ. მე - 8 გვ.

#### ულოცავენ

### მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო,

მთელი ევროკომისიის სახელით მინდა გადმოგცეთ ჩვენი გულთბილი მილოცვა თქვენს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ევროგაერთიანების ურთიერთობები საქართველოსთან მჭიდრო და ნაყოფიერ თანამშრომლობაში გადაიზარდა, რაც მრავალწილად ამ საქმეში თქვენი პირადი წვლილითაა განპირობებული.

რაც შეეხება ჩვენი ურთიერთობის პირად ასპექტს, მე დიდად ვაფასებ თქვენთან შეხვედრის და სხვადასხვა საკითხების ირგვლივ მსჯელობის ნებისმიერ შესაძლებლობას. მსოფლიო და რეგიონალურ მოვლენათა თქვენი ცოდნა, რომელშიც მეტოქეობას ვერავინ გაგიწევთ, ულრმეს პატივისცემას იმსახურებს.

იმედი მაქვს, მალე ვეწვევი თქვენს ქვეყანას, ამჯერად მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბედნიერი დაბადების დღე და დღეგრძელობა გისურვოთ.

**ჰანს ვან დენ ბროკი,**
ევროკომისიის წევრი.
1998 წლის 22 იანვარი.

#### ინფორმაცია

### ხელმოწერილია წინასწარი ხელშეკრულება

საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტს წიაღისეულის სახეობათა ჯგუფების მიხედვით ამ ეტაპზე მომზადებული აქვს 27 ფართომასშტაბური და 72 ლოკალური საინვესტიციო წინადადება. უკვე ხელმოწერილია წინასწარი ხელშეკრულება გერმანიასთან (ტერმესის ჯგუფი) პროგრამის – ფერადი მეტალურგია და ოქროს ინვესტირების თაობაზე.

### გაზაფხული კარს მოგვადგა

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყანაში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება მიმდინარეობს. ამ გაზაფხულზე, ქვეყნის ყველა კატეგორიის მეურნეობებში, მოსახნავ-დასათესია 530.000 ჰექტარი ფართობი.

უკვე მოხნულია 130.000 ჰექტარი, რაც გასული წლის მაჩვენებელს 10.000 ჰექტარით აღემატება.

საგაზაფხულო თესვისათვის უკვე გამოყოფილი და შემოწმებულია 20.000 ცენტნერი პარკოსანი და 255.000 ცენტნერი სიმინდის თესლი. სამინისტროს შეფასებით, შარშან წარმოებული 360.000 ტონა კარტოფილი და 470.000 ტონა ბოსტნეული იმის გარანტიას იძლევა, რომ მათი თესლის შემოტანა უცხოეთიდან საჭირო აღარ იქნება.

### შარშანდელს ვაჯობეთ, მაგრამ...

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, რომ იანვარში საქართველოს საგადასახადო სამსახურმა შეძლო 17 მილიონი ლარის გადასახადების მოზიდვა ბიუჯეტში, ხოლო საბაჟო სამსახურმა – 14 მილიონი ლარის. ეს მაჩვენებლები აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1997 წლის იანვარში საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზება უმდაბლეს დონეზე იყო და ბიუჯეტი ვერ შესრულდა.

### პლასტიკური ბარათები მოდაში შემოდის

„დღეისათვის საქართველოს ბანკის ემიტირებული ოპერაციების რაოდენობა 1.500 ლარს შეადგენს (საერთო ბრუნვით 500 000 ლარს)“, – განაცხადა პლასტიკური ბარათებით მომსახურების უფროსმა გუგა ბიბილურმა.

გასული წლის ბოლოსათვის ქსელში ჩაერთო გაერთიანებული ქართული ბანკი და საფოსტო ბანკი, რომლებიც ასევე გახდნენ ჯორჯიან კარდის ემიტენტი ბანკები. თუ ივნისში ბანკმა გასცა 91 ბარათი და გააფორმა ხელშეკრულება 50 ორგანიზაციასთან, ივლისში ეს ციფრი გაიზარდა და 100-ს გადააჭარბა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა და ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

#### იპარავენ

### ხელი „თელასმაც“ გამოიღო

მუნიციპალურმა საწარმო „თელასმა“ ახალი წლიდან მეტად აქტიური ბრძოლა გამოუცხადა ელექტროენერგიის დამტაცებლებს. ამ საქმეში მას დიდად დაეხმარა ახალი კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელმაც მკვეთრად განსაზღვრა ელექტროენერგიის როგორც მოხმარების წესები, ისე აქედან გამომდინარე დარღვევები და სადამსჯელო ღონისძიებები.

იხ. მე - 8 გვ.

#### უკანასკნელ საათს

*ნიუ-იორკი.* აქ გამოქვეყნდა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური მოხსენება მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარგში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში, კერძოდ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საგანგებოდ არის გამოყოფილი საქართველო, სადაც, ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში არსებული პრობლემების მიუხედავად, აშკარად შეიმჩნევა, რომ „ქვეყნის მოქალაქეთა შორის გაიზარდა დემოკრატიულ ღირებულებათა გაცნობიერების დონე“. საქართველოს პარლამენტის უფრო აქტიურ პოზიციასთან ერთად, ნათქვამია მოხსენებაში, ეს გვინერგავს იმედს, რომ შეექმნება „დაბრკოლება სამართალდამცველი ორგანოების მუშაკთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებას“. მოხსენებაში ამასთან აღნიშნულია, რომ კვლავ უარესდება მდგომარეობა ბელორუსიაში და ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც „საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები კვლავ ყოვლისშემძლე პრეზიდენტებს ემორჩილებიან, ძირითადი თავისუფლება კი შეზღუდულია“, – ნათქვამია დასასრულ იტარ-ტასის 2 თებერვლის ცნობაში.

*ელ-ქუვეითი.* „ქუვეითი 100 პროცენტით იზიარებს აშშ პოზიციას ერაყის მიმართ“, – ითქვა ქუვეითის ამირასა და აშშ სახელმწიფო მდივნის შეხვედრაზე. ერაყის მუქარას „საკადრისი პასუხი გაეცემა“, – განაცხადა მადლენ ოლბრაიტმა.

## გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველდღიურად გამოდის და ერთი თვით ღირს 11,25 ლარი — დედაქალაქში, 13,65 ლარი — ქალაქგარეთ; სამი თვით — 33,75 ლარი დედაქალაქში, 40,95 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით — 67,5 ლარი დედაქალაქში, 81,90 ლარი ქალაქგარეთ (შპს „საქპრესის“ და ს/ს „მაცნეს“ მომსახურების ღირებულების ჩათვლით).

ვინც უშუალოდ გაზეთის გამომცემელ შპს „პრესასთან“ პირდაპირი ხელშეკრულებით მოისურვებს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერას, მას ბევრად იაფი დაუჯდება — ერთი თვით 9 ლარი დედაქალაქში, 10,5 ლარი ქალაქგარეთ; სამი თვით 27 ლარი დედაქალაქში, 31,5 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით 54 ლარი დედაქალაქში, 63 ლარი ქალაქგარეთ. დაგვიკავშირდით: კოსტავას ქ. №14, ტელ: 93-26-99.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“!

# „აფხაზეთის პრობლემა, აფხაზეთის კონფლიქტი ამა თუ იმ ხერხით, ამა თუ იმ საშუალებით, ამა თუ იმ ძალთა ჩარევით, ამა თუ იმ კომპრომისით აუცილებლად გადაწყდება და მოწესრიგდება ორი ხალხის — ქართველთა და აფხაზთა საკეთილდღეოდ ისევე, როგორც ქართულ-ოსური კონფლიქტი"

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

— მოლოცვები ამჟამადაც გრძელდება. სამწუხაროდ, ჩემს უფლებამოსილებას აღემატება ამ პროცესის აკრძალვა ან შეზღუდვა. ვგულისხმობ მოლოცვებს, უამრავ წერილს, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და, რა თქმა უნდა, უპირველესად, საქართველოს რაიონებიდან, სოფლებიდან, ქალაქებიდან ვიღებ.

რაც ყველაზე მეტად მახარებს, უცხოეთიდან მიღებულ წერილებში გამოხატულია სიყვარული და პატივისცემა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნებისადმი, არამედ იმ ქვეყნის მიმართაც, სადაც ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ ამჟერად. მე უკვე ვთქვი: საიუბილეო ღონისძიებები რომ გამომეცხადებინა (ვგულისხმობ სპეციალურ შეკრებებს, თუ სხვას), საქართველოში ბევრი ჩამოვიდოდა — როგორც ჩემი, ასევე ჩემი ქვეყნის მეგობრები. მაგრამ ჩავთვალე, რომ ეს ზედმეტი იქნებოდა დღევანდელ პირობებში.

მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა უნიკალური სოლიდარობა გამოგვიცხადა — რამდენიმე საათით სპეციალურად ჩამოფრინდა, რათა პირადად მოელოცა ჩემთვის. ეს უდავოდ ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ კავკასიელ ხალხთა, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის ძმობას ალტერნატივა არ გააჩნია.

დიდად ვაფასებ პრეზიდენტ ელცინის მიერ გამოჩენილ ყურადღებას — მან სპეციალური წარმომადგენლები გამოგზავნა მოლოცვათა გადმოსაცემად.

როცა დამთავრდება, შენელდება მოლოცვების ეს ტალღა, ვალდებული ვიქნები შეძლებისდაგვარად გავცე პასუხი ყველას, ხოლო სახელმწიფოთა მეთაურებს, მთავრობათა ხელმძღვანელებს, გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს პერსონალურადაც ვუპასუხებ.

რა თქმა უნდა, მინდა გამოვიყენო დღევანდელი დღეც, ვისარგებლო ამ შემთხვევით და საქართველოს მოქალაქეებს, იმათ, ვინც საჭიროდ ჩათვალა რაღაცნაირად, ამა თუ იმ ფორმით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება, უღიდეს მადლობას მოვახსენებ.

დღეს მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ამჟამად უკვე ვფიქრობ, არა იმდენად განვლილ გზაზე, ან (როგორც ბევრ წერილშია აღნიშნული) მსოფლიოს დემოკრატიულ გარდაქმნებში შეტანილ წვლილზე, რამდენადაც იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს დღეს, ხვალ საქართველოს საკეთილდღეოდ, ჩვენი ქვეყნის გაძლიერებისა და გამთლიანებისათვის — სიმართლის, სამართლიანობის გასამარჯვებლად.

აი, ამით შემოვფარგლავ ჩემს კომენტარს ამ საკითხზე.

**— ამ ორი კვირის განმავლობაში მთავრობის ორი სხდომა გაიმართა. აქედან ერთი — გაფართოებული შემადგენლობით, რომელზეც შეჯამდა 1997 წელს ეკონომიკის განვითარების შედეგები. სხვათა შორის, ამ მხრივ საინტერესოა ერთი მომენტიც — ახლა მიმდინარეობს დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, რომელზეც ძალიან საინტერესო რამ ითქვა და, რაც მთავარია, საიმედო საქართველოს სატრანზიტო ფუნქციასთან დაკავშირებით. ეს ჩვენი ძირითადი პრიორიტეტია...**

— მთავრობის გაფართოებულ სხდომებზე კომპლექსურად შევისწავლეთ და შევაჯამეთ 1997 წელს ეკონომიკაში მიღწეული, მთლიანობაში არცთუ ურიგო შედეგი. სამშაბათს, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველსავე სხდომაზე დაგეგმილია ჩემი პოლიტიკური მოხსენება „ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ". რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იქნება ეკონომიკური მიმოხილვაც, ქვეყანაში წესრიგის მდგომარეობა და ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც დაწვრილებით იქნება ასახული. ამდენად, იქნებ სჯობდეს, დღეს ამ პრობლემებს დეტალურად არ შევეხოთ. რაც შეეხება დავოსის ფორუმს, მიუხედავად მრავალრიცხოვანი მოწვევისა, მათ შორის, ფრიად პატივცემული, მსოფლიოში ცნობილი მოღვაწეებისაგან, სამწუხაროდ, ვერც ამჯერად შევძელი ამ ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, თუმცა, სათქმელი მართლაც ძალიან ბევრია, და ბევრის მიღებაც შეიძლება ამ ფორუმისგან.

ამჯერად საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა იკისრა ეს მოვალეობა და, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ წარმატებითაც მიმდინარეობს მისი მუშაობა დავოსში. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პრობლემატიკა ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ფორუმის მონაწილეებს. მინდა განსაკუთრებით გამოვყო ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის გამოსვლა. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ მისი შეფასებანი და პროგნოზები, განსაკუთრებით ევრაზიის დერეფნის თუ ნავთობისა და სხვა ნედლეულის ტრანსპორტირების თაობაზე, თითქმის დეტალებამდეც კი ემთხვევა ჩვენს შეხედულებებს. აშკარად ვიგრძენი, რომ დავოსში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ის იდეები, რომლებიც არაერთგზის გამოგვითქვამს პატივცემულ კოლეგებთან — ყაზახეთის, უზბეკეთის, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთისა და სხვა სახელმწიფოთა პრეზიდენტებთან საუბრისას. დავოსის ფორუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროპისა და ამერიკის ინტელექტუალურ ცენტრებში მიმდინარეობს ახალი მსოფლიოს შესატყვისი ეკონომიკური მოდელის დამუშავება, რომელსაც საფუძვლად დაედება თანასწორობის, თანამშრომლობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპები. მოხარული ვარ, რომ ამ ურთულეს პროცესში ჩვენი ქვეყნის ხმაც ისმის. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ, თუ რომელიმე ქვეყანა არ დავასახელე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დაინტერესებული არ არიან ამ დერეფნის განვითარებით. ჩემი აზრით, მაგალითად, დერეფანში თავის განსაკუთრებულ ადგილს აუცილებლად იპოვის სომხეთი. თუ ჯერჯერობით არ მიმდინარეობს აქტიური დიალოგი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში ჩვენი მოძმე ქვეყანა, ასე ვთქვათ, ამ სიკეთით არ ისარგებლებს. ასევე არაერთხელ მითქვამს, რომ ეს რუსეთისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შემთხვევაში, მას გიგანტური საშუალებანი გამოუჩნდება (რუსეთსაც და ჩვენც, რა თქმა უნდა) იმისათვის, რომ ჩრდილოეთიდან დაიწყოს დიდი ტვირთზიდვა, დაიძრას მგზავრთა ნაკადები სამხრეთისაკენ, და არა მარტო სამხრეთ კავკასიისაკენ, არამედ, აგრეთვე, თურქეთისაკენ, ახლო და შუა აღმოსავლეთისაკენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

აი, ასეთი ფიქრებით, და ასე ვთქვათ, დასკვნებით დავამთავრებდი, საუბარს დავოსთან დაკავშირებით.

*— გასულ კვირას, როგორც ყოველთვის, კვლავ დღის წესრიგში იდგა აფხაზეთის პრობლემა, კერძოდ, სამშვიდობო ოპერაციის განვითარების საკითხი. თანამეგობრობის სამიტამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. ეს სამიტი მარტში გაიმართება. ამასობაში კი მზადდება რუსეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტი საქართველოში. ახლახანს აქ იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ეგორ სტროევი. პრინციპში, ამ თემაზე რუსეთ-საქართველოს დიალოგი, შეიძლება ითქვას, როგორც ყოველთვის, დღესაც აქტიურად მიმდინარეობს, რამდენად შედეგიანად — ეს სხვა საკითხია. გაეროს უშიშროების საბჭოზე ამასობაში მიიღეს მორიგი რეზოლუცია, რომლითაც მანდატი გაუგრძელდა აფხაზეთში მყოფ გაეროს სამხედრო მეთვალყურეებს...*

— ყველა ამ საკითხს პარლამენტის წინაშე ხვალინდელ გამოსვლაში უფრო კონკრეტულად შევეხები, თუმცა ყველა კითხვას პასუხს, ალბათ, ხვალაც ვერ გავცემ. უმთავრესი ყურადღება, რა თქმა უნდა, აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი და სამართლიანი გადაწყვეტის პერსპექტივებს დაეთმობა. ეს კვლავინდებურად ჩვენი უდიდესი საზრუნავი და საფიქრალია. ერთი რამ სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას: ამას ჩვენ არ მოვეშვებით! აფხაზეთის პრობლემა, აფხაზეთის კონფლიქტი ამა თუ იმ ხერხით, ამა თუ იმ საშუალებით, ამა თუ იმ ძალთა ჩარევით, ამა თუ იმ კომპრომისით აუცილებლად გადაწყდება და მოწესრიგდება ორივე ხალხის — ქართველთა და აფხაზთა საკეთილდღეოდ ისევე, როგორც ქართულ-ოსური კონფლიქტი.

რაც შეეხება ბატონ სტროევის ვიზიტს, იგი საკმაოდ სასარგებლო აღმოჩნდა. ეს აღნიშნა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ხელმძღვანელობამ. ასევე სასარგებლო იყო შეხვედრები ვიცე-პრემიერთან სეროვთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამდივნოს უფროსთან ივანე კოროტჩენიასთან, რომელიც ამჟამად მომავალი სამიტის დღის წესრიგს აზუსტებს თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ლიდერთა აზრის გათვალისწინებით.

ერთი სიტყვით, მუშაობა რუსეთთან გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება. ეს ბუნებრივიც არის — რუსეთი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

*— კიდევ ერთი ასეთი კითხვა: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ყოველწლიური მოხსენება მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. იგი შეიცავს საკმაოდ საინტერესო მონაცემებს: ავტორიტარული რეჟიმების მაგალითად დასახელებულია ჩინეთი, ნიგერია, კუბა, ჩრდილოეთ კორეა, ლიბია, სირია, ერაყი. არის ასეთი მონაცემი: ადამიანის უფლებათა საკითხი რთულია იმ ქვეყნებში, სადაც კონფლიქტებია, და ჩამოთვლილია რუანდა, ბურუნდი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ალჟირი, სუდანი, ავღანეთი, კოლუმბია.*

*გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებში აღინიშნება პროგრესისა და რეგრესის შერეული სურათი, ნათქვამია იქ. შექებულია რუმინეთი და ბულგარეთი, სადაც, დაბრკოლებათა მიუხედავად, მკვიდრდება მართვის დემოკრატიული ფორმა. დადებითად არის შეფასებული ალბანეთი, ლიბერია და ბოსნია. ძალიან მწვავედ არის გაკრიტიკებული თურქეთი.*

*ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მოხსენებაში გამოყოფილია საქართველო, სადაც მიუხედავად იმისა, რომ, ნათქვამია მოხსენებაში, არსებობს პრობლემები ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მაინც აღინიშნება მოქალაქეთა მიერ დემოკრატიულ ღირებულებათა შემეცნების ზრდა. და ნათქვამია, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის აქტიურ პოზიციასთან ერთად ეს იძლევა იმედს, რომ აღიკვეთება სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.*

*გაკრიტიკებულია რუსეთი რელიგიის თავისუფლების შემზღუდველი კანონის მიღებისათვის, ბელორუსია — დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პროფკავშირების და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების დაშინების ტაქტიკისათვის, შემდეგ ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი — ძირითადად თავისუფლებათა შეზღუდვისათვის და პრეზიდენტების მიერ სამართალდამცავი ორგანოების დაქვემდებარებისათვის.*

*პრინციპულად ძალიან საინტერესო სურათია, და საინტერესო იქნება თქვენი აზრი, როგორ შეაფასებდით მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შეეხება: კვლავ გავიმეორებ, რომ საქართველო გამოყოფილია სხვა ქვეყნებისაგან და ნათქვამია, რომ, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებულ პრობლემათა მიუხედავად, იქ მაინც აღინიშნება მოქალაქეთა მიერ დემოკრატიულ ღირებულებათა შემეცნების ზრდა და ნათქვამია, რომ საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის აქტიურ პოზიციასთან ერთად ეს იძლევა იმედს, რომ აღიკვეთება სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები. ასეთი მოსაზრებაა გამოთქმული...*

— განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შეეხება, ნაწილობრივ გავეცანი. ხვალ, ზეგ, ალბათ, გამოვძებნი დროს და დოკუმენტს მთლიანად გავეცნობი.

უწინარესად უნდა აღვნიშნო, რომ მოხსენების ნაწილში, რომელიც საქართველოს შეეხება (მე სწორედ ამაზე შევჩერდები), შეშფოთებაა გამოთქმული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარების გამო. მე ყველას ვთხოვ, სწორედ ამ ნაწილს მიაქციონ ყურადღება. თუ თქვენ გახსენდებათ, ბატონ კოფი ანანისადმი გაგზავნილ წერილში სწორედ ის აღვნიშნე, რომ წელს ადამიანის უფლებათა წელია — ცნობილი დეკლარაციის მიღების 50 წლისთავი და სწორედ ეს უნდა აღინიშნოს ლტოლვილთა უფლებების დაცვითა და მათი უფლებების აღდგენით. ამ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის მიუხედავად, 250 000 იძულებით ადგილნაცვალი პირის აფხაზეთში დაბრუნების საკითხი ვერ გადაწყდა, ხოლო გალში თავის ნებით დაბრუნებული ქართველების უსაფრთხოება დაცული არ არის. სხვადასხვა ეროვნების დამნაშავეთაგან შემდგარი შეიარაღებული ბანდები აქტიურად მოქმედებენ აფხაზეთში. პარტიზანული მოძრაობის ინტენსიურობა გაზრდილია. საქართველოს მთავრობა ვერ აკონტროლებს სიტუაციას ვერც აფხაზეთში, და ვერც ცხინვალის რეგიონში. კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულობანი გამოძიებული არ არის და დამნაშავე პირები დაუსჯელი არიან. და სავსებით სწორია: ჩვენ რომ ვაკონტროლებდეთ, ან ჩვენ რომ ერთობლივად ვაკეთებდეთ რაიმეს, გალში ასეთი ვითარება არ იქნებოდა. აღნიშნულია ჩემი თხოვნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნას ორგანო, რომელიც გამოიძიებს და დასჯის კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩამდენ პირებს.

მოხსენებაში აღნიშნული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები მიწოდებულია არასამთავრობო ორგანიზაციების, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სხვათა მიერ. თვით მოხსენების ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში არის რამდენიმე სანდო ადგილობრივი ორგანიზაცია, რომლებიც ამოწმებენ ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას, მაგრამ მათი უმრავლესობა პოლიტიზებულია. ამდენად გადაცემულ ინფორმაციას ხშირად აკლია სიზუსტე, ზოგჯერ დამახინჯებულია ფაქტები. ეს იმათ სინდისზე იყოს, ვინც პოლიტიკური მიზნებისა და პოპულიზმის გამო, საკუთარი ქვეყნის სახელსა და ღირსებას არ ინდობს, მაგრამ, თავისთავად, ამაში მე საშიშს ვერაფერს ვხედავ. წავიდეს ისეთი ინფორმაცია, როგორიც თავად მიაჩნიათ და თავად ხედავენ.

მოხსენებაში გამოთქმული ბევრი შენიშვნა სავსებით მისაღებია და მათზე მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ ცოტა მეტიც ვიცით — კიდევ სად არის დარღვევები და რა აკლია ამ თვალსაზრისით ხელისუფლების საქმიანობას. ეს მუშაობა უნდა გაგრძელდეს. შენიშვნები ძირითადად სამართალდამცავ ორგანოთა მიმართ არის გამოთქმული და მათ ამ შენიშვნებიდან სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანონ. ბევრი რამ გამოსწორდა, მაგრამ გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, ათჯერ მეტია.

ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და მეგობრის თვალით დანახული ნაკლოვანებანი აუცილებლად გასათვალისწინებელია. დადებითი შეფასება კი სასიამოვნოა.

მართლაც, საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა პიროვნების თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა უზენაესობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის უფლებები მუდმივი თემაა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, ასევე კანონმდებელთათვისაც.

შევახსენებ ყველას: საქართველო იყო ის ქვეყანა, სადაც ანარქიის, ქაოსის, კრიმინალური ბანდების თარეშის პირობებში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დამცველი სახელმწიფო კომიტეტი — ეს პირველ ეტაპზე, შემდგომ კი მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ჩამოყალიბდა ამ უფლებების დასაცავად. შეიძლება ითქვას, შეიქმნა სისტემა, რომელიც თვისებრივად მომართულია დაიცვას ადამიანის უფლებები, არ დაუშვას მათი ხელყოფა სახელმწიფო სტრუქტურებისა, თუ სხვა რომელიმე ძალთა მიერ.

გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ სანამ ასიათასობით დევნილი არ დაუბრუნდება მშობლიურ კერას, მანამ ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპთა უნივერსალურობაზე ლაპარაკი ყველასათვის უხერხული იქნება. მჯერა, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც ასეთ ყურადღებას უთმობენ (და სამართლიანადაც) ადამიანის უფლებათა დარღვევის ცალკეულ, თითოეულ ფაქტს, — ადრე თუ გვიან ასეთივე სიმკაცრით იტყვიან თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას აფხაზეთიდან დევნილი ასიათასობით ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო.

იმის გათვალისწინებით, რომ ხვალ ვრცელი მოხსენება მექნება პარლამენტში, იქნებ დღეს შედარებით მოკლე დროით შემოვიფარგლოთ.

საქინფორმი.

## ვეძებთ ინვესტორს

გუშინ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში გაიმართა ელექტროენერგეტიკის სფეროში პრივატიზების სტრატეგიული მრჩევლის (საინვესტიციო ბანკის) შესარჩევი კომისიის სხდომა. მსოფლიო ბანკის შერჩევით ტენდერში მონაწილეობს 9 უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი.

2 თებერვალს დასრულდა ტენდერში მონაწილეობისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა.

10 თებერვალს სატენდერო კომისია მორიგ სხდომას გამართავს, რომელზეც იმსჯელებენ ბანკების მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ წინადადებებზე, მოგვიანებით მოეწყობა ტენდერის მონაწილეთა ფინანსური წინადადებების განხილვა და დაასახელებენ გამარჯვებულს.

## თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე

2 თებერვალს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მორიგი საჯარო ვაჭრობა გაიმართა, რომელშიც ოთხი ბანკი მონაწილეობდა. გაყიდვათა მოცულობამ 340 ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა. ერთი დოლარის ოფიციალური კურსი არ შეცვლილა — 1,324 ლარი. საჯარო ვაჭრობის შედეგების და მსოფლიო სავალუტო ბირჟების კროს-კურსების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 თებერვლიდან დაადგინა, აგრეთვე, სხვა უცხოურ ვალუტათა ოფიციალური კურსი ლარის მიმართ. კერძოდ, ერთი გერმანული მარკის კურსი 0,7221 ლარს შეადგენს, ერთი რუბლისა კი — 0,2190 ლარს.

## „კრიშების" თემა წარსული ეტაპია

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თენგიზ აბულაძის თქმით, „კრიშების" თემა წარსული ეტაპია. მართალია, ზეწოლა იყო და კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ ისინი ვერ მოერევიან ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

მისივე ინფორმაციით, წლის დასაწყისში მსს და უშიშროების სამინისტროს მიერ ერთობლივად დაიგეგმა საგანგებო ღონისძიებები ნავთობის, ბენზინის, საერთოდ, კონტრაბანდის მანიპულირებისა და კორუფციის აღმოსაფხვრელად.

## მწვანე გზა — სპირტს!

„არავის, არც ამიერკავკასიაში და არც რუსეთში არა აქვს ტვირთების, მათ შორის, სპირტის გადაზიდვის აკრძალვის უფლება", — განაცხადა „ინტერფაქსისათვის" მიცემულ ინტერვიუში ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ძასოხოვმა. მისი თქმით, იგი რუსეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტისაგან, რუსეთ-ფინეთის საზღვრის მსგავსად, მოითხოვს სამხრეთ საზღვრებზე საბაჟო საგუშაგოების მოწყობას. მთავარია, რომ მებაჟეებმა გადასახადები დაწესებული ნორმის მიხედვით აკრიფონ", — დასძინა ალექსანდრე ძასოხოვმა.

## „ნდობის ტელეფონი" ჯარისკაცთათვის

ახალწვეულებსა და ჯარისკაცებს თუ რაიმე პრობლემა შეექმნებათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლისას, შეუძლიათ მიმართონ ჯარისკაცთა უფლებების დაცვის საზოგადოების ნდობის ტელეფონს — 39-11-81. ანონიმურობა დაცულია, რჩევებს კი, კვალიფიციური იურისტები და ფსიქოლოგები მისცემენ, — გვარწმუნებს ჯარისკაცთა უფლებების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ნოდარ ეფრემიძე.

მისი თქმით, აღნიშნული ტელეფონის საშუალებით საზოგადოება თითქმის ამომწურავ ინფორმაციას ფლობს და საკმაოდ დიდი საინფორმაციო ბანკი აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში შექმნილ მდგომარეობაზე. „ყველაზე ცუდი ცნობები კი ყველაზე ხშირად ახალციხიდან მოდის", — განუცხადა ზეა-ს კორესპონდენტს ეფრემიძემ.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა და ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

## ახლო წარსულიდან

# როგორ შეიქმნა კურორტთა მართვის ქართული მოდელი

**საქართველოს პრეზიდენტის საიუბილეო თარიღმა ინტელიგენტურ ატმოსფეროში ჩაიარა:** მთავარი აქცენტი საქართველოს უახლესი ისტორიის ღრმა ანალიზსა და ობიექტურ შეფასებებზე გაკეთდა. ეს წერილიც ასეთ ჭრილშია.

მაშინდელი საკავშირო კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრე — კურორტები დაყოფილი იყო ე. წ. საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებად, რაც განაპირობებდა მათი კეთილმოწყობის დონესა და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების კომფორტულობას. ამავე დროს, განსაკუთრებით, საკავშირო მნიშვნელობის კურორტები, ფაქტობრივად, ცენტრის მიერ ანექსირებულ ტერიტორიებს წარმოადგენდნენ, რომლებზეც ადგილობრივი ხელისუფლებისათვის საჭირბოროტო საკითხების მოგვარება მხოლოდ დიდი ბრძოლისა და დავიდარაბის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი.

საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე საგზურებს მთლიანად მოსკოვი ანაწილებდა, რის გამოც, რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ისინი რეალურად მიუწვდომელი იყო. ასე რომ, თურაშაულის პატრონს ტყეში პანტა უნდა ეძებნა...

მოუგვარებელი იყო საკურორტო მეურნეობის გაძღოლის წესიც. საკურორტო დაწესებულებები 50-ზე მეტ სხვადასხვა უწყებას ეკუთვნოდა, რომლებსაც მათთვის გამოყოფილი ტერიტორიების იქით გახედვაც არ სურდათ და არც მონაწილეობდნენ კურორტთა ინფრასტრუქტურის განვითარებაში. საწოლთა რაოდენობის გაუთავებელ მატებას თან არ ახლდა კვების, ვაჭრობის, კულტურისა და სპორტის ობიექტთა შესაბამისი ზრდა. ფორმალურად, საკურორტო დარგის კოორდინირება პროფკავშირებს ეკისრებოდა, მაგრამ მათ, როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციას, არ შეეძლოთ და ვერც ახორციელებდნენ სტრუქტურათა საქმიანობის კოორდინაციას, საკურორტო ტერიტორიათა დაცვისა და განვითარების ღონისძიებებს.

ნეგატიური იყო საკურორტო საქმიანობის გავლენა რესპუბლიკის ეკონომიკაზეც. იმის გამო, რომ საგზურების უდიდესი რაოდენობა (დაახლოებით 85 პროცენტი) რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იყიდებოდა, მაშინ არსებული წესის მიხედვით, ამ თანხების აკუმულირება იქვე ხდებოდა, ხოლო ჩვენ ყოველწლიურად გვაკრიტიკებდნენ ე. წ. საკასო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობის გამო. რესპუბლიკას ტურისტთა და დამსვენებელთა ვეებერთელა ნაკადის კვება და მომსახურება უხდებოდა იმ ფონდების ხარჯზე, რომლებიც საქართველოს მოსახლეობისათვის იყო გამოყოფილი, რაც გაუთავებელი სასურსათო დეფიციტის მიზეზი გახლდათ.

ეს ყოველივე ჩვენი საზოგადოების დაუფარავ გაღიზიანებას იწვევდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ 1970 წელს შეეცადა მიეპყრო საკავშირო მთავრობის ყურადღება აღნიშნული პრობლემებისათვის, მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დასრულდა.

და აი, 1982 წელს, როდესაც საირმეში ისვენებდა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შეკრიბა საქართველოს კურორტოლოგები, შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები და წამოაყენა თეზისი იმის თაობაზე, რომ ჩვენ სიმდიდრეს ჩვენ თვითონვე უნდა მოვუაროთ. ამასთანავე, გამოძებნა ფორმა, თუ როგორ უნდა მოვუაროთ. მისი წინადადებით, საქართველოს ე. წ. ადგილობრივი კურორტები, რომლებიც მაშინ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიეკუთვნებოდა, უნდა გამხდარიყო საფუძველი რესპუბლიკაში კურორტების მართვის სახელმწიფო ორგანოს შექმნისა, რომელსაც დაევალებოდა საქართველოს ეროვნული საკურორტო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება.

და მართლაც, სულ მოკლე ხანში შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო სახელმწიფო კომიტეტის უფლებებით. ამავე დროს, იმისათვის, რომ სხვადასხვა საკავშირო დაქვემდებარების უწყებების (პროფკავშირების კურორტთა მართვის საბჭო, ტურიზმის საბჭო, ინტურისტი და სხვ.) საკურორტო და ტურისტული პოტენციალი მიმართულიყო რესპუბლიკის ინტერესების შესაბამისად, შეიქმნა კურორტების მართვის საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თავმჯდომარეობით, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი მის მოადგილედ დაინიშნა. ე. ი. კურორტების მართვის ეროვნულ სახელმწიფო ორგანოს პრაქტიკულად მიენიჭა უფლებები, რომლებიც მას სხვადასხვა საკავშირო-რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელებზე მაღლა აყენებდა.

ეს იყო ეროვნული საკურორტო ტურისტული სისტემის შექმნის უპრეცედენტო მაგალითი, რომელმაც სათავე დაუდო საკავშირო უწყებათა თავაშვებული პარპაშის მოთოკვას საქართველოს ტერიტორიაზე და საკმაოდ ნათლად აგრძნობინა ყველას, ვისაც ეს ეხებოდა, რომ რესპუბლიკას ერთმნიშვნელოვნად სურს საკუთარ უნიკალურ ბუნებრივ სიმდიდრეთა გონივრული და მიზანდასახული განკარგვა, უპირველეს ყოვლისა, — საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ მისიის შესრულებაში ბატონმა ედუარდმა ერთ-ერთი მეთაური როლი დამაკისრა.

რაღაც განსაკუთრებული აღტყინებით ვმუშაობდით მაშინ. ყველაფერი პირველად ხდებოდა. რესპუბლიკა საკუთარ ხელში იღებდა საკურორტო ტერიტორიების განკარგვის სათავეებს, ადგენდა სხვათაგან განსხვავებულ თამაშის წესებს, რითაც საკავშირო უწყებათა მოქმედებას აწესრიგებდა. პირველად გაიჟღერა მთელის სიმძლავრით, უპირველესად, რესპუბლიკის მოსახლეობის საკურორტო დახმარებით უზრუნველყოფის თემამ. დაიწყო მუშაობა ისეთი საკურორტო ობიექტების ასაშენებლად, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას კურორტებზე განთავსებისა და მკურნალობის ნორმალურ პირობებს შეუქმნიდა. მოკლე ხანში თავიდან გაშენდა კურორტები ყვარელი, ამაღლება, სულორი, კვერეთი, მუაში. ახალი პანსიონატები აშენდა ბახმაროში, საირმეში, ბაკურიანში, ცემში, სურამში, სამტრედიაში; საბაზანოები — უჯარმაში, ამაღლებაში. დაიწყო საკურორტო დასვენების მძლავრი ბაზების მშენებლობა ბაკურიანში, უჯარმაში, ურეკში, ლესელიძეში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლესელიძეში დედათა და ბავშვთა დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობას 450 ადგილზე. აფხაზეთის სანაპირო ცენტრის დიდ ინტერესს იწვევდა და, შესაბამისად, იქ სოკოებივით მრავლდებოდა საკავშირო უწყებათა სანატორიულ-საკურორტო და ტურისტული ობიექტები. საქართველოს კი, გარდა მინისტრთა საბჭოსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული მე-4 სამმართველოს ობიექტებისა, აფხაზეთში არაფერი გააჩნდა და ამიტომ ლესელიძის პანსიონატის მშენებლობა ერთმნიშვნელოვნად ნიშნავდა იქ ჩვენი ინტერესების გაძლიერებას. აფხაზეთისადმი განსაკუთრებული ყურადღება ბატონ ედუარდის ნაკარნახევი გახლდათ. დრომ ამ მოსაზრების სისწორე სავსებით დაადასტურა.

მისივე ინიციატივით დაიწყო სერიოზული მუშაობა კურორტებისა და საკურორტო ობიექტების განაშენიანებაში რესპუბლიკის უწყებათა და წარმოება-დაწესებულებათა წილობრივი მონაწილეობისათვის.

ამ წესით აშენდა სამტრედიის სანატორიუმი, სურამის დედათა და ბავშვთა პანსიონატი; დაიწყო ლესელიძის, ბაკურიანის, საირმის, ბახმაროსა და სხვა კურორტების განაშენიანების მრავალწლიანი პროგრამების შემუშავება წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე.

ეს იყო თამამი ცდა, საკავშირო საგეგმო კომიტეტის გვერდის ავლით, საკავშირო ბიუჯეტიდან უწყებებისათვის სხვადასხვა მიზნით გამოყოფილი თანხების გადანაწილებისა საქართველოს საკურორტო და ტურისტული პოტენციალის ახალ სიმაღლეზე ასაყვანად.

ეს საქმიანობა მრავალს აღიზიანებდა. საკავშირო საგეგმო კომიტეტში დიდხანს არ უნდოდათ კურორტთა მართვის ქართული მოდელის დაკანონება, თუმცა, მან ინტერესიც დიდი გამოიწვია. საქართველოში მაშინ სტუმრად მყოფმა ნურსულთან ნაზარბაევმა, რომელიც ყაზახეთის მთავრობის თავმჯდომარედ მუშაობდა, საგანგებოდ მოინდომა ჩემთან შეხვედრა და ჩაიწერა თავის ბლოკნოტში ჩვენი მონაყოლი. ყაზახეთში, ხოლო შემდგომ უზბეკეთშიც შექმნეს ანალოგიური სტრუქტურები. ოდნავ მოგვიანებით დიდი ინტერესით შეისწავლეს ჩვენი გამოცდილება უკრაინელმა კოლეგებმაც.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვსწავლობდით და ვისწავლეთ კიდეც ეროვნული საკურორტო პოლიტიკის წარმართვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენათა შემდგომი განვითარების გამო, ამ ცოდნის რეალიზაციის პირობები დღევანდლამდე ვერ შეიქმნა.

როდესაც ვაანალიზებთ ბატონ ედუარდის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მაშინდელ საქართველოში, პოლიტიკას კულტურის სფეროში, საოცარ ეკონომიკურ ექსპერიმენტებს, თუნდაც რეორგანიზაციას საკურორტო დარგში, მხოლოდ ახლა ვგრძნობთ მთელი სიცხადით მისი ჩანაფიქრის სიღრმესა და პერსპექტიულობას.

ეს ნამდვილად ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების ზარის მძლავრი შემოკვრა გახლდათ. მომავალი — მხოლოდ მისთვის ცნობილი — საქართველოსათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადება და დამკვიდრება.

დღეს ჩვენ გვაქვს ეს ახალი საქართველო!

ამიტომაც, გულწრფელად გვინდა მოვუწოდოთ ყველას, ვინც თავს უფლებას აძლევს შეფასება მისცეს პრეზიდენტის ამა თუ იმ დღევანდელ ნაბიჯს — ოდნავ მაინც მიუახლოვდეს ედუარდ შევარდნაძის აზროვნების მწვერვალებს, რომელთა სიმაღლიდან სულ სხვა ჰორიზონტები იშლება. ეს, ცხადია, ადვილი არ არის...

**ზეზვა ღლუნიშვილი,**
კონცერნ „საქკურორტის" პრეზიდენტი.

## ღირსეული

# რჩეულთა ხვედრი

აკადემიკოს ზაალ კახიანის პროფესიონალიზმი გაცილებით ნაყოფიერი და მრავალფეროვანი გამოდგა, ვიდრე პობი. ზემოთქმული აღარ გაგაოცებთ, როცა მის მრავალმხრივ ნიჭიერებაზე მოგახსენებთ. რომ ბატონ ზაალ კახიანს საზოგადოება თვითგამოხატვის რამდენიმე ფორმით იცნობს, ამის საილუსტრაციოდ მეტად შთამბეჭდავ ჩამონათვალს შემოგთავაზებთ: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო და გაზა ფანასკერტელის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორი, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი, ქვეყნის ყველა სამედიცინო საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე (20 წლის განმავლობაში), საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ევროპისა და ისრაელის ინპლანტაციის აკადემიის წევრი, ამერიკის კრიოქირურგიისა და ამერიკა-საქართველოს მედიცინის აკადემიის წევრი, იტალიისა და ლუიზიანას შტატის პლასტიკური ქირურგიის აკადემიის წევრი, ერევნის მიქაელიანის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის „საპატიო ქირურგი“, მრავალი სახელმწიფო ორდენისა და მედლის კავალერი.

ერთხელ, როცა ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს თეოდორ უგლოვს პროფესორი ზაალ კახიანი ოპერაციაზე უნახავს, აღფრთოვანებულს უთქვამს „ქირურგზე, როგორც მსახიობზე ვერ ვიმსჯელებთ, თუ მათ მუშაობისას არ ვიხილავთ. საოპერაციო მაგიდასთან დღეს დავინახე ზაალი თავისი ხელწერით, სრულყოფილი ოპერატიული ტექნიკით, რომლის შემწეობით, იგი თავისუფლად ფლობს სკალპელს ყველა განზომილებაში. ცნობილია მისი მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი ენერგიულობა, დაუცხრომელი ხასიათი; და ამიტომაც მწამს, რომ იგი უდიდეს წარმატებას მიაღწევს“.

ყველა პრემია და ჯილდო საპატიოა, მაგრამ ერთს მაინც ხაზგასმით აღვნიშნავთ: 1980 წელს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო პრემიების მინიჭების კომიტეტმა, არსებობის მანძილზე სახელმძღვანელოებისათვის განკუთვნილი პრემია პირველად პროფესორ ზაალ კახიანს მიანიჭა სახელმძღვანელოთა ციკლისათვის ადამიანის ნორმალურ და პლასტიკურ ანატომიაში. ამ შრომებს დიდი აღიარება ხვდა წილად.

ზემოაღნიშნულ წოდებებს, ტიტულებსა და რეგალიებს, იმის გარდა, რომ გენებითაც მოსდგამს, ბატონმა ზაალ კახიანმა ბეჯითი სწავლით, კვლევა-ძიებითა თუ პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობით მიაღწია. სიცხადისათვის მისი ბიოგრაფიის რამდენიმე მონაკვეთს გაგაცნობთ.

ზაალ კახიანი დაიბადა ქართული ქირურგიის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ქირურგიის დიდოსტატის ნიკოლოზ კახიანის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავთან. ამასთან, ზ. კახიანი ანთროპოლოგიის საკითხებითაც დაინტერესდა, რის გამოც, გამოჩენილ რუს ანთროპოლოგს ნიკოლოზ გერასიმოვს დაუკავშირდა — იგი რამდენიმე თვით იმჟამად მოსკოვში მიმდინარე კვლევითი სამუშაოების გასაცნობად მიავლინეს, რომელიც სხეულის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ისტორიულ პიროვნებათა გარეგნობის აღდგენას ისახავდა მიზნად. იმ ხანად, ნ. გერასიმოვი კ. ერისთავს წერდა: „თქვენი ასპირანტის სურვილმა დაოსტატებულიყო იმ სფეროში, რომელსაც მთელი სიცოცხლე მივუძღვენი, ძალზე აღმაფრთოვანა, მისი მომზადების დონე, ერუდიცია, ხატვისა და ძერწვის დიდი ნიჭი იმის დასტურია, რომ მას ანთროპოლოგიის მეთოდიკის ათვისება თავისუფლად შეუძლია“. კ. ერისთავმა თავისი მოწაფის ქირურგისაგან „განდგომა“ არ ისურვა. იგი თავისი მასწავლებლის ნიკოლოზ კახიანის ხსოვნის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა და მიაჩნდა, რომ შვილს ღირსეულად უნდა გაეგრძელებინა მამის ტრადიციები, ვინაიდან ზ. კახიანი ქირურგიამიც გამორჩეული იყო.

ასპირანტურის დამთავრების წელსვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მას მოჰყვა სადოქტორო დისერტაცია. იგი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გადაუდებელი ქირურგიის კათედრას, ქირურგიულ ფაკულტეტს, იყო ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე სხვადასხვა დარგში. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება მასზე, როგორც ჩინებულ ორგანიზატორზე, მეცნიერსა და მოქალაქეზე, მან მეცნიერული, პრაქტიკული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი და რთული გზა განვლო და კვლავაც შემოქმედებითი ძიებებით არის აღსავსე.

ბატონ ზაალ კახიანის არქივში მრავლად არის მისალოცი თუ სამადლობელი ბარათი, რომელთა შორის ბევრი მეცნიერების კორიფე (აკაკი შანიძე, პეტრე სარაჯიშვილი, ირაკლი ფაღავა, ევგენი ხარაძე), ყოფილი სტუდენტი და პაციენტია.

ახლა იმის შესახებ მოგახსენებთ, თუ როგორ ახასიათებენ ზ. კახიანს თანამშრომლები, პაციენტები:

— სულ მოუცლელია, რომ იტყვიან, ყოველი დღე წუთებში აქვს გათვლილი. ალბათ, ამიტომაც ასწრებს ამდენს. იგი საუცხოო ხელმძღვანელი და კოლეგაა, მის გვერდით, წმინდა პროფესიული ცოდნისა და თვისებებს გარდა, ადამიანურ ღირსებებსაც იძენს კაცი.

იგი სამაგალითოა ირგვლივ მყოფთათვის — რაინდული თვისებებით შემკული ინტელიგენტი, მარად იმედიანი და საიმედო.

— საქმეში მომთხოვნი და მკაცრია, მაგრამ კეთილი და სამართლიანი. იგი ერთნაირად უნაწილებს გულის სითბოს ახლობლებს, კოლეგებს, ახალგაზრდებს, პაციენტებს.

— პირად ცხოვრებაში გამოირჩევა უბრალოებით, გასაოცარი მომხიბვლელობით, მისი მეგობრების წრე მოიცავს სრულიად სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს.



— ბატონ ზაალის 236 მეცნიერული შრომა, 36 მონოგრაფია, 5 გამოგონება და 4 რაციონალიზატორული წინადადება სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის დიდი შენაძენია. იგი დღესაც აქტიურად და ნაყოფიერად იღწვის მორფოლოგიის, ონკოლოგიისა და აბდომინალური ქირურგიის კვლევაში.

თავად ღვაწლმოსილი მეცნიერი ზ. კახიანი დიდი მოწიწებით იგონებს თავის მოძღვართ, მათ შორის — პროფესორ დავით შოთაძეს.

— მისგანა ვარ ქირურგიაში ხელდასხმული. როგორც ქირურგი, მის ხელში ჩამოვყალიბდი, ჯერ მოწაფე, ხოლო შემდგომ მისი მოადგილე გახლდით. ახლა მისი შვილია ჩემი ნამოწაფარი და ამჟამად ჩემი მოადგილე. 12 მეცნიერებათა კანდიდატი და 8 დოქტორი მოვამზადე. ჩემს აღზრდილებს ახლა თავად ჰყავთ შეგირდები. ძალიან კარგი, ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, მართლაც საიმედო ცვლა მოდის.

პროფესორ ზ. კახიანის ლექციებზე სტუდენტები, თურმე, მუდამ განსაკუთრებული ხალისითა და ინტერესით დადიან, სადაც საფუძვლიან ცოდნასთან ერთად მეტყველების კულტურას და ორატორობის ხელოვნებასაც ეუფლებიან.

**ამ დღეებში კი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო პრაქტიკული მოღვაწეობისათვის ექიმთა დიპლომის შემდგომი სწავლების სახელმწიფო აკადემიის რექტორი, პროფესორი ზაალ კახიანი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.**

გულითადად ვულოცავთ ამ მაღალ ჯილდოს.

* * *

ბატონმა ზაალმა საუბრისას აღნიშნა, მეგობრულ შარჟებს იმიტომ ეხატავ, რომ სიურპრიზები მიყვარსო. ეს მეგობრული შარჟი კი ჩვენი სიურპრიზია.

**ბელა დურგლიშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

## სიახლე სამოქალაქო კოდექსში

# როგორ გავცეთ ქონება სიკვდილის შემდეგ

**მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მოსახლეობას მრავალი სამოქალაქო ურთიერთობის დამყარება მნიშვნელოვნად შეცვლილი სახით მოუწევს. მათ შორის არის ანდერძიც. რა ფორმით უნდა შედგეს ფიზიკური პირის განკარგულების შემცველი დოკუმენტი იმის თაობაზე, თუ ვის უტოვებს იგი თავის ქონებას ან მის ნაწილს — ამ საკითხზე მოგითხრობთ დღეს.**

ახალ კოდექსში ანდერძის ფორმა ცალკე თავად არის გამოყოფილი და 13 მუხლით რეგულირდება, მაშინ, როდესაც ადრე მოქმედი კოდექსი მას სულ ორად-ორ მუხლს უთმობდა.

*კანონი მოითხოვს, რომ ანდერძი შედგეს წერილობითი ფორმით. ეს არის კოდექსის სავალდებულო მოთხოვნა და მას გამონაკლისი არა აქვს — ზეპირ ანდერძს იურიდიული ძალა არ გააჩნია.*

ადრე მოქმედი კოდექსი ცნობდა მხოლოდ წერილობით ანდერძს, რომელიც სანოტარო ორგანოს ან გამგეობის მიერ იყო დამოწმებული. ამჟამად, ანდერძისთვის სანოტარო ფორმა სავალდებულო არ არის, გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევისა (რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ). თუმცა, თუ მოანდერძეს სურს, მას შეუძლია ანდერძი ნოტარიუსს დაადასტურებინოს. სანოტარო ფორმის დაცვისას ანდერძი შეიძლება დაიწეროს არა მოანდერძის მიერ, არამედ ჩაიწეროს ნოტარიუსმა მოანდერძის სიტყვებით. მხოლოდ, ამ პროცესს აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ორი მოწმე. ამ გზით ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმეების თანდასწრებით ხელი მოაწეროს. ანდერძის ჩაწერისას შეიძლება საბეჭდი მანქანის, კომპიუტერ-პრინტერის გამოყენება. მოწმეებმა უნდა დაადასტურონ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ, როგორც კი მოანდერძე მასზე ხელს მოაწერს. დადასტურებისას ანდერძზე აღინიშნება მოწმეთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

ანდერძი ნოტარიუსის ნაცვლად შეიძლება დადასტურდეს სხვა პირების მიერ. კანონმდებელი ჩამოთვლის ასეთი უფლებამოსილების მქონეებს და განსაზღვრავს შემთხვევებს, როდის შეუძლიათ მათ გასწიონ ნოტარიუსის მაგივრობა.

*ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები არიან:*

ა. საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;

ბ. სამეცნიერო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;

გ. გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;

დ. სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია.

ე. თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი, თუ მოანდერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

გავიმეორებთ, ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, სანოტარო ფორმით დადასტურება არ არის სავალდებულო, წერილობითი ანდერძი უიმისოდაც ჩაითვლება იურიდიული ძალის მქონედ.

*რა გამონაკლის შემთხვევებშია სავალდებულო ანდერძის სანოტარო ფორმით დადასტურება?*

როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია ანდერძს თან ერთვოდეს მოანდერძის ხელმოწერა. თუ რაიმე მიზეზით მოანდერძეს არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი, მისი თხოვნით, ანდერძს ხელს მოაწერს სხვა პირი ნოტარიუსის (შესაბამისი პირის) თანდასწრებით (ეს მიზეზი შეიძლება იყოს ფიზიკური ნაკლი — კიდურის ან თითების ფალანგების უქონლობა, ან დამწერობა, სხვა სახის დაზიანება). ანდერძში უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამო ვერ შეძლო მოანდერძემ ხელის მოწერა.

სანოტარო ფორმა აუცილებელია აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძს ტოვებს ყრუ-მუნჯი ან ყრუ-მუნჯი, რომელმაც არ იცის წერა-კითხვა. ასეთი პირი ნოტარიუსთან აკეთებს საანდერძო განკარგულებას — თუ ვის უტოვებს ქონებას ან მის ნაწილს — იმ პირის დახმარებით, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯის ენა. ანდერძი ნოტარიუსმა წერილობით უნდა შეადგინოს ორი მოწმისა და ზემოაღნიშნული პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია საქმის არსი გააგებინოს ყრუ-მუნჯს. ასეთ პირს თავად უნდა შეეძლოს მოაწეროს ხელი ანდერძს და დაადასტუროს, რომ ანდერძის შინაარსი მოანდერძის ნებას შეესაბამება.

აგრეთვე, სავალდებულოა სანოტარო ფორმის დაცვა იმ შემთხვევაში, თუ მოანდერძე ბრმაა ან არ შეუძლია წერა-კითხვა. მან საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომელიც მოანდერძეს წაეკითხება.

შეიძლება ანდერძი ჩაიწეროს არა ნოტარიუსმა, არამედ მოწმემ. მოწმეები წაიკითხავენ ანდერძს და შეამოწმებენ მოანდერძის წინაშე შეესაბამება თუ არა ანდერძის შინაარსი მის ნება-სურვილს. მაგრამ ასეთი შემოწმება არ შეიძლება ემყარებოდეს იმ პირის მიერ ანდერძის წაკითხვას, რომელმაც ჩაწერა მოანდერძის ნება-სურვილი, ჩამწერი არ უნდა იყოს წამკითხველი.

მას შემდეგ, რაც ჩაიწერება საანდერძო განკარგულება და აღნიშნული წესით შემოწმდება, უნდა მიეთითოს: ვინ გააკეთა ჩანაწერი, ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელს აწერენ მოწმეები და ადასტურებს ნოტარიუსი. მოწმეები სახელსა და გვართან ერთად უთითებენ საცხოვრებელ ადგილს.

გარკვეულ სიძნელეებს იწვევს შემთხვევები, როცა თანამდებობის პირმა, რომელიც უფლებამოსილია დაადასტუროს ანდერძი, არ იცის ენა, რომელზედაც ანდერძია შედგენილი. ამ დროს უნდა მოიწვიონ მთარგმნელი, რომელსაც იცნობს ნოტარიუსი (შესაბამისი პირი), რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სპეციალური აღნიშვნა.

*ვინ არ შეიძლება იყოს ანდერძის მოწმე?*

არასრულწლოვნები (ე. წ. 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირები).

ქმედუუნაროდ აღიარებული პირები (ე. ი. პირები, რომლებიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ აღიარებულნი არიან ქმედუუნაროდ და ამის გამო არ შეუძლიათ თავიანთი ნებითა და მოქმედებით შეიძინონ და განახორციელონ სამოქალაქო უფლება-მოვალეობები).

ანდერძით მემკვიდრე (ე. ი. პირი, რომელსაც მოცემული ანდერძით ქონება გადაეცემა), მისი ნათესავები აღმავალი და დამავალი ხაზით (აღმავალი ხაზით ნათესავები არიან დედ-მამა, ბებია-პაპა და ა. შ. დამავალით — შვილები, შვილიშვილები და ა. შ.), ანდერძით მემკვიდრის დები, ძმები, მეუღლე მოწმედ არ შეიძლება, არც საანდერძო დანაკისრის მიმღები-ლეგატერი.

კანონმდებელი უზრუნველყოფს ანდერძის საიდუმლოებას. ნოტარიუსს, სხვა პირს, რომელმაც ნოტარიუსის ნაცვლად დაადასტურა ანდერძი, მოწმეებს, პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, — ყველას ეკრძალება გაამხილოს ცნობები, რომლებიც ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას შეეხება. აღნიშნულ პირებს ეკრძალებათ ამ ცნობების გამხელა სამკვიდროს გახსნამდე. სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

*რა შემთხვევაში ხდება პირის გარდაცვლილად გამოცხადება?*

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. თუ ხუთი წლის განმავლობაში ფიზიკური პირის ადგილსამყოფელის შესახებ არ არსებობს არავითარი ცნობა მის საცხოვრებელ ადგილას, სასამართლომ იგი შეიძლება გარდაცვლილად გამოაცხადოს. თუ პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა (მაგ. სიცოცხლისთვის საშიში ექსპედიცია), ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა უბედური შემთხვევის გამო (თვითმფრინავის აფეთქება, გემის ჩაძირვა და სხვა), პირი შეიძლება სასამართლოს მიერ გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

ბუნებრივია, კანონმდებელი ვერ დაავალდებულებს თავად მოანდერძეს, დაიცვას ანდერძის საიდუმლოება, თუ მას ეს არ სურს. მოანდერძეს შეუძლია გაამხილოს ანდერძის შინაარსი, განაცხადოს მისი შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

#### შინაური ანდერძი

მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას. ასეთ ანდერძს „შინაური ანდერძი“ ეწოდება. იგი მოანდერძესთან ინახება.

თუ მოანდერძეს სურს, მას შეუძლია ასეთი ანდერძი შეინახოს ნოტარიუსთან, მაგრამ ამ დროს საჭიროა ანდერძი დალუქულ კონვერტში იყოს მოთავსებული და ნოტარიუსისთვის (თუ შესაბამისი თანამდებობის პირისთვის, რომელმაც შეიძლება შეცვალოს იგი) გადაცემას უნდა ესწრებოდეს სამი მოწმე, რაც დასტურდება კონვერტზე ხელის მოწერით. აღნიშნული სახის ანდერძის შენახვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი ოფიციალური დეპონირებით ნოტარიუსთან (ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირთან).

#### დახურული ანდერძი

კანონმდებელი ითვალისწინებს კიდევ ერთ ახალ ტერმინს „დახურული ანდერძი“. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ მოანდერძე გამოთქვამს სურვილს, მოწმეებმა ანდერძი მისი შინაარსის გაუცნობლად უნდა დაადასტურონ. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ანდერძი უნდა შედგეს მოწმეთა თანდასწრებით, ე. ი. ანდერძი მოანდერძემ მოწმეთა თანდასწრებით უნდა ჩაწეროს. აი, ასეთ ანდერძს უწოდებს კანონმდებელი „დახურულს“.

დახურული ანდერძის დადასტურებისას მოწმეებმა უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგა პირადად მოანდერძის მიერ მათი თანდასწრებით, მაგრამ ისინი არ გასცნობიან მის შინაარსს.

ანდერძში მითითებულ უნდა იყოს მოანდერძის ხელმოწერა და, ზოგიერთ შემთხვევაში, განსაზღვრულ პირთა ხელმოწერაც. ასევე მას თან უნდა ერთვოდეს თარიღი. თუ ანდერძში თარიღი არ არის მითითებული, ეს ანდერძის ბათილობას გამოიწვევს მხოლოდ მაშინ, როდესაც არის ეჭვი, რომ მოანდერძე ქმედუუნარო იყო ანდერძის შედგენის, შეცვლის ან გაუქმების დროს, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას. თუ ეს ეჭვი ვერ გაქარწყლდება, ანდერძი ბათილად ჩაითვლება.

მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ნოტარიუსი ნიშნავს დღეს და ანდერძის შინაარსს დაინტერესებულ პირებს გააცნობს. ნოტარიუსმა ამის თაობაზე უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ კონვერტი (რომელშიც ანდერძი იყო მოთავსებული) დალუქული იყო, ლუქის მთლიანობის შესახებ.

**ამრიგად, ანდერძის ფორმასთან დაკავშირებით ახალ სამოქალაქო კოდექსს ძველისგან განასხვავებს შემდეგი სიახლეები:**

**არ არის სავალდებულო ანდერძის სანოტარო ფორმა (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა). მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას — შინაური ანდერძი; ანდერძი შეიძლება დაადასტურონ მოწმეებმა შინაარსის გაუცნობლად (დახურული ანდერძი).**

**ასეთი სახით ადგენს ახალი სამოქალაქო კოდექსი იმ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ფორმას, რომელიც კაცობრიობის უნივერსალურ, აბსოლუტურ უფლებას — საკუთრების უფლებას უკავშირდება და რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გადაწყვიტოს თავისი ქონების ბედ-იღბალი სიკვდილის შემდეგაც.**

**ნანა მჭედლიძე,**
თსუ იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.

## ინფორმაცია

# კონფერენციაზე სტრასბურგში

ახლახან სტრასბურგმა უმასპინძლა ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ სამუშაო კონფერენციას თემაზე — „პოლიციის საქმიანობა და ადამიანის უფლებები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროსაბჭოს წევრი 40 სახელმწიფოსა და სტუმრის სტატუსით მიწვეულმა ბელარუსის, ბოსნია-ჰერცოგოვინასა და საქართველოს წარმომადგენლებმა. ჩვენი ქვეყნიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს შსს აკადემიის ოპერატიულ-სამძებრო და ადმინისტრაციული საქმიანობის კათედრის უფროსის მოადგილე გოგი გიორგაძე, ქართული და უცხოური ენების კათედრის უფროსის მოადგილე თამაზ გუჯაბიძე.

სტრასბურგის ამჟამინდელმა შეკრებამ განიხილა და მიიღო ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების დირექციის მიერ შემუშავებული პროგრამა — „პოლიცია და ადამიანის უფლებები 1997-2000 წლებში“. იგი დამსწრეთ წარუდგინა მისმა პასუხისმგებელმა ქალბატონმა ანიტა ჰაზენბერგმა. ხაზი გაესვა სამ ძირითად მიზანს, რომელიც პროგრამაში გამოკვეთილადაა აღნიშნული. საკომუნიკაციო ქსელის შექმნა, რომელიც შეძლებს 2000 წლამდე ერთმანეთს დააკავშიროს სხვადასხვა ქვეყნის საპოლიციო სამსახურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რაც მათ ინფორმაციებისა და აზრთა ურთიერთგაზიარების საუკეთესო საშუალებას მისცემს. აქვე აღინიშნა ისიც, რომ ამ საქმისათვის სასარგებლო იქნება კოორდინატორის დასახელება ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებიდან, შიგა და გარე კონტროლის მექანიზმის შემუშავება, რისი მთავარი მიზანი იქნება პოლიციის არაკორექტული ქმედების აღმოფხვრა ადამიანის უფლებებთან მიმართებაში, ფორმაციის (განათლების) სფეროში პედაგოგიური დახმარების გაწევა, კერძოდ: ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობის დამყარება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საპოლიციო აკადემიებს შორის. მათი სასწავლო პროგრამების შეჯერება და ინტეგრირება შედარებით ახალი სასწავლო დისციპლინის — „ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემები“, სწავლების სათანადო დოკუმენტაციითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდათ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების დირექციის მიერ მომზადებული პუბლიკაციები ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ვფიქრობთ, რომ მათი ქართულ ენაზე გამოცემით ქმედითი დახმარება გაეწევა შსს აკადემიას, სადაც გადაწყვეტილია სასწავლო დისციპლინად შემოიღონ — „ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემები“.

კონფერენციამ მხარი დაუჭირა ავსტრიის წინადადებას — 2000 წლის 28 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე პოლიციისა და ადამიანის უფლებათა კვირეულის მოწყობის შესახებ. ეს კვირეული უნდა გახდეს მთელი ევროპის საპოლიციო სამსახურების საქმიანობის სერიოზული დათვალიერება. შედეგების შემოწმებაში მონაწილეობას მიიღებს როგორც ევროსაბჭოს სათანადო კომისია, ასევე სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები.

საქართველოს წარგზავნილთა საქმიანი გამოსვლები სექციებში ჯეროვნად შეფასდა. სასარგებლო იყო აზრთა ურთიერთგაზიარება უკრაინის, ბელარუსის, რუსეთის, მოლდოვას, საფრანგეთის, უნგრეთის, თურქეთისა და ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან. კონფერენციის მონაწილეთ კეთილ მოგონებად გაჰყვებათ გულთბილი მიღება, რომელიც მათ ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა დანიელ ტარშისმა გაუმართა.

შსს აკადემიის პრესსამსახური.

## პოლიცია

# იმედიანი გენერალი

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სესიაზე ის სასიკეთო ცვლილებები აღინიშნა, რომელიც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში მოხდა მას შემდეგ, რაც სამინისტროს სათავეში გენერალი მამუკა ნაჭყებია ჩაუდგა.**

**მამუკა ნაჭყებია გულრიფშელია. წლების განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ომის დაწყების დროს იგი აფხაზეთის ტრანსპორტის პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო და გაბედული გადაწყვეტილებებით სეპარატისტებს საკმაოდ ბევრჯერ შეუშალა ხელი ავი ზრახვების განხორციელებაში. მინისტრად დანიშვნამდე მუშაობდა საქართველოს შსს წარმომადგენლად დსთ-ს ქვეყნებში. ახლახან მას გენერლის წოდება მიენიჭა.**

**აფხაზეთის პოლიციის მინისტრად დანიშვნის შემდეგ პოლიციელთა საქმიანობაში შესამჩნევ სასიკეთო ძვრებს, უპირველესად იმით ხსნის, რომ მონდომებით ეხმარებათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, პირადად მინისტრი — კახა თარგამაძე. ჩვენთვის არც ერთ მნიშვნელოვან (ხშირად უმნიშვნელო) პრობლემას ურეაგიროდ არ ტოვებს, რისთვისაც ახლა გაზეთის მეშვეობითაც კიდევ ერთხელ სურს უთხრას მას მადლობა.**

**თუ როგორ მოხდა სამინისტროს ფუნქციების შენარჩუნება და დახვეწა, ამბობს:**

— როცა ჩვენი სამინისტრო, ისევე, როგორც სხვა სტრუქტურები აფხაზეთიდან ტერიტორიის, საყოფაცხოვრებო პირობების, ბინების გარეშე აღმოვჩნდით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ თანამშრომელთა ძირითადი კონტინგენტი შეგვენარჩუნებინა და მათ შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონოდათ, შეგვიძლია ახალი თანამშრომლებიც მივიღოთ, უზრუნველვყოთ ისინი ფორმით, ხელფასით და სხვა აუცილებელი პირობებით.

*— რა მდგომარეობაა კოდორის ხეობაში?*

— კოდორის ხეობა აფხაზეთის ის მცირე მონაკვეთია, რომელშიც ფეხი ვერ მოიკიდეს აფხაზმა სეპარატისტებმა. ამ ადგილს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ამასთან, გეოგრაფიული მდებარეობის გამო მოსახლეობა თითქმის ნახევარი წელიწადი მოწყვეტილია გარე სამყაროს, არ არის გზები, ადგილობრივი მოსახლეობა დაუსაქმებელია, აქვთ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები. აფხაზეთის ომი სამუდამოდ ჩაიბეჭდა მათ ფსიქიკაში და საჭიროებს სამედიცინო, სამეცნიერო ჩარევას, დაგროვილია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი და სამხედრო ტექნიკა, ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების მოყვანა მთლიანად ვერ აღმოიფხვრა, უალკოჰოლო და დაბალგრადუსიანი სასმელების ნაკლებობის გამო, მოსახლეობა ძველებურად ეტანება შინნახად არაყს, რის გამოც, ხშირია აყალმაყალი, ჩხუბი და საქმის გარჩევა, უძველესი ტრადიციები უხუცესთა საბჭოს საქმიანობა უგულებელყოფილია, არ მოქმედებს არანაირი კულტურული გართობის კერა, სავაჭრო ცენტრი. არადა, კოდორის ხეობა აფხაზეთის ერთადერთი კუთხეა, რომელიც სეპარატისტების მიერ არ წაბილწულა და ხელყოფილა. მას ორმაგი ყურადღება და დაცვა სჭირდება.

*— რას აკეთებს იქ თქვენი სამინისტრო?*

— სამწუხაროდ, კოდორის ხეობა მივიწყებულია მეცნიერ-მუშაკების, ინტელიგენციის, ხელისუფლების, პარლამენტარების, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებისაგან. იქ მხოლოდ სამართალდამცველთა სიჭარბეა, რომლებსაც უკვე მომხდარის შედეგების აღმოფხვრა ევალებათ, ხოლო ნეგატიური მოვლენების პროფილაქტიკაში მათ ბევრი სხვა უნდა ეხმარებოდეს, მაგრამ, მანკიერი, სისხლის აღების ტრადიციების აღმოფხვრასა და მოსახლეობის სულიერ ღირებულებებზე სათანადო ორგანოებმა უნდა იზრუნონ, გვერდში ამოგვიდგნენ. თუ ყველა ჩვენ-ჩვენს საქმეს გავაკეთებთ, ქვეყანასაც ეშველება. ჩვენი თანამშრომლები თავდაუზოგავად იღწვიან წესრიგის დასაცავად. რამდენიმე მათგანი შეეწირა კიდეც საქმეს. ახლახან შეიარაღებულ დამნაშავე ჯგუფთან შეტაკებისას კიდევ ერთი პოლიციელი — ბესო მესხია დაგვეღუპა. კარგი იქნებოდა, ამ ჩვენი ვაჟკაცების კეთილსინდისიერ საქმიანობას მეტ ყურადღებას უთმობდეს პრესა, ბესო მესხიასა და ბევრი სხვა პოლიციელის საქმიანობა კოდორის ხეობაში ხომ გმირობის ტოლფასია. ბიჭები, გარდა იმისა, რომ პოლიციელის მოვალეობას ასრულებენ, ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში ეხმარებიან, ხელს უწყობენ ხეობაში ჰუმანიტარული დახმარების ტვირთების უსაფრთხო შეტანას და სწორ განაწილებას, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია იმასთან, რაც იქ საერთო ძალისხმევით არის გასაკეთებელი — კოდორის ხეობა ჩვენი ქვეყნის, ხალხის საერთო საზრუნავი და სატკივარია, უნდა შედგეს და უახლოეს ხანებში განხორციელდეს საგანგებო სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მიგრაციის შეჩერებას და თავიდან აგვაცილებს კოდორის ხეობის მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცლის საშიშროებას.



*— როგორ გესახებათ პრობლემის გადაჭრის გზა?*

— როგორც გითხარით, ეს საერთო საქმეა, ხოლო ის პრობლემები, რომელიც უშუალოდ ჩვენი გადასაწყვეტია, განვიხილეთ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ თათბირზე. კოლეგიის წევრებმა, საქალაქო და რაიონული სამმართველოების, რაიგანყოფილებების უფროსებმა, სამსახურის ხელმძღვანელებმა თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები ჩამოაყალიბეს, დავსახეთ გეგმები, რომელთა განხორციელება უკვე დავიწყეთ.

*— თქვენი მინისტრად მოსვლისთანავე აფხაზეთის სპეცდანიშნულების რაზმი და პოლიციელთა დიდი ნაწილი ზუგდიდშია გადაყვანილი. რამ განაპირობა ეს?*

— ვფიქრობ, დროული ნაბიჯია, რადგან აფხაზი ბოევიკები და ე. წ. მილიცია, სარგებლობენ რუსეთის სამშვიდობო ჯარების მხარდაჭერით, კონფლიქტის ე. წ. „უსაფრთხოების ზონაში“ გალის რაიონში განუკითხაობითა და ქაოსით, განაგრძობენ ქართველი მოსახლეობის დარბევას, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთას. ამ ბოლო დროს კი, სეპარატისტული მთავრობის სპეცსამსახურებმა ავანტიურულ-ოპერატიული და სადაზვერვო საქმიანობა გააქტიურეს, აყალიბებენ პროფესიულად მომზადებულ ჯგუფებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დივერსიული და ტერორისტული აქტების მოსაწყობად. აქტიურდება სხვადასხვა ქართული ყაჩაღური ჯგუფებისა და ფორმირებების მოქმედება. ისინი დაუსჯელად დათარეშობენ გალის რაიონში, ხშირად ზუგდიდისა და წალენჯიხის ტერიტორიაზეც ჩნდებიან და ჩადიან მძიმე დანაშაულს. არის შემთხვევა, როცა ზუგდიდელი დამნაშავე ელემენტები ნიღბებითა და ცეცხლსასროლი იარაღებით გადადიან გალის რაიონის ენგურისპირა სოფლებში და აწყობენ თავდასხმებს ოჯახებზე. შენიშნულია ე. წ. „ზვიადისტთა“ დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ახლო კავშირშია აფხაზურ მხარესთან და აქტიურად მონაწილეობს ქართული მოსახლეობის ძარცვასა და დარბევაში, მათ აწიოკებაში.

გამოვლენილია მოქალაქეები, რომლებიც დანაშაულებრივად არიან დაკავშირებული აფხაზ სეპარატისტებთან.

ყველაფერ ამაზე ვიმსჯელეთ და შევიმუშავეთ გეგმა, რომელიც წარვუდგინეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გადაწყდა, პოლიციის გარკვეული კონტინგენტის და სპეცდანიშნულების რაზმის განთავსება ზუგდიდის რაიონში.

*— რა მოვალეობას ასრულებენ ისინი იქ?*

— შექმნილია ოპერატიული შტაბი, მობილიზებული არიან აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცდილი თანამშრომლები, ოპერატიული მუშაკები, პროფესიონალი სპეციალისტები, მათი მოვალეობაა მდინარე ენგურის განაპირა სოფლების მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, არალეგალური ტვირთბრუნვის აკრძალვა, უკანონოდ შეიარაღებული კრიმინალური ფორმირებებისა და ყაჩაღური ჯგუფების თარეშის ალკვეთა, დივერსიული და ტერორისტული აქტების პროფილაქტიკა.

*— როგორ შეხვდა ამას მოსახლეობა?*

— დადებითად, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითად იმოქმედა ამან აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობაზე და მათი მხრიდან პროტესტმაც არ დააყოვნა.

*— როგორ პირობებში არიან თქვენი თანამშრომლები?*

— უზრუნველყოფილნი არიან ყველა საჭირო და აუცილებელი პირობებით. გადაუჭრელი პრობლემა თითქმის არა აქვთ. ჩვენი სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ, როგორც ერთ-ერთმა ძალოვანმა სტრუქტურამ, თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. ფაქტია: მდინარე ენგურის გასწვრივ გადასასვლელებზე საგუშაგოების გახსნის შემდეგ მოწესრიგდა მოქალაქეთა გადასვლისა და გადაადგილების პროცესი, გამოვლინდა ბევრი დარღვევა, ამოღებულია სატრანსპორტო საშუალებები, რომელთაც არა ჰყავთ კანონიერი მფლობელი.

დროის მოკლე მონაკვეთში მიღებულმა შედეგებმა დაგვანახა, რომ გადაწყვეტილება აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდში განთავსების თაობაზე სწორი და დროულია.

*— ბატონო მამუკა! საბოლოოდ რა შედეგებს მოელით ამ გადაადგილებიდან?*

— საბოლოო სასურველი შედეგი აფხაზეთში ღირსეული დაბრუნება იქნება, მანამდე კი, არ შემიძლია არ გავიმეორო ერთხელ უკვე ნათქვამი: გაწეულია უდიდესი შრომა და ხარჯები, მიღწეულია ბევრი, მაგრამ მისაღწევია უფრო მეტი, ის საქართველოს შს მინისტრის კახა თარგამაძის უშუალო ხელისშეწყობით ხორციელდება, მის წინააღმდეგ გამართული კამპანია კი, რომელსაც მიზანდასახულად ახორციელებს ზოგიერთი პარტიის ლიდერი და საერთოდ, ყველა სახის დეზინფორმაცია იქითკენაა მიმართული, რომ დესტაბილიზაცია შეიტანონ ჩვენს საქმიანობაში და ხელი შეუშალონ დიდი მიზნის მიღწევას, რაც არ მოხდება, ვინაიდან ჩვენ ძალაც გვყოფნის, გონებაც და ენერგიაც, მხარი დავუჭიროთ ქვეყნის პრეზიდენტის კურსს აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში. საჭიროების შემთხვევაში კი, მზადა ვართ, იარაღით ხელში დავიბრუნოთ ჩვენი მიწა-წყალი და წინაპართა ძვალშესალაგი. საბოლოო მიზნის მისაღწევად, ყველას ვთხოვთ, გვერდში ამოგვიდგნენ, მივხედოთ ჩვენს საერთო სატკივარს, დრო და ენერგია იმაზე დავხარჯოთ, რომ ჩვენი თაობის მიერ დაკარგული მხარე შვილებს დასაბრუნებელი არ გავხადოთ.

ესაუბრა
**ქეთევან ჩ**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 27. სამშაბათი, 3 თებერვალი, 1998 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სულიერება



# სათნოებით შებურვილი ბოროტება

ცხვრის ტყავში გახვეული მგლის შესახებ ბევრი გვსმენია...

ხშირად სატანაც ნათლოვან ანგელოსად მოევლინება ადამიანს, ათას „კეთილ სასწაულს" უჩვენებს, რათა რამენაირად ჩაიგდოს ხელში ახალი სული. სახარება გვაფრთხილებს: სატანა კბილდაღრჭენილი ლომივით დაძრწის სამყაროს დასაპყრობად და სათნოებით და გონიერებით აღივსენით, უფლის ძალით დათრგუნეთ — ხახაში ნუ ჩაუვარდებითო. ზოგი ოლიმპიური სიმშვიდით აცხადებს: მე ძლიერი ვარ! სატანა ვერ მომერევაო. უდიდესი წმიდა მამები კი სიმდაბლით წერდნენ საკუთარ თავზე: მე — ცოდვილი და გლახაკი, მე — უმწეო და უმეცარიო... ისინი რწმენითა და უფლისმიერი სიყვარულით უამრავ სასწაულს იქმოდნენ, — სულიწმიდით აღვსილნი მომაკვდავებს ლოცვით კურნავდნენ, ზღვაზე ფეხით გადიოდნენ, მაგრამ შეგნებული ჰქონდათ, რომ ღვთის გარეშე უვიცნი და უსუსურნი იყვნენ. სიმონ-პეტრეს შემდეგ, რომელიც თავი მოციქულია და რწმენით — სალი კლდე, მაგრამ ერთ შემთხვევაში თვით უფალმა მცირედმორწმუნე უწოდა, ვილას უნდა ეყოს კადნიერება და თქვას: მე დიდი მორწმუნე ვარ, სატანა ვერ მომერევაო! ანდა გავიხსენოთ, რას წერს მოციქული პავლე, თესალონიკელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში: „ჩვენ კი, ძმებო, გვინდოდა — განსაკუთრებით მე, პავლეს, თქვენთან მოსვლა, მაგრამ სატანა გვაბრკოლებდა"-ო. (!) დაცემული ანგელოზი იმდენად დაბრმავებულია ბოროტებით, იმდენად დახშული აქვს გონება, რომ კაცობრიობის სახსნელად განკაცებული მაცხოვრის შეცდენაც კი განიზრახა — უდაბნოში გამოეცხადა და ყოველგვარი ამქვეყნიური ბედნიერება აღუთქვა, ოღონდაც მის ნებას დაჰყოლოდა.

წმიდა მამათა სწავლებით: სულიერად სუსტ ადამიანებს სატანა ამქვეყნიური სიამეებით უხვევს თვალებს, განსაცვიფრებელი წარმატებებით თავბრუდახვეულთ გაშლილ ხალიჩაზე არონინებს, „უფრთხილდება", ცამდე აჰყავს, რათა მერე უფსკრულში ჩაითრიოს, — ის უკვე თავისად თვლის ამ ხალხს. ამიტომაც არაფერს ერჩის, პირიქით, — მიწიერი რეგალიებით ისე ანებივრებს, რომ სრულიად უხშობს სულიერ თვალთახედვას...ბოროტი სული ათას მახეს უგებს უფლის გზაზე მავალ ადამიანს და, რაც უფრო ძლიერია ლტოლვა ნათლისაკენ, მით ძლიერია ბრძოლა, — საბრძოლო იარაღებს კი ათასნაირს არჩევს, ათასნაირად იცვლის ფერსა და იერს...

მერვე საუკუნეში, ბიზანტიაში გაჩაღებული იყო ხატმებრძოლეობა — წვავდნენ, ამსხვრევდნენ, შეურაცხყოფდნენ ხატებს... უკანასკნელ წლებში კი ბოროტება ხან ღვთისმშობლის კალთას ამოეფარება, ხან მაცხოვრის მბრწყინავ სახეს და ასე, შეუმჩნევლად იპარება ოჯახებში. ძველი ანდაზა გამახსენდა: მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უფრო მტერიაო. სწორედ ასეთი „მოყვრულად მოსული მტერი" „გამაცნო" მოძღვარმა, ამ დღეებში, წირვაზე, — გუშინ საღამოს ერთი ოჯახიდან ამოვიღეო, — შეწუხებული დიასახლისი მოვიდა და შემომჩივლა: ყველანი ავად ვართ, — ვერ გაგვიგია რა გვკლავს, იქნებ სახლი გვიკურთხოთ და გვეშველოს რამეო. გავყევი ოჯახის საკურთხებლად, — ეს „ხატი" ლამაზ ჩარჩოში ჩასმული, გამოსაჩენ ადგილზე ეკიდა; გუმანით მივხვდი, ამის მიღმა იმალებოდა ბოროტება, ჩარჩო მოვხსენი და... უკანა მხარეს გამიშვლებული ქალის მაგიური გამოსახულება! — ძლივს იკავებდა აღშფოთებას მამა ელიზბარი, თან მითითებდა: ტანის მოძრაობა ხომ რამდენად ბილწი და შემაზრზენია, ამაზე უარესია მარცხენა ხელის გაშლილი მტევანი, — ეს არის, არც მეტი, არც ნაკლები სატანისტური როკვა, სატანისტური ილეთი... პირჯვარს ვიწერთ სამი შეკრული და ორი ხელისგულზე დახრილი თითით, — როგორც ჩვენ გვაქვს ჩვენი წესები, სატანისტებსაც აქვთ მაგიური რიტუალები ხელებისა და ტანის მოძრაობით, — ხელის შეხებით მადლიც გადადის ადამიანზე და ბოროტებაც. შეხედე მაცხოვარს, როგორ გვლოცავს, მისი ხელისგული მადლსა და სიკეთეს ასხივებს, — ახლა გადმოვაბრუნოთ „ხატი" და დავაკვირდეთ ჯადოქრულად გაფარჩხულ თითებს... ასეთი „ხატები" გავრცელებულია მოსახლეობაში, ღვთისმშობლისა და რიგ წმინდანთა ზოგიერთი ხატის უკანა მხარესაც ყოფილა მაგიური სურათები და იქნებ მკითხველი გააფრთხილოთ, თავი დაიცვან „გონიერი მგლისაგან"-ო, — მთხოვა მამამ.

ერთხელ ჩემმა მოძღვარმა — მეუფე კონსტანტინემ მითხრა: ყველა ბოროტებას თავისი ბოროტი სული მართავს, — ჩვენს დროში მრუშობის ბოროტს უთქვამს მთავარი ბელზებელისთვის: სხვებს ნუ დაასაქმებ, მარტო მე ამოვავსებ ჯოჯოხეთის ბჭეებს ადამიანთა სულებითო. ეს რომ მართლა ასეა, ადვილად დავრწმუნდებით, თუ გადავავლებთ თვალს პორნოგრაფიულ პრესას, მივუსხდებით ტელეეკრანებს და დავითვლით, 24 საათში რამდენ საათს უჩვენებენ სექს-ფილმებს, თუ შევიხედავთ საკონცერტო დარბაზებში... თანამედროვე როკ-მუსიკა ხომ სხვა არაფერია, თუ არა ეროტიული ალტკინება, მკვლელობისა და ძალადობის ჩაგონება, ყოველგვარი წესრიგის უგულებელყოფა. ამ სატანისტურ როკვასთან დაკავშირებით სიტყვა-სიტყვით გავაკეთებ ამონაწერს არქიმანდრიტ ლაზარეს წიგნიდან „აღსარების საიდუმლოსა და ცოდვებისათვის", სადაც მოძღვარს გამოყენებული აქვს ქანპოლ-რექიმბალის სტატია „როკ-ენ-როლი".

„თვით „როკ-ენ-როლის" წარმოშობა დასავლეთში „ახალგაზრდობის სექსუალურ რევოლუციად" აღიქმებოდა. ეს დამანგრეველი „კულტურა" პირდაპირ ჯოჯოხეთისკენ ისტუმრებს ახალგაზრდობას. მისი გზა მოფენილია ყველაზე საძაგელი, საშინელი, სასიკვდილო ცოდვებით... და ყოველივე ამის გვერდით ხშირია უფალ იესო ქრისტეს ხსენება, ჯვრის ან მაცხოვრის გამოსახულების ჩვენება... ამგვარი სიმღერების ტექსტებში მრავლადაა ღმერთის საგმობი გამონათქვამები, ზოგჯერ კი აშკარა სატანიზმიც. იმისათვის, რომ საბოლოოდ გარყვნან ახალგაზრდობის გონება და რაც შეიძლება მეტად გაავრცელონ დემონური გავლენა, სიმღერების ჩანაწერებში ჩადებულია ე. წ. „ქვეცნობიერი ინფორმაცია", ანუ საზარელი სიტყვები, მოწოდებები, წყევლა, რაც ჩანაწერის უკუღმა მოსმენისას კარგად ისმის. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქვეცნობიერი ფენა იჭერს ამ ფრაზას მაშინაც კი, როდესაც სიმღერა მსმენელთათვის უცნობ ენაზეა დაწერილი. (!)

აღსანიშნავია, რომ „როკ-ენ-როლის" ყველა ავტორი „სატანური ეკლესიის" წევრია, ხოლო როკ-ჯგუფების უმრავლესობა ამა თუ იმ ლუციფერულ რელიგიას აღიარებს. როდესაც ფირფიტას უშვებენ, ანდა ახალი სიმღერის კონცერტზე გატანას აპირებენ, ისინი თავიანთი „ტაძრის" ქურუმს სთხოვენ მოაჯადოოს ეს ნაწარმოები, რათა წარმატება მოიპოვონ. ამ რიტუალის შემდეგ, როდესაც ფირფიტის „შესალოცად" უამრავ დემონს მოუხმობენ, ამავე დემონებს ევალებათ მსმენელზე ზეგავლენის მოხდენა. (!)

ელის კუპერმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ დემონთან დადო ხელშეკრულება და ამ ამბავმა მას დიდი აღიარება მოუპოვა.

მიკ ჯაგერი („როლინ სთოუნზის" წევრი) სატანის კულტის მსახური იყო და შავი მაგიის ყველა საიდუმლო კარგად იცოდა. თავის თავს იგი „ხორცშესხმულ ლუციფერს" უწოდებდა.

ჯონ ლენონმა „ეშმაკის თეთრი ალბომის" საჯარო შესრულებისას თქვა: „ქრისტიანობა გადაშენდება — იგი დაპატარავდება და მერე გაქრება. ჩვენ ახლა უფრო პოპულარულები ვართ, ვიდრე იესო ქრისტე!"

„ლედ ზეპელინების" ჯგუფის სიმღერაში „კიბე ცისკენ" მესამე სტროფის უკუღმა მოსმენისას გამოდის: „მე უნდა ვიცხოვრო სატანისათვის".

„ბლეკ ოუკ არკანზასის" ჯგუფის სიმღერაში „როდესაც არკანზასში ელექტრობა შემოვიდა", ერთ-ერთი ნაწილი უაზრო სიტყვების გროვას წარმოადგენს. უკუღმა მოსმენისას გამოდის: „სატანა... სატანა... სატანა... იგი ღმერთია... ღმერთია... ღმერთია"... რის შემდეგაც გაისმის დემონური სიცილი.

ფირფიტების ჩასაწყობი პაკეტებიც კი უკიდურესად გამომწვევადაა გაფორმებული. ესაა ეგზოტიკური და ეროტიული, სატანური და სადისტური სურათები — გადმობრუნებული სამკუთხედები, პირამიდები, პენტაგრამები, მაგიური წრეები და მრავალფეროვანი ჯადოსნური სიმბოლიკა...

როკ-კონცერტების უმრავლესობას დიდი მსხვერპლი ახლავს, — გონდაკარგული ბრბოს ზედახორაში ზოგს თელავენ ან ახრჩობენ, ზოგს კი ნარკოტიკების ზედმეტი დოზა უღებს ბოლოს. ლოს-ანჯელესში ერთ-ერთ კონცერტზე 650 ახალგაზრდა დაილუპა, — ჟურნალისტ ქალს, ჯუდი არგაზონის, რომელსაც შემთხვევის ადგილიდან რეპორტაჟი მიჰყავდა, სატანამ ყურში ჩასჩურჩულა: „კარგად დააკვირდი, ეს ჩემი ნადავლია! ამ დარბაზში ჩემი ნადავლის გამოფენაა!"

ახლა კი მოვიყვან არა უკუღმა მოსმენილ სიტყვებს, არამედ პირდაპირ ტექსტს, რომელსაც „ა-ეს-დ-ეს"-ის ჯგუფის წევრები მღერიან: „არავის დავზოგავ, ვერავინ შეძლებს წინ აღმიდგეს! მე მოვიპოვე ჩემი ზარები და ჩემთან წაგიყვან, იქ, ჯოჯოხეთში! შენ ჩემი იქნები!.."

სამწუხაროდ, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობასთან ერთად ქართველი ახალგაზრდების უმეტესობაც გატაცებით ისმენს როკ-პოპ-ბიტ-ჰარდ-პანკ მუსიკებს და ვერც კი გრძნობენ, როგორ ეხვევიან სატანის ბადეში, როგორ ნელ-ნელა ეშვებიან უფსკრულისაკენ და პირდაპირ ხახაში უცვივდებიან „გონიერ მგელს".

ამის საპირისპიროდ მოგახსენებთ, თუ როგორ მკურნალობდა ავადმყოფებს ერთი ფრანგი მუსიკათმცოდნეობის დოქტორი, რომელმაც სორბონის უნივერსიტეტში გახსნა ქართული ხალხური სიმღერების კაბინეტი და ჩვენი ეროვნული პანგების მოსმენით კურნავდა: პანკებს, ჰიპებს, ბიტნიკებს, მაოისტებსა და სხვა დანგრეული ფსიქიკის ხალხს. ყოველი სეანსის შემდეგ პაციენტები დამშვიდებული გონებით გამოდიოდნენ კაბინეტიდან.

ქართული ხალხური მელოდიებით მკურნალობის სეანსები წარმატებული იყო იმითაც, რომ ქართული ხალხური სიმღერები არა მარტო ყოფითი ხასიათის ხალხური მუსიკაა, არამედ იგი არის უძველესი ჰიმნები და საგალობლები.

მოგეხსენებათ, რა დიდ შეფასებას აძლევდა ქართულ ხალხურ სიმღერებს დიდი ამერიკელი კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი. იგი წერდა: ჩემი უკანასკნელი წლების ყველაზე დიდი მუსიკალური შთაბეჭდილება ქართული ხალხური სიმღერებიაო.

უცხოელების საერთო აღიარებით, ქართული ხალხური მელოდიები — ეს არის საოცარი, უნიკალური ფენომენი.

სიტყვამ მოიტანა და გამახსენდა, რა მითხრა ერთხელ, ქართულ ხალხურ სიმღერებთან დაკავშირებით, ცნობილმა პედიატრმა, პროფესორმა ირაკლი ფაღავამ: ახალშობილებში ნევროზული მოვლენების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ორსულობის პერიოდში დედა ისმენდა როკ-მუსიკებს, ხოლო ის ქალები, რომლებიც ორსულობის დროს რეგულარულად ისმენენ ქართულ ხალხურ მელოდიებს, ყოველთვის ჯანმრთელ ბავშვებს ბადებენო.

...ახლა დავუბრუნდეთ ისევ ე. წ. „თავისუფალ სიყვარულს", რომლის აგიტაციასაც აგრე საგულდაგულოდ ეწევიან პორნოგრაფიული ჟურნალ-გაზეთები, გარკვეულწილად ტელევიზია და საკონცერტო დარბაზები, თავისი გამაყრუებელ-გამომათაყვანებელი „თანამედროვე" სიმღერებით.

ამ თემაზე ქართულ პრესაში პირველი წერილი გამოჩნდა 1989 წლის მიწურულს, — ერთი ქალბატონი, გაზეთში „სახალხო განათლება", ეგზომ პათეტიკური ტონით წერდა „თავისუფალი სექსის" შესახებ. ალბათ, „სახალხო განათლებაც" იმიტომ შეარჩია, რომ „განათლება" შეეტანა სექსის სფეროში. მერე არ იკითხავთ რა დაარქვა წერილს? — „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ნეტავი ამ „განმანათლებელმა ქალბატონმა" თუ იცოდა, ან ახლა მაინც თუ უწყის, ვის და რას ეხება ეს სახარებისეული ფრაზა?!

აღსანიშნავია, რომ „განმანათლებელმა" ვერ გაბედა თავისი ვინაობის გამხელა და „ქართველი მანდილოსნის" (!) ფსევდონიმს ამოფარებულმა ხმამაღლა განაცხადა: „ქალიშვილობის ინსტიტუტი" უნდა გაუქმდეს"-ო! — თანაც დასძინა: „ვიცი, საზოგადოების ნახევარზე მეტი მიწოდებს ამორალურ ქალს, მე კი მშვიდად ვარ"-ო. (აფერუმ, მის „ქალობას")!

მაშინ ჩემს მეტი არავინ შებრძოლებია ამ გამხრწნელ „შეგონებას", „რაციონალიზატორთა ბანაკში" კი მრავლად დაირაზმნენ ჩემს წინააღმდეგ; თუმცა, მათდა სავალალოდ, რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, მაინც დამარცხდნენ, დამარცხდნენ, რადგან სიმართლე თავიდან ბოლომდე ჩემს მხარეზე იყო, — პოზიციას ისიც მიმტკიცებდა, ჩემი ოპონენტები ფსევდონიმებსა და ინიციალებს მიღმა რომ იმალებოდნენ, მე კი მოსარიდი არავისთან არაფერი მქონდა...

სიყვარული უმაღლესი და უფაქიზესი გრძნობაა გრძნობათა მორის — ზეგარდმო ნიჭია უზენაესისაგან რჩეულთათვის ბოძებული. სამწუხაროდ, „თანამედროვენი" ავხორცობასაც სიყვარულს ეძახიან, — სულგანათლებული მორის ფოცხიშვილი ერთ ლექსში წერდა: „ფეხით გასრესილ სიგარეტივით პარკეტზე ეგდო ერთადერთი სიტყვა: „მიყვარხარ!"

ხშირად ოჯახები იქმნება ანგარებით, უსიყვარულოდ, ამიტომაც არის ასე მაღალი განქორწინების სტატისტიკა... ზოგჯერ ოჯახები არც იქმნება — ადამიანებს ერთმანეთი სჭირდებათ სხვადასხვა მოსაზრებით და სიყვარულის ნიღაბს შესანიშნავად მოირგებენ ხოლმე, — მათი „ბედნიერება" კი საპნის ბუშტია და სხვა არაფერი!

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი ილია II ერთერთ ეპისტოლეში აღნიშნავს: „ოჯახზე რომ ღვთის ლოცვა-კურთხევა გადმოვიდეს, ცოლქმარს აუცილებლად ტაძარში უნდა ჰქონდეს ჯვარი დაწერილი; ხოლო თუ ისინი ჯვარდაუწერელნი არიან, მათი ურთიერთობაც და შვილებიც უკანონო და ღვთის კურთხევის მადლს მოკლებულნი არიან".

საქართველო პატარა ქვეყანაა... თუ ოჯახის სიწმინდეს არ გავუფრთხილდებით და „რაციონალიზატორთა მოწოდებებს" ავყვებით, სულ რამდენიმე წელიწადში ოჯახები საერთოდ აღარ შეიქმნება; — „თავისუფალი სიყვარულის" შედეგად მოვლენილი თაობა კი როგორ უპატრონებს ქვეყანას ამაზე აღარაფერს ვიტყვი...

ქართველებს მიმბაძველობის საოცარი უნარი გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, უცხოელთა დადებით თვისებებს ხშირად გვერდს ვუვლით და თავდავიწყებით გადავეშვებით ხოლმე მორევში, სადაც ისინი ინთქმებიან.

საილუსტრაციოდ მოვიყვან მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ტელევიზიის მაგალითს: მოგეხსენებათ, 51 შტატში 306-მდე ტელეარხია, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ უჩვენებენ იმ საზიზღარ ფილმებს, რომლებსაც ჩვენი ტელევიზია, განსაკუთრებით — „რუსთავი-2", ასეთი ხალისით აჩვენებს. არც ერთი ნორმალური ამერიკელი პორნოგრაფიულ ფილმებს არ უყურებს, — იქ ასეთ ფილმებს თავისი აუდიტორია ჰყავს, რისთვისაც დამატებით არხს ართვევინებენ და საამისოდ ცალკე გადასახადს იხდიან. არათუ ოჯახებში, სასტუმროებშიც კი, ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე, ვერავინ ნახავს სექს-ფილმებს.(!)

თუ 267-მილიონიანი, „ჭრელი" ამერიკა უფრთხილდება თავისი მოზარდების ფსიქიკას, რა გვჭირს ასეთი ერთ მუჭა ქართველებს, ოჯახებში ტელევიზორი რომ ველარ ჩაგვირთავს?!

...საინტერესოა, ის „ხატები", რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, ქართველების „ორიგინალური ნააზრევია" თუ სხვათა მიბაძვითაა შექმნილი? ან, იქნებ, ქართველები არაფერ შუაში არიან და უცხოელებმა შემოგვატყუეს?! ასეა თუ ისე, ამის დადგენას ახლა აზრი აღარ აქვს, — მთავარი ისაა, რომ ჩვენი საერთო მტრის სახელია სატანა, მას არც ეროვნება გააჩნია და არც რასა, — მას მხოლოდ და მხოლოდ უნდა ვერიდოთ! ამ ჩემს წერილს კი დავასრულებ სახარებისეული შეგონებით: „იყავით ბრძენნი, ვითარცა გველნი და უმანკონი, ვითარცა ტრედნი!"

*P. S. მაგიური სურათი არ დავბეჭდეთ, რადგან იგი უარყოფით ველს ქმნის, ჩვენ კი ვუფრთხილდებით მკითხველის ფსიქიკას.*

*გასულ კვირას, ეს „ხატი" სიონში წავიღე და მრევლს ვაჩვენე, ერთ ჩემს ახლობელს აღმოაჩნდა ზუსტად ასეთი „ხატი" და რომ გავაანალიზეთ, ამ „ხატის" შემოტანის შემდეგ ბევრი უბედურება დაატყდა მათ ოჯახს. ერთმა ქალბატონმა კი მიამბო: ჩემს მეზობელს, კომუნისტების დროს, 600-მანეთიანი დიდი ხატი აჩუქეს, კურთხევისას, მოძღვარი მიხვდა, რაღაც იმალებოდა ძვირფასი ჩარჩოს მიღმა (არა და, ეს იყო მართლმადიდებლურად შესრულებული უფლის სახე), — გახსნეს ხატი და უკანა მხარეს ნახეს სატანისტური ნახატიო!*

*P. P. S. ამ დღეებში საპატრიარქოში გამართულ პრესკონფერენციაზე, საგანგებოდ აღინიშნა, რომ სატანისტები სანთლებშიც ურევენ მაგიურ ქონებს და მიზანდასახულად ავრცელებენ მოსახლეობაში. (!)*

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი.

## თანამედროვე

# მსოფლიო საგანძურის ნიმუშები — თბილისს!

დღეს გვინდა გესაუბროთ ცნობილი ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწის, საერთაშორისო ორგანიზაციის — „მაქაბის" მსოფლიო კავშირის საქართველოს საზოგადოებისა და კულტურის ცენტრის პრეზიდენტის, საერთაშორისო ფესტივალებისა და პრემიების ლაურეატის, საქართველოს ეროვნული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გურამ პაატაშვილის ფრიად მნიშვნელოვან საქმიანობაზე.

გურამ პაატაშვილს თავისი მოღვაწეობითა და არაერთი სასიკეთო საქმით მრავალჯერ უსახელებია თავი. მისი საბალეტო სუიტები და ერთმოქმედებიანი ბალეტები „პოემა სიყვარულზე", „გაზაფხულის ნიავი", „ჯადოსნური ფერია", „გულთა ტრაგედია", „მანდილი", მონოოპერები: „სიზმარი ტყეში", „ფშაური ჩანამღერები", „სვეტიცხოველი", „ორი სამშობლო", სიმფონიები „კორჩაგინი", „დიდი მოურავი", „უკვდავება", 24 პრელუდია, კომპოზიციები — „მიქელანჯელო", „მოციმციმე ვარსკვლავები", საფორტეპიანო სონატები და პიესები, შესრულებული და გამოცემულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთაც. მისი მუსიკალური ნაწარმოებების წარმატებების შესახებ არაერთხელ აღნიშნულა მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. იგი დაჯილდოებულია მთელი რიგი საერთაშორისო საპატიო დიპლომებით, წოდებებითა და სიგელებით. დიდია მისი წვლილი ექსპერიმენტული კამერული მუსიკალური თეატრის წარმატებაში, როგორც მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელისა და ერთ-ერთი დამაარსებლისა.

გურამ პაატაშვილის თაოსნობით მრავალი ერთობლივი ღონისძიება განხორციელდა საზღვარგარეთის კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენლებთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად. გაიმართა კონცერტები, გამოფენები, საღამოები, შეხვედრები, ლექციები ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, ისრაელის, ინგლისის, პოლანდიის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის, იტალიის და სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად. ყოველივე ამით გურამ პაატაშვილი ხელს უწყობს ქართული კულტურის მოღვაწეებისა და საზღვარგარეთის კულტურის წარმომადგენელთა მჭიდრო კონტაქტებს, რაზეც არაერთხელ წერდა პრესა.

გურამ პაატაშვილი 1993-95 წწ. პარალელურად მოღვაწეობდა საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტად, შემდეგ კი საპარლამენტო უმრავლესობის საგარეო ურთიერთობათა მრჩევლად კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში. სწორედ მაშინ, საქართველოში ომიანობისა და ძნელბედობის ჟამს, გურამ პაატაშვილის მიერ გერმანიის ხელოვნების, მედიცინისა და სახელმწიფო მოღვაწეების მხარდაჭერით, საქართველოში 1993 წლის იანვარში ჩამოიტანეს და გაანაწილეს 24-ტონიანი დიდძალი ჰუმანური დახმარება (მედიკამენტები, საკვები, სამედიცინო მოწყობილობა, სტომატოლოგიური და ქირურგიული ინსტრუმენტები, სისხლის გადასხმის მოწყობილობანი, ბავშვის საზრდო, ინვალიდთა ეტლები, ქირურგიული საოპერაციო მოწყობილობანი, საკაცეები, ზეწრები, ლეიბები, საწოლები, ხალათები, ბავშვის ტანსაცმელი, სათამაშოები, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი და სხვ.).

განმეორებითი ოცდაოთხტონიანი ჰუმანიტარული დახმარება კვლავ ჩამოიტანეს საქართველოში 1993 წლის ივნისში, რომელიც გაუნაწილდა უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს, ლტოლვილებს, ავადმყოფებს, საბავშვო სახლების აღსაზრდელებს, ინვალიდებს, მეომრების ოჯახებს, რის გამოც გ. პაატაშვილმა განსაცდელში მყოფი უამრავი ადამიანის გულწრფელი მადლიერება დაიმსახურა.

გურამ პაატაშვილმა ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში თავი მოუყარა და მის პირად არქივში ინახება საქართველოს კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა უნიკალური ხელნაწერები, ფოტოსურათები, ადრინდელი ეპოქისა და გასული საუკუნეების ამსახველი დოკუმენტები, რომლებსაც დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და უდავოდ ქართული კულტურის საგანძურს შეადგენს. დიდი ნაწილი ამ სურათებისა გამოუქვეყნებელი და უცნობია ფართო საზოგადოებრიობისთვის, ნაწილი ამ სურათებისა გურამ პაატაშვილმა გამოაქვეყნა თავის საინტერესო წიგნებში: „სახელოვანი გზა", „ხელოვანი და ცხოვრება", „ისტორიის ფურცლები", ხელოვნების ოსტატები", „დასაწყისი" და სხვ.

ვესაუბრებით ბატონ გურამ პაატაშვილს.

***— თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით გვიამბოთ თქვენი პირადი არქივის ადრინდელი ეპოქის ამსახველ მასალებზე.***

— გასულ საუკუნეებს მოიცავს ზოგიერთი მასალა, მათ შორის, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ პირველად გამოცემული ქართული წიგნების ამსახველი დოკუმენტები: ბიბლია, წინასწარმეტყველთა წიგნის 1 გვ. (თბილისი, 1709-1722); კონდაკი, თაეფურცელი და უკანასკნელი გვერდი (თბილისი, 1710); „ვეფხისტყაოსანი" — ვახტანგის პორტრეტითურთ, თაეფურცელი (თბილისი, 1712); ჟამი, თაეფურცელი (თბილისი, 1710, 1722); მარხვანი, თაეფურცელი და გვერდი ერეკლე მეფის წიგნებიდან (მოსკოვი, 1741); სახარება, თაეფურცელი და ვახტანგის წინასიტყვაობა (თბილისი, 1709); პირველი სასწავლო ყრმათათვის (მოსკოვი, 1739); პარაკლიტონი ვახტანგის პორტრეტით (თბილისი, 1720); ქართულ-იტალიური ლექსიკონი, თაეფურცელი და გვერდი (რომი, 1629); სულხან-საბა ორბელიანის ხელნაწერი გვერდი; კურთხევა ეკლესიისა (თბილისი, 1719); მარხვანი (თბილისი, 1793); ბიბლია, თაეფურცელი (მოსკოვი, 1743); უსწორო კარაბადინი (XI ს.) — ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი, რომლის მიხედვითაც აღდგენილი იქნა დაკარგული ტექსტი; გვერდი წიგნიდან „საქიმიო" (XIII-ს.); მანჯიო, ქართული ენის გრამატიკა, თაეფურცელი (რომი, 1670); გვერდი წიგნიდან „ადამიანის ბუნების შესახებ"; სახარება, ვნების კვირიაკისა (ქუთაისი, 1803); გვერდი ქმნილების ცოდნის წიგნისა ვახტანგის წინასიტყვაობით (თბილისი, 1721); საქრისტიანო მოძღვრება მარტვილთათვის, თაეფურცელი (რომი, 1741); ცხოვრება საქართველოსა, თაეფურცელი (ბროსეს გამოცემა, პარიზი, 1828); ქართული ანბანი ლოცვებითურთ, თაეფურცელი და გვერდი (რომი, 1629); ლოცვანი, თაეფურცელი და გვერდი (თბილისი, 1710, მოსკოვი, 1768); ეპისკოპოსთა მიმართ, პირველი და უკანასკნელი გვერდები (თბილისი, 1768); მისალმება თეიმურაზისადმი (ს-პეტერბურგი, 1761); მოკლე კარაბადინი, თაფურცელი (მოსკოვი, 1828); მანიფესტის გვერდი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა (მოსკოვი, 1801); განწესება შინაგან საქართველოსა შინა მმართველობისა (მოსკოვი, 1801); შტატი საქართველოსა შინა დანიშნულთა მმართებლად მოხელეთათვის (მოსკოვი, 1801), დავითნი, თაეფურცელი (თბილისი, 1709, 1711, 1716, 1749); დავითნი, გვერდი (მოსკოვი, 1705); ვახტანგ VI ხელნაწერი; გვერდი დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდიდან" ბაგრატიონთა ღერბი, ნიმუში (მოსკოვი, 1738); იოანე ბაგრატიონის წინასიტყვაობა სამედიცინო წიგნისათვის (ხელნაწერი); აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი I, თაეფურცელი (თბილისი, 1893); არსენას ლექსი, თაეფურცელი (თბილისი, 1892); „ვისრამიანი" (1884); იონა ბაგრატიონის „კალმასობა"; ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი; ქართული მწერლობა, წიგნი პირველი (ტფილისი, 1878); და მრავალი სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ხელნაწერები, ფოტოები, გასული საუკუნის ძველი თბილისის ხედები, ისტორიული მოვლენების ამსახველი მასალები.



რუსული კულტურის ამსახველი ხელნაწერები და საბუთები, მათ შორის, — ტოლსტოის, პუშკინის, ლერმონტოვის, დოსტოევსკის, გოგოლის, ჩეხოვის, ლომონოსოვის, ნეკრასოვის, ტურგენევის, კრილოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, გორკის, მაიაკოვსკის, კუპრინის, ბლოკის, ესენინის, პასტერნაკის, სტანისლავსკის, მეიერჰოლდის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, რიმსკი-კორსაკოვის, გლინკას, ბოროდინის, მუსორგსკის, დარგომიჟსკის, რუბინშტეინის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, ხაჩატურიანის, მიკლუხო-მაკლაის, ციოლკოვსკის, კუტუზოვის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის ხელნაწერები და ავტოგრაფები, რუსული დამწერლობის პირველი გამოცემების საბუთები. მათ შორის: შექსპირის, გოეთეს, შილერის, ჰაინეს, ბალზაკის, ბაირონის, სერვანტესის, მოპასანის, ფლობერის, გოლზუორთის, დიკენსის, თაგორის, ჰემინგუეის, მიცკევიჩის, მარკ ტვენის, რომენ როლანის, თომას მანის, ფრანსუა რაბლეს, ჟან-ჟაკ რუსოს, ბეთჰოვენის, ბახის, მოცარტის, შოპენის, შუმანის, შუბერტის, ვერდის, გუნოს, მენდელსონის, ბიზეს, ბელინის, დებიუსის, ლისტის, პუჩინის, გრიგის, ბერლიოზის, პაგანინის, მეიერბერის, ვაგნერის, ვებერის, ბრუკნერის, ლუდოვიკო მეორის, ლეონარდო და ვინჩის და მრავალი სხვა.

ებრაული ისტორიისა და კულტურის ამსახველი ხელნაწერები, საბუთები, გამოჩენილ მოღვაწეთა ავტოგრაფები, ფოტოები, მათ შორის, დადგენილებათა გვერდი „პალახოთ გუდოლოთიდან" (ვენეცია, 1648); გვერდი ე.წ. „სერვერის" ბიბლიიდან (ესპანეთი, 1300); ხასდაი იბნ შაპრუთის წერილი ხაზართა მეფის ჟოენ იოსებისადმი (კრაისტ ჩერჩის ბიბლიოთეკიდან, ოქსფორდი, X ს); მინიატურა ე.წ. კენიკოტის ბიბლიიდან (ესპანეთი, XV ს); „ზოჰარის" სატირული გვერდი (ვენეცია, 1548); ხუთწიგნეულის აბრამ იბნ ეზრასეული კომენტარები (ნეაპოლი, 1488); რამბამის „მიშნე თორის" ხელნაწერის გვერდი (პორტუგალია, 1472); იეჰუდა მაქაბი (საფრანგეთის მუზეუმი, პარიზი, XVI-ს); მოსე მაიმონდის, ჰენრიხ გრეტცის (ფილადელფია, პენსილვანია, აშშ); ბენჟამენ დისრაელის (შეარდონის კოლექცია, იერუსალიმი); ფსალმუნების პირველი ივრითული გამოცემის გვერდი დავით კიმხის კომენტარებით (1477); იოსებ აგნონის, ალბერტ აინშტაინის, შალომ ალეიხემის ავტოგრაფები და მრავალი სხვ.

აზიური კულტურისა და ისტორიის ამსახველი საბუთები, ფოტოები, ავიცენას კანონები და სხვა მრავალი.

ზემოაღნიშნული საუკუნეების ხელნაწერები, გამოცემები და მასალები აღდგენილია და გადაღებულია ძირითადად ადრე, ძველად გამოცემული წიგნებიდან, რომლებიც დღეს იშვიათობას წარმოადგენენ, რაც მთავარია, აღდგენისა და გადაღების პროცესმა საგრძნობლად გააუმჯობესა ხელნაწერთა და მასალების ხარისხი, ყველა ზემოაღნიშნული ხელნაწერი, გამოცემა და მასალა თავისუფლად იკითხება და თავის დანიშნულებას ასრულებს, როგორც ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი და კულტურის ძეგლი.

გურამ პაატაშვილის მიერ ფასდაუდებელი, საშვილიშვილო საქმეა განხორციელებული — ერთად თავმოყრილი ყველა ზემოაღნიშნული ხელნაწერი, გამოცემა და მასალა დიდ იშვიათობას წარმოადგენს და, რაც მთავარია, საუკეთესო ხარისხით არის შემონახული, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ღირებულებას ანიჭებს მის არქივს.

ცოტა ხნის წინათ გურამ პაატაშვილს ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გადაეცა გერმანული მედალი „ხელოვნებას არა აქვს საზღვრები", ხოლო სამშვიდობო მისიაში, მსოფლიოს მთელ რიგ სამშვიდობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ხელოვნების, მეცნიერების და სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთობლივ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის და შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, რომელიც იმართებოდა გაეროსა და იუნესკოს ეგიდით, დაჯილდოვდა საერთაშორისო ორგანიზაციის „მშვიდობის მედროშის" საპატიო დიპლომითა და მედლით.

ძალზე სასურველი იქნებოდა დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში გამოყოფილიყო სათანადო ფართობი, ბატონ გურამ პაატაშვილის სახლ-მუზეუმისთვის, სადაც გამოიფინებოდა ყველა ზემოხსენებული იშვიათობა, სამუზეუმო ექსპონატები მუდმივმოქმედი ექსპოზიციის სახით, — რომელთა დათვალიერება და გაცნობა ზედმიწევნით საინტერესოა ყმაწვილთათვის, ასევე ფართო საზოგადოებრიობისთვის, უცხოელი სტუმრებისთვისაც. გარდა ამისა, ქალაქს შეემატება კიდევ ერთი ახალი კულტურის კერა, რომელიც ქართული კულტურის ისტორიას წარმოაჩენდა და მსოფლიო კლასიკოსთა სულიერ სამყაროში ჩაგვახედებდა.

ამჟამად თბილისში სათანადო ფართობის უქონლობის გამო, ფონდი ინახება მოსკოვში.

შარშან გერმანიის „შმიტი და კომპანიის" პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს თბილისში გურამ პაატაშვილის სახლ-მუზეუმის მშენებლობის დაფინანსებაში.

1993 წლის 26 ივლისს საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობის მიერ ქალაქის მერს ამ არქივისთვის სათანადო ფართის გამოყოფისათვის გაეგზავნა წერილი, რომელსაც ხელს აწერს ქართული ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ორმოცდაათზე მეტი გამოჩენილი წარმომადგენელი.

ვიმედოვნებთ, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე, მალე ვიხილავთ გურამ პაატაშვილის სახლ-მუზეუმს, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული და მსოფლიო კულტურის ამსახველი უნიკალური ნიმუშები, რომლებიც შემონახულია დიდი მზრუნველობითა და სიყვარულით...

მირანდა მუშლაძე.





ალბათ, მართლაც განუმეორებელ გრძნობას განიცდიან ნიჟნი ნოვგოროდის (რუსეთი) ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის პაციენტი ბავშვი, რომლებსაც ცხენით ასეირნებენ. ექიმთა დაკვირვებით, ამას სიამოვნების გარდა მნიშვნელოვანი სამკურნალო ეფექტიც მოაქვს.

გაჭირვება რას არ გაქნევინებს?! აი, ეს გოგონა საყვარელ ძაღლს ყიდის მოსკოვის ერთ-ერთ ბაზარზე.

## მანქანების გატაცება — სარფიანი ბიზნესი

შარშან კანადაში მოიპარეს 180 ათასზე მეტი ავტომობილი, — იუწყება კანადის გაზეთი „გლობ ენდ მეილი“. ეს ათი პროცენტით მეტია 1995 წელთან შედარებით და ორჯერ მეტი, ვიდრე 10 წლის წინათ. ავტომობილის ქურდების გაფაციცების ყურადღების საგანია, ძირითადად, ძვირფასი მანქანები, როგორიც არის: ბმვ, მერსედესი, პორშე, იაგუარი. პოლიცია იძულებულია დაადასტუროს, რომ დამნაშავეთა შემოსავალმა გასულ წელს ნახევარ მილიარდ დოლარს გადაამეტა. ძირითადად, მოპარული ავტომობილები გადაჰყავთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მათ ახალი პატრონი ელოდება, კანადელები კი გულში მჯიღს იცემენ. ვერავითარი გატაცების საწინააღმდეგო სისტემები, დაცული სადგომები და გარაჟები ვერ აჩერებს დამნაშავეებს. მათი მოქმედება სულ უფრო უტიფარ ხასიათს იღებს. მძარცველები დღისით-მზისით სულ რამდენიმე წამშიართმევენ მფლობელს საყვარელ პირმშოს. კანადის პოლიციის მონაცემებით, დანაშაულობათა ჩამდენნი ძირითადად არიან 15-დან 20 წლამდე ასაკის მოქალაქენი.

## მოაქცევს რომის პაპი კუბას?

რომის პაპმა იოანე პავლე II-მ გამოთქვა იმედი, რომ მის ვიზიტს კუბაში დემოკრატიული ცვლილებები მოჰყვება, — იუწყება როიტერის სააგენტო. ყოველკვირეული აუდიენციის დროს პონტიფექსმა გაიხსენა თავისი ვიზიტი პოლონეთში 19 წლის წინათ. სწორედ კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ჩასვლამ შეუწყო ხელი პოლონელთა მენტალიტეტში გადატრიალების მოხდენას და საბოლოოდ — პოლონეთში კომუნიზმის დამხობას. „იმედი მაქვს, რომ თვალწარმტაც კუნძულზე სამლოცველო მოგზაურობა ჩემს ერთმორწმუნე და-ძმას მოუტანს იგივე ნაყოფს, რაც თავის დროზე მოუტანა ჩემს თანამემამულეებს“, — თქვა იოანე პავლე II-მ.

## გაშური საქართველოსთან

### ბობ უოლში და სხვა ადგილობრივი ინვესტორები სამხრეთ კავკასიაში

„სიეტლ ტაიმსი“. არტურ გარლიკი.

ყოფილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა საუკუნეების მანძილზე არაერთხელ დაუპყრიათ რომაელებს, სპარსელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, თურქებს და რუსებს.

ამ ბოლო წლების განმავლობაში იგი „დაიპყრეს“ სიეტლელებმა, – ამ თვეში მათ რიცხვს შეემატა კიდევ ორი ჯგუფი და გაემგზავრა ამ მთიან სამხრეთ კავკასიის ქვეყანაში.

ჯგუფს ხელმძღვანელობდა ვაშინგტონის უზენაესი სასამართლოს ყოფილი უფროსი მოსამართლე სიეტლელი ქით ქლოუ. როგორც ცნობილია, მან ადრე დახმარება გაუწია კანონების სისტემის ჩამოყალიბებაში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს – ესტონეთსა და ყირგიზეთს. ქით ქლოუ ახლა გაემგზავრა თბილისში, რათა დახმარება გაუწიოს ქართველ იურისტებს ანტიმონოპოლიური კანონების შემუშავებაში.

ასევე თბილისს ეწვია ქრეიგ ჯონსტონი, ყოფილი ქინგ ტელევიზიის მენეჯერი, საქართველოს ტელევიზიის სპეციალისტების დასახმარებლად სარეკლამო მასალების მომზადებაში, სადაც ადრე არ ჰქონდათ ამის გამოცდილება.

უფრო ადრე კი სიეტლის ინვესტორების ჯგუფმა ბობ უოლშის ხელმძღვანელობით, რომელიც 1990 წლის კეთილი ნების ასპარეზობის ორგანიზატორი იყო სიეტლში, თბილისის მთაზე შეისყიდა ნაკვეთი სასტუმროს, რესტორანის, კაზინოს, ოფისების, მაღაზიების და კვების ცენტრების გასახსნელად.

„ეკონომიკა საქართველოში ძალიან კარგად ვითარდება“, – ამბობს ქლოუ.

ქართველები დარწმუნებული არიან, რომ ეკონომიკა კიდევ უფრო განვითარდება საქართველოში. მათი სურვილია, რაც შეიძლება მეტი ინვესტორი დააინტერესონ თბილისში ჩამოსვლით, რათა ხელი შეუწყონ მათ ქართული ნაწარმის — ხილის, ღვინის და სხვა პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციაში.

ჯონსტონის მოგზაურობა საქართველოში დასპონსორებული იყო „ინტერნიუსი“-ს მიერ, ორგანიზაციისა, რომელიც დაარსდა ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში ჟურნალისტების ინტერესების დასაცავად. ჯონსტონი აღნიშნავს, რომ თუ გინდათ მიაღწიოთ სატელევიზიო სარეკლამო მუშაობის ეფექტიანობას და ხელოვნების დონეზე აყვანას, ამისათვის აუცილებელია მისცენ სადგურებს ფინანსური დამოუკიდებლობა და განთავისუფლდნენ იმ ცდუნებებისაგან, როგორიცაა ახალი ამბების რეპორტაჟის გაყიდვა.

სიეტლის კავშირს საქართველოსთან უფრო ღრმა ფესვები აქვს ვიდრე სამართალი და ჟურნალისტიკაა. საქართველოსთან კავშირის დამყარების გამომხატველ ინვესტორებს შორის გარდა ბობ უოლშისა არიან:

– ბრუსს მაქქაუ – რომლის ოჯახი ტელეკომუნიკაციის ინდუსტრიის პიონერი იყო.

– იურგენ ბარტალსი – უესტინ ჰოტელებისა და კურორტების დამფუძნებელი სიეტლში.

– ჯეკ მაქმილანი – ნორდსტრომ ინკორპორეიშენის თანათავმჯდომარე.

– პრიცილა ბულიტ კოლონზი – ქინგ სატელევიზიო არხის დამაარსებლის ქალიშვილი.

„ამჟამად ჩვენ ვართ ერთადერთი ყველაზე დიდი ინვესტორები საქართველოში და ვფიქრობთ, რომ სხვა ინვესტორების ჯგუფებიც შემოგვიერთდებიან და საბოლოოდ ჩამოვლენ საქართველოში“ – ამბობს ბობ უოლში. „საქართველოში ჩვენ ბევრად უფრო დავწინაურდით, ვიდრე ინვესტორები სხვა ქვეყნიდან – გერმანიიდან, საფრანგეთიდან და სხვ. საქართველო მომავალში მალე გახდება ერთ-ერთი უდიდესი საინვესტიციო კერა. ახლა მრავალი ცდილობს იქ თავის შესაძლებლობების ძიებას“.

გასულ თვეს ბობ უოლში არქიტექტორებთან და ინჟინრებთან ერთად ეწვია თბილისს, სიეტლელების მიერ ჩასატარებელი სამუშაოების შესამოწმებლად. ამ ჯგუფის პროექტი შეიცავს 226-ნომრიანი სასტუმრო „თბილისის“ აღდგენა-რესტავრაციას, რომელიც დაინგრა სამოქალაქო ომის დროს. ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. აღდგენის შემდეგ სასტუმრო „თბილისს“ ეწოდება „ვესტინ ჰოტელი“.

ასევე რესტავრაცია გაუკეთდება და განახლდება რესტორანი, კაზინო და სხვა შენობა-ნაგებობანი მთაწმინდაზე, საიდანაც მოსჩანს ქალაქ თბილისის შესანიშნავი პანორამა. საქართველოსადმი ინვესტორების ასეთი დაინტერესება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს აქვს სტრატეგიული მდებარეობა აზიასა და ევროპას შორის. სწორედ ეს გახლავთ ყველაზე უმოკლესი და მომგებიანი მარშრუტი ახალი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე.

ალტერნატიული მარშრუტები ნავთობის ტრანსპორტირებისა ან შეუძლებელია ან არ არის სასურველი – აღნიშნავს ბობ უოლში. პირველ ალტერნატივას მივყავართ ირანის გავლით, ხოლო მეორეს – რუსეთ-ჩეჩნეთის გავლით.

აღსანიშნავია, რომ ბობ უოლშის ჯგუფმა ინვესტიციები ჩადო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე დასასვენებელ და გამაჯანსაღებელ ობიექტებში. ეს ადგილები საუკუნეების მანძილზე ცნობილია თავისი სურნელოვანი კლიმატით და თბილი წყლებით. მათ აგრეთვე ჩადეს ინვესტიციები აღსადგენი ნაყინის ქარხნის, კვების ცენტრების საწარმოებში.

ბობ უოლში აღნიშნავს, რომ საქართველოს აქვს მყარი სოფლის მეურნეობის ინდუსტრია თავისი ცნობილი ხილის, ღვინოების, კონიაკის და სხვა საწარმოებით. „ჩვენ ვღებულობთ მრავალ შემოთავაზებებს სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორებისგან, რომლებიც დაინტერესებული არიან ინვესტიციების ჩადებით“, ამბობს უოლში. ასე რომ, ამ ქვეყანაში ეკონომიკა თავის აღმავლობას იწყებს. აი, სად, რომელ ქვეყანაში მიდის ქლოუ. საქართველოს მთავრობამ ქლოუ დაპატიჟა ამერიკის სააგენტო – ეკონომიკის პოლიტიკის და რეფორმების განვითარების საერთაშორისო ცენტრის მეშვეობით, რათა დაეხმაროს და უხელმძღვანელოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარებაში. ჩვენ უნდა დავეხმაროთ საქართველოს სამართალმცოდნეებს სამართლისა და ეკონომიკური ბაზის გაგებაში, რათა დაძლეულ იქნას საქართველოს კონკურენტუუნარობა, ამბობს იგი.

საქართველოს სამართალმცოდნეებს, იურისტებს გავაცნობთ სამართლის კონცეფციებს, სირთულეების დაძლევას და ვაჩვენებთ თუ როგორ შეუძლია კონკურენციას სტიმული მისცეს ქვეყნის ეკონომიკას ფასების რეგულირებაში და მის ეფექტიანობაში, როგორ განავითარონ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რაც დაეხმარება კერძო სექტორის ზრდას, აღნიშნა მან.

საქართველოში ცალკეული პირები ცდილობენ დაეპატრონონ სახელმწიფო ქონებას, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის კუთვნილება იყო. ამიტომ თითქმის მთელი სიმდლავრე მათ ხელში ექცევა, ცდილობენ ფასების აწევას და სხვების შევიწროებას. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობა ცდილობს და ეძებს გზებს ისეთი სისტემის დამყარებისათვის, რომელიც ყველას შეუქმნის თავისი საქმის აღორძინების საშუალებას“.

## ალჟირელ მსხვერპლთა ბედი ყველას აწუხებს, ამ ქვეყნის ხელისუფალთა გარდა

ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ალჟირის მთავრობას მიმართეს თხოვნით, ვიზიტის ნება დართოს გაეროს დელეგაციას, – იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტის აგორებული ტალღით შეშფოთებული ევროპის კავშირი იანვრის დამლევიდან მოითხოვდა საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტს. გარდა ამისა, მინისტრებს განზრახული აქვთ, ალჟირის ხელისუფალთ თხოვონ, მისცენ უფრო სრული და უტყუარი ინფორმაცია ისლამისტ ექსტრემისტთა მსხვერპლის რაოდენობის შესახებ. ალჟირის გაზეთებისა და მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, რამაზანის წმინდა თვის განმავლობაში აქ თითქმის 1500 კაცი დაიხოცა.

## საბჭოთა ინსტრუქტორები მართლა მაგრები იყვნენ!

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბანკირები მზად არიან დახმარებისათვის მიმართონ დაქირავებულებს, რათა შეწყვიტონ ინკასატორთა მანქანების შეიარაღებული ძარცვის ტალღა, – წერს „დეილი ტელეგრაფი“. ბანკის ფულის მცველებად გამოიყენებენ დაქირავებულებს ელიტური სპეცრაზმიდან, რომელიც ორგანიზაცია „ეკზიკიუტივ აუტკამს“ ეკუთვნის. ბანკირებს ასეთი ნაბიჯის გადადგმა აიძულეს მძარცველთა ბანდებმა, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან მმართველი პარტია – აფრიკელთა ეროვნული კონგრესის შეიარაღებული ფრთის „ერის ლახვრის“ კარგად გაწვრთნილი მებრძოლები, საბჭოთა ინსტრუქტორები რომ ამზადებდნენ ანგოლასა და მოზამბიკში. ახლა ისინი გეგმავენ ინკასატორთა მანქანების ძარცვას სამხედრო სიზუსტით და დავალებას ასრულებენ უჩვეულო სისასტიკით. მარტო უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში დაიღუპა 17 და დაიჭრა 50 საბანკო მცველი, ბანდიტებმა იმსხვერპლეს, აგრეთვე, რამდენიმე შემთხვევითი გამვლელი. ამიტომ, როგორც საფრა-ს ბანკირთა უმრავლესობას მიაჩნია, ასეთ ბანდიტებს მხოლოდ სპეციალურად გაწვრთნილი დაქირავებულნი გაუმკლავდებიან.

## რად უნდა ელცინს მემკვიდრე?

### რუსეთში ხელისუფლება უსახელურო ჩემოდანივით არის: თან, გიმძიმს ტარება, თან, გადასაგდებად არ გემეტება

რა აქვთ საერთო ახლანდელ პოლიტიკურ შეგრძნებებში ბორის ელცინის თანამოსაგრეებსა და მოწინააღმდეგეებს? ერთნიც და მეორენიც ნათლად აცნობიერებენ სავალალო რეალობას: პრეზიდენტი სახელმწიფო საქმეებს უძღვება მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე, შუალედებში (რომლებიც სხვათა შორის, სულ უფრო ცოტავდება) „მორიგ დროებითს შეუძლოგასა“ და „მორიგ ხანმოკლე შვებულებას შორის, რომლის დროსაც დასვენება დაძაბულ მუშაობას ერწყმის“.

მოწინააღმდეგენი ამაზე ლაპარაკობენ საჯაროდ და ნიშნისმოგებით, მომხრეები — ჩურჩულითა და ხვალინდელი დღისათვის წუხილით. ერთთაც, მეორეთაც, და მესამეთაც უკვე აღარ სჯერათ ოპტიმისტური განცხადებები ხელის მაგრად ჩამორთმევის თაობაზე...

ზოგჯერ გგონია: რუსეთში დრო უკან დატრიალდა და კვლავ ბრეჟნევის უძრაობაში ამოვყავითო თავი. იგივე ჩაჩანაკი გენმდივანი, რომელიც არათუ სახელმწიფო საქმეებს ვერ შეებმება, ლუღლუღიც კი უჭირს. იგივე ლაქიურ-მაამებლური გარემოცვა, რომელიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, ყარის ჭორები „მაგარი ხელისა“ და „მკაცრი მზერის“ შესახებ. იგივე უცხოელ მოვიზიტეთა დამცინავ-გაოცებული მზერა. და, ბოლოს, იგივე ხალხი, რომელიც ყველაფერს ხედავს და ყველაფერს გებულობს, მაგრამ აბსოლუტურად ვერაფერზე ვერ ახდენს გავლენას. კაცმა რომ თქვას, მაინც და მაინც არც სურს მოახდინოს... ყველაფერი მეორდება. და ახლანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში ახალი მხოლოდ ის არის, რომ სახელმწიფოს მეთაურის ჯანმრთელობასა და ქმედუნარიანობაზე ლაპარაკი დღეს ჩვენში არავის არ ეკრძალება. რამდენიც გინდა, ილაპარაკე, თუ არ გეზარება.

შესაძლოა, ამიტომ მაც არის, რომ ახალი წელი დაიწყო თუ არა, დეპუტატთაგან ზოგზოგები კვლავ, უკვე მერამდენედ, აწუწუნდნენ პრეზიდენტის ჯანმრთელობის გამო, მაგრამ ეს ისე, ინერციით. ნებისმიერ პოლიტიკოსს (რა თქმა უნდა, ჭკუათმყოფელს) ესმის — რუსეთში არ მოიძებნება სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც უფლება ჰქონდეს, გამოიტანოს ოფიციალური დასკვნა სახელმწიფოს მეთაურის ქმედუნარიანობის შესახებ. რაც შეეხება ლაპარაკს იმის თაობაზე, რომ ქვეყანას საფრთხეს უქადის პრეზიდენტის ხშირი არყოფნა კრემლში, ამაშიც არის რაღაც ეშმაკობა.

მეორე საპრეზიდენტო ვადით ელცინის არჩევის მომენტიდან გავიდა უკვე 17 თვე, ანუ 510 დღე. აქედან, 192 დღე მან გაატარა შვებულებაში ან „ბიულეტენზე“. კიდევ 210 დღე — ეს იყო არასრული შრომისუნარიანობის მდგომარეობა, როდესაც კრემლის კაბინეტში მუშაობას 3 საათზე მეტს ვერ უთმობდა. (ეს ციფრი აღებული მაქვს კონფიდენციური, მაგრამ ერთობ ავტორიტეტული წყაროსაგან). მაშასადამე, მეტნაკლები დატვირთვით პრეზიდენტს უშრომია 108 დღეს, ანუ ხელისუფლების სათავეში გატარებული დროის 21,2 პროცენტი. რას ნიშნავს ეს? ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა უკვე კარგა ხანია უპრეზიდენტოდაც იოლას გადის.

ცუდი ის კი არ არის, რომ ბოლო დროს პრეზიდენტი სულ უფრო ხშირად აოცებს რუსეთის მოქალაქეებს უცნაური ქცევით. ცუდი ის არის, რომ თვითონ იკვირვებს ხოლმე თავისი ხელმძღვანელობის ნაყოფს. აიღეთ საბიუჯეტო ვალების დაფარვა. რამდენჯერ გადმოიტანეს ვადები, მაგრამ ახალი წლის წინ პრეზიდენტმა, რომელმაც „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ პატაკი ჩაიბარა, მზრუნველი მეფის, მამა-მარჩენალის ინტონაციით მოახსენა ქვეშევრდომებს: „როგორც გპირდებოდით, ვალები პირწმინდად გავისტუმრეთო!“ თქვა და დასასვენებლად გაემგზავრა. მერედა რა, კრემლში რომ დაბრუნდა, გულმოსულმა განაცხადა: „შარშანდელი წელი ჩვენი ვალდებულებების მიხედვით თქვენ ჩაშალეთო!“. თუმცა, ამის შემდეგ გაოცების ჯერი დაუდგა ქვეყანას, ვინაიდან პრეზიდენტის აზრი უაღრესად ამჩატებული აღმოჩნდა: „მთავრობამ, ის კი არა, რომ მთლიანად არ შეასრულა თავისი ვალდებულება, მაგრამ ვალი მაინც ამ წელიწადშიც გადმოგვყვაო“.

შემდე კი დაავიწყდა, რით დაიწყო და მთლად საკვირველი პასაჟით სახტად დატოვა ხალხი: „გაუმჯობესდა ადამიანთა განწყობილება, აღარც ხელფასის გამო აღარ ტეხენ აურზაურს, არ არის გაფიცვები, თუმცა ვალი კიდევ დაგვრჩაო...“ ეტყობა, არ იცოდა, რომ ქვეყანაში მერამდენე დღეა, გაფიცული არიან მეშახტეები, გაფიცვას აცხადებენ მასწავლებლები და, საერთოდ, არის რეგიონები, განსაკუთრებით ურალს გარდა, სადაც ცხოვრება დიდი ხანია უფსკრულის პირას არის მისული და მის იქითაც გადასული.

ყველაფრიდან იგრძნობა: ახლანდელ ელცინის პრეზიდენტის ძალაუფლება უკვე აღარ ხელეწიფება, ვერ აუდის. ეგებ, უარი თქვას აურაცხელ უფლებამოსილებათა თუნდაც იოტისოდენა ნაწილზე — რაღაც გადასცეს მთავრობას, რაღაც კი პარლამენტს? ლოგიკურია. მაგრამ, საეჭვოა. ამის მიზეზები მრავლად არის. მაგრამ, ეგებ, „ყველაზე-ყველაზე“ დიდი მიზეზი ის არის, რომ ელცინს თავდავიწყებამდე უყვარს ძალაუფლება. მას უბრალოდ ვერც კი წარმოიდგენ დამშვიდებულ პენსიონერად. ერთადერთი, რაზეც იგი თანახმა იქნება, ეს არის „პრეზიდენტისაზე უფრო მაღალი როლი“. და სწორედ ამ როლის ფორმულის ძებნა განსაზღვრავს მის მოქმედებას უახლოეს ხანს, — იმასაც, ვის შეიგულებს თავის მემკვიდრედ, და იმასაც, როგორ შეცვლის ძალების განაწილებას პრეზიდენტის კარზე, აგრეთვე იმას, თუ როგორ ურთიერთობას დაამყარებს ოპოზიციასთან, რომლის ყველაზე პრაგმატული ნაწილი, სხვათა შორის, მზად არის შეცვალოს „პრეზიდენტთან ბრძოლა“ პრეზიდენტისათვის ბრძოლით“.

როგორც ჩანს, ბევრი პოლიტიკოსი სულ უფრო ნათლად აცნობიერებს დემოკრატიის ამ წმინდა წყლის რუსულ თავისებურებას-ცვლილებები ხელისუფლებაში მით უფრო სწრაფად მოხდება, რაც უფრო ადრე გამოიგონებენ ელცინისათვის მიმზიდველ ფორმულას — „პრეზიდენტობის შემდეგ პრეზიდენტობის ფორმულას“. გარკვეულწილად ამოცანა შეიძლება ასე დაისვას: თუკი არ არის საიმისო კანონიერი საფუძვლები, რომ პრეზიდენტი გადააყენო პოსტიდან, მაშინ უნდა იყიდო ეს პოსტი მისგან. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყოველგვარი დანახარჯი აგინაზღაურდება.

ფლორენციელ პოლიტიკოსსა და მოაზროვნეს მაკიაველის უთქვამს: „ნებისმიერი პოლიტიკური იდეის უკან დგას უბრალო ინტერესი ნივთებისადმი“. და მართლაც, რატომ იყო, რომ ყოფილი პარტნომენკლატურის ლიდერები „უანგაროდ ემსახურებოდნენ პარტიის საქმეს“ ლამის კუბოს კარამდე? ხშირად, ძლივს დაბობღავდნენ, მაგრამ ცოცხალი თავით სავარძელს არავის უთმობდნენ. რა თქმა უნდა, მათ შორის იყვნენ თავგადადებული მუშაკებიც, სამუშაოს რომ აკვდებოდნენ, მაგრამ მეტწილად მიზეზი სხვა იყო: თანამდებობის დაკარგვის შემდეგ კარგავდნენ ყველა ცხოვრებისეულ სიკეთესაც. არავითარი კანონი არ აწესრიგებდა მათი სიცოცხლის უზრუნველყოფას, ვინც სამსახურს ტოვებდა. არსებობდა მხოლოდ ინსტრუქციები და დებულებები, რომელთა შესრულება მთლიანად იყო დამოკიდებული ვიღაცის ხუშტურზე... ახლა, რა თქმა უნდა, სხვა დროა, მაგრამ ამ საკითხში ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც წინათ იყო. არ არის არავითარი საკანონმდებლო რეგულატორები. ისევე, როგორც წინათ, ახლაც მეაპარატე „დემბელს“ აფასებს თვით „ხაზეინი“. იმის მიხედვით, თუ როგორ აამა მან თავის დროზე. სანამ ელცინს „მკლავი ერჩის“, ასეთი მდგომარეობა თითქოს ხელსაც აძლევს- ყოველგვარი უუფლებობა წარმოშობს მორჩილებას. ხოლო, როდესაც სახელმწიფო საქმეებისაგან დაიღლება? ეს ხომ მასაც შეეხება.

ელცინს, არ შეიძლება, არ ახსოვდეს, როგორ მოექცა თავის დროზე გორბაჩოვს. 1991 წლის დეკემბრის დამდეგს კრემლში გაიმართა ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა, რომელზეც სსრ კავშირის პრეზიდენტმა რუსეთელ კოლეგას გააცნო განზრახვა, რომ ტოვებს პოსტს. მაშინ. პირველად წამოიჭრა საკითხი სამსახურებრივი შენობების, მანქანების, დაცვის, ბინის, აგარაკისა და სხვა ყოფითი საგნების შესახებ. ელცინმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს და საბაბად ის მოიმიზეზა, რომ სხვა რესპუბლიკების მეთაურებს უნდა მოვეთათბიროო. ფორმალურად ასეთი ბჭობა გაიმართა, მაგრამ ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვიტეს კრემლის ახალი ბატონ-პატრონის უახლოესმა თანაშემწეებმა. სსრ კავშირის ყოფილ პრეზიდენტს პრივილეგიები მისცეს არა იმიტომ, რომ ეს სტატუსით ერგებოდა, არამედ უბოძეს ბატონკაცურად, ავანსად, ლოიალობისათვის. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ როდესაც ელცინმა გადაწყვიტა, რომ გორბაჩოვს „მეტისმეტად აეშალა ლაპარაკის საღერღელი“, მას ულაპარაკოდ ჩამოართვეს თითქმის ყველაფერი, თან განუზომელი გადასახადი დააკისრეს.

რატომ არის, რომ ელცინი აი ასე, წვითა და დაგვით ეძებს მემკვიდრეს თავის ამალაში? ერთ-ერთი მიზეზი — მას ეშინია, გადასცეს ძალაუფლება იმას, ვინც ისევე მოექცევა, როგორც თავად ელცინი მოექცა გორბაჩოვს. ამის თაობაზე ხომ კანონი დღესაც არ არსებობს და მაშასადამე, ყველაფერი გადაწყდება ძველებური პრინციპით: „მინდა — მოგცემ, მინდა — არა“.

არადა, ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში სახელმწიფოთა გადამდგარი მეთაურების ცხოვრებას მკაცრად განსაზღვრავს კანონი და იგი სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, როგორი ურთიერთობა აქვთ ახალ ხელისუფლებასთან. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპრეზიდენტები იღებენ სამისდღემშიო პენსიას წელიწადში 152 ათასი დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, ყოველ მათგანს სიცოცხლის ბოლომდე ეძლევა სახელმწიფო სუბსიდიები საკუთარი აპარატის შესანახად და სადარბაზო ხარჯები. მართალია, სხვადასხვაგვარი, გააჩნია, რა დამსახურება აქვს: რეიგანს — წელიწადში 700 ათასი დოლარი, ამდენივე — ბუშსა და კარტერს; 300 ათასი ფორდს. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრო მთლიანად ანაზღაურებს დაცვის, ლიმუზინების შენახვისა და პირადი მძღოლების ხარჯებს... ამერიკელი „ექსებისათვის“ აბსოლუტურად სულ ერთია, რა თვალით შეხედავს თეთრი სახლის ახლანდელი მესვეური.

... ასეა მოწყობილი პოლიტიკური ცხოვრება: ძალაუფლებას გარკვეულ დროს მოიპოვებ, გარკვეულ დროს კი კარგავ. დემოკრატიული ქვეყნებისათვის ეს ისეთივე ბუნებრივია, როგორც წელიწადის დროთა ცვლა. აკი უთქვამთ დრონი მეფობენ, და არა მეფენიო. მაგრამ რუსეთში შესაძლებელია ელცინის წასვლა და კრემლში მეორე პოლიტიკოსის, თანაც არა ელცინის გუნდელის მოსვლა. და მას მოელიან, როგორც რაღაც მოვლენას, რომელსაც მნიშვნელოვანი ძლვენი მოჰყვება. ვაი რომ, ეს მოლოდინი არ არის საფუძველს მოკლებული, ვინაიდან ძალაუფლების გადაცემის მექანიზმი დღესაც არ არის დამკვიდრებული კანონებით.

ამასთანავე, დღესაც არა გვაქვს მათგან, ალბათ, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — პრეზიდენტობის კანონი. არადა, სწორედ ის უნდა იყოს გარანტია კონსტიტუციური უფლებების დაცვისა, როგორც იმ პირისა, რომელიც ხელისუფლებას ტოვებს, ისევე იმისა, რომელიც მოდის ხელისუფლებაში.

და თუ უახლოეს ხანს სახელმწიფო სათათბირო არ მიიღებს ამ კანონს, ყოველგვარი ლაპარაკი პოლიტიკური სტაბილურობის შესახებ ფუჭ ლაყბობად დარჩება.

**პაველ ვოშჩანოვი,**

*მიმომხილველი გაზეთ „ტრუდის“ ყოველკვირეული დანართი „საქმიანი სამშაბათი“, № 4.*

## ორთოდოქს მორწმუნეებთან საქმის დაჭერას სერჟანტებიც კი გაურბიან

ახალგაზრდა ულტრაორთოდოქსმა ებრაელებმა სულ მალე შეიძლება ჩვეული შავი კოსტიუმი და ფეტრის შლაპა გადაცვალონ სამხედრო უნიფორმაზე, – წერს „დეილი ტელეგრაფი“. რელიგიური პარტია „შასის“ ხელმძღვანელობის აზრით, სამხედრო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდა ორთოდოქსები ხელს შეუწყობენ სამოქალაქო და რელიგიური ისრაელის გაერთიანებას. პარტია „შასის“ ინიციატივამ თავზარი დასცა არა მარტო საჯარისო მეთაურებს, არამედ უბრალო რაბინებსაც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თორას დღედაღამ კითხვა ისე საჭიროა ისრაელის უსაფრთხოებისათვის, როგორც მძლავრი არმია. დღემდე მილიტარიზებულ ისრაელში ულტრაორთოდოქს ებრაელებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ დაეხსნათ თავი მხედრული მოვალეობის შესრულებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ჯარში სამსახურის უარმყოფელნი პოტენციურ გასაწვევთა შვიდ პროცენტს შეადგენენ, ისრაელი სამხედროები ამჯობინებენ არ გაეხვიონ შარში და ერიდონ ამ ერთობ „პრობლემურ“ კონტინგენტს, – დასძენს „დეილი ტელეგრაფი“.



ძლიერმა ყინვამ მიუნხენის ეს ორიგინალური შადრევანი საუცხოო ყინულის ქანდაკებად გადააქცია.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.

უძღვება

**არჩილ მანჯგალაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 27. სამშაბათი, 3 თებერვალი, 1998 წელი.

## წინაპარი

### გამარჯვების შემდეგ

#### ახალი გამოცდები

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ქვეყანას დაუდგა უმოკლეს დროში ფაშისტთა შემოსევის მძიმე შედეგების დაძლევის – მისგან საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურისათვის, მოსახლეობის სასიცოცხლო დონისთვის მიყენებული ჭრილობების მოშუშების ამოცანა. დანაკლისი კი საშინელი იყო – დაიღუპა 20 მილიონი საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა ხალხმა თავისი ეროვნული სიმდიდრის თითქმის მესამედი დაკარგა.

მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა კავშირის



## ვლადიმირ ჩუხრაი
# სტალინი
## სიმართლე და სიცრუე

ტერიტორიაზე გადაიბუგა და დაინგრა ათიათასობით ქალაქი და სოფელი, ქარხანა და ფაბრიკა, 227 000 სოფლის სკოლა, 7250 საავადმყოფო და ამბულატორია, 2250 ბავშვთა ბაგა და მრავალი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა.

ამის შედეგად გამარჯვების შემდეგ ბევრი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო და მრეწველობის ცალკეული დარგებიც კი შემოგვრჩა ხელთ, ბევრი კოლმეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო რაიონი გავერანებული იყო, მიწა ცოტა მოსავალს იძლეოდა. ამიტომ ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები ნაკლულადღა კმაყოფილდებოდა.

აანალიზებდა რა ამ ფაქტს, სტალინი 1946 წელს ამომრჩევლების წინაშე გამოსვლისას ლაპარაკობდა იმაზე, რომ, თუ ომში ასეთ კოლოსალურ ზარალს განიცდიდა ნებისმიერი კაპიტალისტური ქვეყანა, მათგან ყველაზე მძლავრიც კი გარედან დაუხმარებლად ვერასოდეს გაიმართებოდა წელში და მეორეხარისხოვან ქვეყნად გადაიქცეოდა. სსრკ-ის ეკონომიკურად ძლიერ სოციალისტურ სახელმწიფოს ეს არ მოსვლია. საბჭოთა სოციალისტურმა წყობამ უკვე მერამდენედ ნათელყო კაპიტალისტურ წყობაზე თავისი უპირატესობანი.

მაგრამ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას სერიოზულად უშლიდა ხელს ომისშემდგომი საერთაშორისო ვითარების გამწვავება.

მეორე მსოფლიო ომმა მსოფლიოს სახე არსებითად გადაასხვაფერა. საერთაშორისო ვითარებაში ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა. მსოფლიო არენაზე ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა. საბჭოთა კავშირი, რომელმაც გაანადგურა მსოფლიო იმპერიალიზმის დამკვრელი ძალა – ფაშისტური გერმანია და იაპონიის იმპერიალიზმი, ამ ომიდან, ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტთა გათელების საწინააღმდეგოდ, სამხედრო თვალსაზრისით, მტრების შემოსევამდე რომ იყო, იმაზე ძლიერი გამოვიდა. ძალიან გაიზარდა საბჭოთა კავშირის პრესტიჟი და მისი გავლენა საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში. ამავე დროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო იმპერიალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპი, რომლის შედეგიც იყო რევოლუციები ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში. მალე კი იმპერიალიზმის ჯაჭვი აზიაშიც გაწყდა. სოციალიზმი ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და მსოფლიო სისტემად გადაიქცა. საბჭოთა კავშირის დიადმა გამარჯვებებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმისა და კაპიტალიზმს სამხედრო წონასწორობა შექმნა.

ამან წარმოშვა აშშ-ის მმართველი წრეების სწრაფვა სსრკ-ის მოსპობისაკენ და არა იმპერიალიზმის დაკარგული პოზიციების დაბრუნებისა და ნედლეულის ახალი წყაროების, გასაღების ბაზრის, კაპიტალის გამოყენების სფეროების მოპოვებისა და ეკონომიკური კრიზისიდან ამ გზით თავის დაძვრენისაკენ. ვაშინგტონი თავის გენერალურ ამოცანად სწორედ ამას მიიჩნევდა. ეს ამოცანა ზუსტად დააფორმულა აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, რომელმაც დაუფარავად განაცხადა: „მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ ამერიკა მსოფლიოს ხელმძღვანელობის საკითხში მწვავე პრობლემის წინაშე დააყენა". კვლავ ასე აიყვანეს ქებით ცამდე მსოფლიოს ბატონობის იდეა. ამერიკელი მარშლის გეგმის ხორცშესხმამ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გამოიწვია მსოფლიოს ურთიერთობაში არნახული დამკვიდრება ამერიკული კაპიტალისა.

მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში ამერიკის იმპერიალიზმი აჩაღებს მანტაჟს და მის თანამდევ „ცივ ომს" კომუნიზმის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ" მოწოდებითურთ. აშშ გამალებით ემზადება სსრკ-ზე თავდასხმისათვის, რისი გეგმაც ოფიციალურად შემუშავდა 1945 წლის 18 სექტემბრის 1496 № 2 დირექტივაში, რომელსაც სათაურად ჰქონდა „სამხედრო პოლიტიკის ფორმულირების საფუძველი" და 1945 წლის 9 ოქტომბრის 1518-ე დირექტივაში სახელწოდებით „აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა სტრატეგიული კონცეფცია და მათი გამოყენების გეგმა". აშშ-ის გაერთიანებულმა სადაზვერვო კომიტეტმა ნიშანში ამოიღო ატომური დაბომბვებისთვის ხელსაყრელი 20 საბჭოთა ქალაქი. ამასთან აღინიშნებოდა, რომ ნაკლებეფექტურია ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების, სატრანსპორტო სისტემის ატომური დაბომბვები, ამიტომ ატომური ბომბი უფრო ქალაქების მოსახლეობის მასობრივი ამოწყვეტისთვის იყო გამიზნული. აშშ-მა ასე შეიმუშავა და მიიღო სსრკ-ზე „პირველი დარტყმის", მის წინააღმდეგ ატომური აგრესიის დოქტრინა. 1945 წლის ნოემბერში გენერალმა ეიზენჰაუერმა, აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე ტრუმენის მემკვიდრემ, განაცხადა: „აზრი არა აქვს იმაზე თვალის დახუჭვას, რომ ჩვენ ვფიქრობთ რუსეთთან ომზე".

სტალინმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ქვეყნის მშვიდობიან აღმშენებლობას, სწორად შეაფასა სსრკ-თვის ატომური იარაღის მქონე აშშ-ის მხრიდან შექმნილი რეალური საშიშროება, და ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ უახლოეს დროში სსრ კავშირს შეექმნა ბირთვული იარაღი და მიზანთან მისი მიტანის საიმედო საშუალებები. ამის შედეგად ომისშემდგომი შვიდი-რვა წლის განმავლობაში (1946-1953 წ.წ.) სსრკ-მა წარმატებით გადაჭრა ატომური იარაღის ურთულესი პრობლემა, და კიდევ მეტი, 1953 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირში, უფრო ადრე, ვიდრე აშშ-ში, წარმატებით ჩატარდა წყალბადის ბომბის ერთ-ერთი სახეობის გამოცდები, რომელიც ატომურ ბომბზე გაცილებით უფრო მძლავრი იყო. იმავდროულად წყდებოდა უძნელესი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანა – აუცილებელი მასშტაბებით გაიშალა წარმოება სხვადასხვა დანიშნულების რაკეტებისა, რომლებსაც შეეძლოთ ბირთვული „ბოეგოლოვკების" მიტანა მიზანთან. შეიქმნა ჯარების ახალი ტიპი – სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები.

ამავე დროს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში დაინერგა საბჭოთა მეცნიერთა მიერ შექმნილი იარაღის, ტანკების, არტილერიის, რადიოლოკაციური და სხვა საომარი ტექნიკის სრულყოფილი სახეობები. დგუშებიანი ავიაცია შეიცვალა რეაქტიული ავიაციით, განხორციელდა არმიის სრული მოტორიზაცია.

ყოველივე ამის შემდეგ სსრკ-ზე აშშ-ის აშკარა თავდასხმა შეუძლებელი გახდა. აშშ-ის პრეზიდენტმა ნიქსონმა, როცა შემდგომში ამ საკითხს ეხებოდა, თქვა: „მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია ტოლობას სტრატეგიული იარაღის სისტემათა სფეროში, მასთან ყოველგვარი შეტაკება უკვე ცივილიზებული ქვეყნების ბირთვული იარაღით მოსპობის პოტენციურ საშიშროებას ნიშნავდა".

ამ ვითარებაში აშშ-ის მმართველმა წრეებმა, არ ამბობდნენ რა ჩვენს ქვეყანაზე აშკარად თავდასხმაზე უარს, თუკი რაიმე მიზეზებით სსრკ-ის სამხედრო სიმძლავრე შესუსტდებოდა, მთელი თავიანთი ძალისხმევა საბჭოთა კავშირის შიგნიდან ძირის გამოთხრისაკენ წარმართეს. დაიწყო სსრკ-ში ამერიკის აგენტურის შეგზავნის ცდები, ქვეყნის შიგნით კი მერყევი, მორალურად გახრწნილი, ამა თუ იმ მიზეზებით საბჭოთა ხელისუფლებაზე განაწყენებული ადამიანების გადაბირება. აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში შეიქმნა სსრკ-ში კაპიტალიზმის რესტავრაციის ღონისძიებების გეგმა. ამერიკის მმართველი წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ, განეხორციელებინათ იმპერიალისტთა სანუკვარი ოცნება: დაემალათ სსრ კავშირი შიგნიდან, გადაექციათ ეს ზესახელმწიფო კაპიტალისტური სამყაროს ბეჩავ სანედლეულო დანამატად.

1948 წლის 18 აგვისტოს აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს საიდუმლო დირექტივაში ნათქვამი იყო:

„მთავრობა იძულებულია ახლა გაშლილი პოლიტიკური ომის ინტერესებიდან გამომდინარე, დაისახოს უფრო მკაფიო და მებრძოლი მიზნები რუსეთთან მიმართებაში... ჩვენი მიზანია საბჭოთა ხელისუფლების დამხობა (...). ჩვენი საქმეა მუშაობა და იმის მიღწევა, რომ იქ, სსრკ-ში განვითარდეს წყობის დამანგრეველი შინაგანი მოვლენები. ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი გავხადოთ და ვიყოლიოთ პოლიტიკურად, სამხედრო და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სუსტ ქვეყნად".

და აი, იმავე დირექტივაში როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ამერიკის მმართველ წრეებს ახალი ნეოკომუნისტური ხელისუფლება რუსეთში, თუკი მათი აგენტურა იქ საბჭოების ხელისუფლების დამხობას შესძლებდა:

• „საჭიროა ხაზგასმით ითქვას ნეოკომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური საფუძვლებისაგან დამოუკიდებლად და, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად იქნება ის რეჟიმი მზად იმისათვის, რომ ხოტბა აღუვლინოს დემოკრატიასა და ლიბერალიზმს, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთი ავტომატური გარანტიების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ თუნდაც არაკომუნისტურ და ჩვენდამი ნომინალურად მეგობრულ რეჟიმსაც კი:

ა). არ ჰქონდეს დიდი სამხედრო სიმძლავრე.

ბ). ეკონომიკურად ძალიან იყოს დამოკიდებული გარე სამყაროზე.

გ). სერიოზულად არ მორჩილებდნენ მთავარი ეროვნული უმცირესობები.

დ) არ შექმნას რკინის ფარდის მსგავსი რამე.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რეჟიმი მტრულად მოეკიდება კომუნისტებს და მეგობრულად ჩვენ, მაშინ იმაზე ვიზრუნებთ, რომ ეს პირობები მათ თავს მოეხვიოს არა შეურაცხმყოფელად და არა დამამცირებლად, მაგრამ ვალდებული ვართ ეს პირობები რაიმენაირად თავს მოვახვიოთ მათ ჩვენი ინტერესების დასაცავად.

ამრიგად, აშშ-ის იმპერიალისტებმა ფარული ომი გამოუცხადეს საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა მთავრობას მოუხდა კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებისათვის გაეხარჯა და სამხედრო მრეწველობაში დაებანდებინა. და მაინც, სტალინის ხელმძღვანელობით გაშლილი აღდგენითი სამუშაოები ჭეშმარიტად გრანდიოზული იყო.

ნავთობის მრეწველობის ყოფილი მინისტრი ბაიბაკოვი თავის გამოქვეყნებულ მოგონებებში წერს: „ვიხსენებ სხდომებს სტალინთან, რომლებზეც მე, როგორც სახალხო კომისარს, მიხდებოდა ყოფნა. იქ საკითხები მწვავედ ისმებოდა. პოლიტბიუროს წევრები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, სახელდებოდა ვადები, სახელდებოდნენ დავალებების შესრულებაში პასუხისმგებელნი და ჩვენ ვიცოდით, რომ თუ არსებობს სტალინის მითითება, ჩვენთვის ეს კანონია. ნემსის წვერში გაძვერი და საქმე შეასრულე".

თარგმნა
**ჯუმბერ თითმერიამ.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 308, 309, 313, 314, 315, 318, 319, 320 (1997 წ.), № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 23, 24, 26.

---

GEORGIAN PIPELINE COMPANY GPC

მსხვილი საერთაშორისო ნავთობკომპანიების კონსორციუმის მიერ შექმნილი საქართველოს მილსადენის კომპანიის (სმკ) საქმიანობას წარმოადგენს იმ ნავთობსადენის აღდგენა და მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს აზერბაიჯანიდან ნავთობის ტრანსპორტირებას შავი ზღვის სანაპირომდე. საქართველოში გამავალი მილსადენის გასწვრივ ერთმანეთისაგან შესაბამისი მანძილის დაშორებით 3 სატუმბი და 2 წნევის დამწევი სადგური უნდა აშენდეს. აღნიშნული პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საცავი რეზერვუარისა და საზღვაო ჩასატვირთი ტერმინალის მშენებლობა შავი ზღვის სანაპიროზე, სუფსაში.

კომპანიას განზრახული აქვს სუფსაში ქვემოთ ჩამოთვლილ თანამდებობებზე დაიქირავოს განსაზღვრული რაოდენობის სპეციალისტები:

ექსპლუატაციის ზედამხედველის თანაშემწე

ექსპლუატაციის ზედამხედველს დაქვემდებარებული და ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრი ექსპლუატაციის ზედამხედველის თანაშემწე პასუხს აგებს სუფსის ტერმინალისა და საზღვაო ოპერაციების უზრუნველყოფაზე და ტექნიკურ დაგეგმარებაზე. მისი მოვალეობანი კერძოდ მოიცავს:

- ტექნიკური მომსახურებაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან ერთად ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის ყოველდღიური, ყოველთვიური და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას;
- ტერმინალის საექსპლუატაციო პროცედურების შემუშავებას, რაც გულისხმობს ტერმინალში და მთავარ ტანკერში შემავალი მილსადენის საზომი მოწყობილობისა და მოძრავ სახურავიანი შემკრები ტანკერის ექსპლუატაციას;
- სუფსის ტერმინალისა და მილსადენის ყოველდღიური ექსპლუატაციის კოორდინირებას.

შესარჩევ კანდიდატს უნდა ჰქონდეს ტერმინალის, მილსადენების, სატუმბი და წნევის დამწევი, საზომი სადგურების და ამ სადგურებზე დამონტაჟებული მოწყობილობების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის, სულ მცირე, 8 წლის გამოცდილება. საუკეთესო შემთხვევაში კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ დიზელის საწვავზე მომუშავე ძრავების ექსპლუატაციის გამოცდილებაც. უპირატესობა მიენიჭება ხელმძღვანელებად მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს.

ტერმინალის ოპერატორი

ექსპლუატაციის ზედამხედველის, ან ტერმინალის მენეჯერს დაქვემდებარებულმა ტერმინალის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელება კომპანიის საოპერაციო პროცედურისა და ტერმინალში შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, რაც გულისხმობს ნავთობპროდუქტის მიღებას მილსადენიდან, ნედლი ნავთობის შემკრები რეზერვუარის მეთვალყურეობას, შემშვები და მთავარი მილსადენის საზომი სისტემების ექსპლუატაციას, ტანკერში ჩასატვირთი მოწყობილობის ექსპლუატაციას, რაც სატუმბი, საზომი მოწყობილობის და ერთ-პოზიციანი სარეიდო ნავმისადგომის ექსპლუატაციასთანაა დაკავშირებული.

ოპერატორებს მოეთხოვებათ თავისი მოვალეობების კოორდინირება ტერმინალის სხვა საქმიანობასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას როგორც საექსპლუატაციო საშუალებების გამტარიანობის, ასევე ტექნიკური მომსახურების მოთხოვნილებები.

იდეალურ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ დიზელის ძრავების, ტერმინალისა და მილსადენის საშუალებების ექსპლუატაციის გამოცდილება მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების სატელიტური სისტემის მეშვეობით.

ლაბორანტები

ექსპლუატაციის ზედამხედველების დაქვემდებარებაში მყოფი ლაბორანტები ჩაატარებენ ნედლი ნავთობის ყოველდღიურ ანალიზს, რათა მიღებული და გაგზავნილი ნავთობპროდუქტი საოპერაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. ლაბორანტს აგრეთვე ევალება ქიმიური დამუშავების პროგრამების უზრუნველყოფა ტერმინალში და ნავმისადგომზე. მათ, ასევე, მოეთხოვებათ დახმარების გაწევა სუფსის ტერმინალში არსებული ორი საზომი მოწყობილობისათვის გაზომვის პროცედურების შემუშავებაში. გარდა ამისა, ტექნიკური მომსახურების ჯგუფთან ერთად ლაბორანტმა უნდა შეიმუშაოს ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური, ყოველთვიური და გრძელვადიანი გეგმები ქიმიური დამუშავების დანაყოფებისათვის და ხელი შეუწყოს მათ ექსპლუატაციას. ყველა ლაბორანტის საერთო მოვალეობაა უზრუნველყოს როგორც ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტიანი ფუნქციონირება, ისე ყველა საქმიანობის წარმართვა ტერმინალის საექსპლუატაციო პროცედურის თანახმად.

შესარჩევ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ საზომი მოწყობილობების ექსპლუატაციისა და მილსადენში ან ტერმინალში არსებული ნედლი ნავთობის ლაბორატორიული ანალიზის გაკეთების გამოცდილება.

საზომი ხელსაწყოების ტექნიკოსები

საზომი ხელსაწყოების ტექნიკოსებმა უნდა უზრუნველყონ ტერმინალის საზომი სისტემების სათანადო ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურება და ტექნიკური დაგეგმარება, რაც გულისხმობს აღნიშნული მოწყობილობების ყოველდღიურ ტექნიკურ მომსახურებას და აღრიცხვიანობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა მიღებულ სამრეწველო და სახელმწიფო სტანდარტებთან. მათ ევალებათ დახმარების გაწევა საზომი პროცედურების შემუშავებაში რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით სუფსის ტერმინალში არსებული ორი საზომი მოწყობილობისათვის და, აგრეთვე, ტექნიკური მომსახურების ჯგუფისათვის დახმარების აღმოჩენა საზომი მოწყობილობებისათვის არსებული ტექნიკური მომსახურების გეგმების შესრულებაში. გარდა ამისა, საზომი მოწყობილობის ტექნიკოსები ჩაატარებენ დაკალიბრებას, ჩაიწერენ და ინფორმაციას გააკეთებენ მიღებული შედეგების შესახებ დადგენილი პროცედურის შესაბამისად. სუფსის საზომი მოწყობილობის მიერ დაფიქსირებულ პარამეტრების მონიტორინგისათვის გამოყენებული იქნება სტატისტიკური პროცესის კონტროლის მეთოდები.

იდეალურ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ მილსადენზე მუშაობის, ან ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული საზომი მოწყობილობით სარგებლობის გამოცდილება.

აღნიშნულ თანამდებობებზე შესარჩევ კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ მითითებული საქმიანობის 8-10 წლიანი გამოცდილება. გარდა ამისა, ისინი სრულყოფილად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას, როგორც წერით, ასევე ზეპირს და გამოთქვან სურვილი გაიღრმავონ ცოდნა საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის სწავლების კურსებზე.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ცოდნა და გამოცდილება აღნიშნული ვაკანსიების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, დაწვრილებით გვაცნობეთ თანდართული ფორმების საშუალებით და გამოაგზავნეთ ავტობიოგრაფიასთან ერთად აღნიშნულ მისამართზე. განაცხადები მიიღება 13 თებერვლამდე.

საქართველოს მილსადენის კომპანია განიხილავს მხოლოდ იმ პიროვნებათა განაცხადებს, რომლებიც გასაუბრებაზე იქნებიან მოწვეულნი. განაცხადის მიღება არ ნიშნავს იმას, რომ ყველა კანდიდატებს გასაუბრებაზე დაუშვებენ ან სამსახურს შესთავაზებენ.

*Georgian Pipeline Company (GPC). formed by a consortium of major international oil companies, is engaged in the upgrading and construction of a pipeline which will carry oil from Azerbaijan to the Black Sea coast. Situated at intervals along the pipeline within Georgia will be 3 Pump Stations and 2 Pressure Reduction Stations. At Supsa on the Black Sea a tank storage facility and a marine-loading terminal are being constructed.*

The company is now seeking to recruit a number of staff to work at Supsa in the positions detailed below.

ASSISTANT OPERATIONS SUPERVISOR

Reporting to the Operations Supervisor and working in an integrated operations/maintenance team the Assistant Operations Supervisor will provide operations and technical planning support to Supsa Terminal and Marine Operations. Key responsibilities will include:

- Develop in conjunction with the maintenance team the daily, monthly and long range maintenance plans.
- Develop operating procedures for terminal operations including pipeline into the terminal, inlet and main tanker metering and the floating roof storage tanks.
- Coordinate daily operations activities of the Supsa Terminal and Pipeline Operations.

The successful candidate will have a minimum of 8 years experience with the operation, maintenance and engineering of terminals, pipelines, associated pumping stations, metering station equipment and pressure reducing stations. Ideally candidates should have experience in the operation of diesel engines and demonstrable experience in a supervisory capacity would be an advantage.

TERMINAL OPERATORS

Responding to the instructions of the Operations Supervisor or Terminal Manager, the Terminal Operators will ensure that daily operating activities are efficiently handled in accordance with Company operating procedures and the Terminal Safe Systems of Work. This will involve product receipt from the pipeline, crude oil tank storage management, operation of metering systems both inlet and main export and the operation of the scheduled tanker loading facility as it relates to pumping, metering and offshore SPM operations. Operators will be required to coordinate their duties with other Terminal activities to ensure the operating facility throughput requirements are met and maintenance needs addressed.

Ideal candidates should have experience in the operation of diesel engines and in the operation of terminal and pipeline facilities through the use of a SCADA system.

LABORATORY TECHNICIANS

Reporting to the Operations Supervisor the Laboratory Technician conduct daily analysis of the crude oil to ensure product receipt and delivery meet operating requirements. He/she will also oversee the chemical treatment programmes associated with terminal, marine and base operations. There will be a requirement to assist with the development of Measurement Procedures, covering quantity and quality, for the two metering facilities located at the Supsa Terminal. Additionally the Laboratory Technician will develop in conjunction with the Maintenance Team daily, monthly and long range maintenance plans for the chemical treatment units and assist with their execution. There will be a general responsibility for ensuring that the laboratory functions safely and efficiently and that all activities are carried out in compliance with Terminal operating procedures.

Successful candidates will have experience in the operation of metering equipment and in laboratory based analysis of crude oil in a pipeline or terminal environment.

METERING TECHNICIANS

The Metering Technicians will provide operations, maintenance and technical planning support for the operation of the Terminal metering system, which will involve day to day maintenance and record keeping to ensure the measurement facilities are kept within industry and government accepted guidelines. They will assist with the development of Measurement Procedures, covering quantity and quality, for the two metering facilities located at the Supsa Terminal and assist the maintenance team in the execution of the maintenance plan associated with the metering systems. Additionally the Metering Technicians will conduct calibrations, record and report results in accordance with procedures. Statistical Process Control techniques will be used to monitor all the parameters associated with the metering facilities at Supsa.

Ideal candidates will have experience dealing with metering equipment in a pipeline or terminal environment.

For all of the above positions successful candidates should be able to demonstrate 8-10 years experience in the indicated functions. Furthermore, they should ideally possess English language skills, both written and spoken, and be willing to develop those abilities through formal English language training to be provided by Georgian Pipeline Company.

If you feel you have the necessary skills and experience to fulfil the requirements of one of these challenging positions please provide the details requested on the attached form and send it and a copy of your current CV to the address given below. The closing date for receipt of applications is **Friday 13th February.**

GPC will not be acknowledging all applications, only those from individuals who are invited to attend for interview, and receipt of an application in no way implies that candidates will be interviewed or offered employment.

რუსთაველის გამზირი 31
კავშირგაბმულობის მე-8 განყოფილება
საოპერაციო დარბაზი
ფულის გზავნილებათა მიღების სამუშაო ადგილი
ყოველ დღე, 10.00 საათიდან 17.00 საათამდე

31 Rustaveli ave.
Post Office 8 th Department
Operation Hall
Money Transfer Acceptance Counter
Every day, 10.00 a.m –17.00 p.m

დანართი
Attachment

Personal Details :
Full Name :
Age :
Address :
Position Applied For :
Most Recent Relevant Working Experience :

| Dates | Employer | Duties and Responsibilities |
|---|---|---|
| | | |

Relevant Qualifications :

საკაბელო ნაწარმი
ფართო
ასორტიმენტით
მაღაზია
„ელექტრონი"
თბილისი,
წერეთლის პრ. 71
ტელ: 94-10-95.

ყურადღება!
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი შპს „პრესა" სთავაზობს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს
„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის",
„საქართველოს საგადასახადო კოდექსის",
„საქართველოს კონსტიტუციის"
და მიწის საკუთრების შესახებ კანონის
ბოლო, ოფიციალურ გამოცემებს ყველაზე იაფად, ხელმისაწვდომ ფასებში.
გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს დიდი რაოდენობით შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.
მისამართი: მ. კოსტავას 14, მე-4 სართული,
ტელეფონი: 93-26-99.

სასწავლო
პროგრამები
უცხოეთში
1. ერთი წელი ამერიკის სკოლებში (ასაკი 15-18 წელი)
2. ენის კურსები ნებისმიერ ქვეყანაში.
მისამართი:
ვაჟა-ფშაველას 18,
ტელეფონი: 94-25-14
„განახლების
ქართულ-ამერიკული დასი"
ფონდი „ინტერკულტურა".

უფასო
კონსულტაციები
მიწისა და
უძრავი ქონების
მესაკუთრეთათვის.
მიწის მესაკუთრეთა
უფლებების დაცვის
ასოციაცია.
თბილისი,
კრილოვის 15,
II სართ.
ტელ: 94-17-84.

გაითვალისწინეთ!
ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ შარშანდელი 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის" მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის" სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული. ყველა დანარჩენი მოპარულია.
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

ინტერვიუ

# სიხარულის გრძნობით



**ახალ წელს საქართველოს ფეხბურთელთა პირველი ნაკრები, როგორც ცნობილია, ახალი მწვრთნელით შეხვდა... ვლადიმერ გუცაევის ჩასვლა მოსკოვში, თანამეგობრობის თასის ტურნირზე, რასაკვირველია, რუსეთელ ჟურნალისტებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ.**

**— რატომ გადაწყვიტა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მესაჭის შეცვლა?**

— რამდენადაც ვიცი, დავით ყიფიანმა თვითონ განაცხადა, რომ წავა პოლონეთის ნაკრებთან შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩის შედეგისაგან დამოუკიდებლად. შეასრულა კიდეც სიტყვა, თუმცა ის შედეგი დადებითი აღმოჩნდა (3:0). ალბათ, იმიტომ, რომ მთლიანად და სავსებით გადაერთოს თბილისის „დინამოსთან" მუშაობაზე. აი, სწორედ მაშინ ფედერაცია სასწრაფოდ შეუდგა ახალი მწვრთნელის ძებნას.

**— თქვენს გარდა თუ იყო კანდიდატურები?**

— იყო ერთი — რევაზ ძოძუაშვილისა, მაგრამ ალმასკომის სხდომამდე ზუსტად ორი კვირით ადრე მას ლატვიის ეროვნული გუნდის გაძღოლა შესთავაზეს. რევაზმა უმალვე აწონ-დაწონა ყველაფერი და ლატვიელებთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ასე რომ, ძოძუაშვილის ვარიანტი თავისთავად მოიხსნა: ორ ნაკრებს შორის აქეთ-იქით ხეტიალი, თქვენც მშვენიერად გესმით, უბრალოდ შეუძლებელია.

**— გამოდის, ავტომატურად აბრძანდით ტახტზე?**

— არ ვიტყოდი ასე. საჭირო იყო, რომ ოფიციალურად დავემტკიცებინეთ ამ თანამდებობაზე. იმ დროისათვის ბევრმა ჟურნალისტმა, სპეციალისტმა და ფედერაციის მუშაკმა ჩემს კანდიდატურას მხარი დაუჭირა, იქ საზოგადოებრივ აზრსაც ყურს უგდებენ. ეს დამეხმარა კიდეც სათავეში ჩავდგომოდი საქართველოს ნაკრებს.

**— როგორი შეგრძნებით?**

— სიხარულის გრძნობით. სათავეში ყოფნა პრესტიჟულიც გახლავთ და საინტერესოც. მით უმეტეს, რომ, მგონია, საქართველოს ნაკრებს გაცილებით მეტი წარმატების მიღწევა შეუძლია.

**— რას ეფუძნება თქვენი რწმენა?**

— იმ ფეხბურთელთა კონტინგენტს, რომელიც გუნდის განკარგულებაშია. არაერთი მატჩი მინახავს მისი მონაწილეობით. ჩივაძის ხელშიც, ყიფიანის ხელშიც გუნდი ურიგოდ როდი თამაშობდა. გაიხსენეთ გამარჯვებები ბულგარელებთან, უელსის არცთუ სუსტ გუნდთან. გერმანელებთანაც, რომ იცოდეთ, ნაკრები ღირსეულად გამოიყურებოდა. ამჟამად გუნდის შემადგენლობა, პრინციპულად, შენარჩუნებულია, მოთამაშეებს საერთაშორისო გამოცდილება დაუგროვდათ, მამასადამე, უფრო მომწიფდნენ.

**— ბრძანეთ ერთი, რამ შეგიშალათ ხელი ტურნირის დასაწყისშივე ჩამოსულიყავით?**

— მე სწორედ მესამე სათამაშო დღისათვის ვვარაუდობდი მოსკოვში ჩამოსვლას, „სკონტოსთან" თბილისის „დინამოს" მატჩისათვის. რიგის კლუბი ლატვიის ნაკრების ბირთვია, ნაკრები კი ჩვენი მეტოქეა შესარჩევ ჯგუფში.

**— საფიქრებელია, რომ მარტო ამიტომ არა ხართ აქ?**

— მართალი ბრძანდებით. კანდიდატებს ვუკვირდები. მეკარე გვარამაძე და მცველი სილაგაძე, მაგალითად, „სკონტოში" გამოდიან, დიდავა, კიკნაძე და მუჯირი კი — „დინამოში", თანაც ეს ბიჭები სულ ახალგაზრდული ნაკრებიდან არიან, რომელსაც ადრე ვავარჯიშებდი.

**— და როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ჯერჯერობით დიდი ვერაფერი შეილი. თბილისელებმა თავის დონეზე დაბლა ითამაშეს. ვინ-ვინ და მე ხომ მშვენივრად ვიცი მათი შესაძლებლობები. ეგ არაფერი, თებერვლის დასაწყისში მალტაზე გვიწევს გამგზავრება, სადაც საქართველო ელვა-ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. იქ კიდევ ერთხელ ვნახავთ კანდიდატებს საქმეში.

**— ვისთან ითამაშებთ?**

— ალბანეთთან, ლატვიასთან და მასპინძელთა ნაკრებთან. შემდეგ ვგეგმავთ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს. შესაძლოა, რუსეთის ნაკრებსაც ვეთამაშოთ. ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა მალტის ტურნირის შემდეგ. აუცილებლად შევეხმიანებით ერთმანეთს მე და ბორის იგნატიევი და შევეცდებით შეხვედრის თარიღი და ადგილი დავთქვათ.

მოამზადა
**თამაზ ეგანოიძემ.**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ფიზიკური კულტურა

# ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული

გასული წლის ბოლოს დეკემბრის ოცდაათსა გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება — „ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ".

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული. ძველი, მრავალჯერ გამეორებული, მაგრამ არდაძველებული ფორმულაა.

ერი უნდა იყოს ჯანსაღი ფიზიკურად და სულიერად.

კაი დაგემართოთ, კაი ეგ იყოს!

ღონისძიებაც დროული ჩანს.

პროექტიც დაკვირვებითაა მოფიქრებული.

თუ კაცი გონიერია, სოფელიც ღონიერიაო, თუ პირიქით.

თავად პრეზიდენტი ჯანმრთელია; სრული — მორალური და ფიზიკური — უფლება აქვს ამნაირი ბრძანებულების გამოქვეყნებისა.

მახსენდება ერთი ეპიზოდი მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლიდან".

ცრუ მეფემ და ცრუ ჰერცოგმა ერთ ქალაქში ლექცია წაიკითხეს ალკოჰოლური სასმელების მავნებლობის შესახებ. ხალხი ბევრი არ დაესწროთ და ისე ცოტა ფული შემოუვიდათ, დასალევად ძლივს ეყოთო.

ჩვენი პრეზიდენტი ჯანმრთელია: ეს ვიცოდი, ამასწინდელმა სატელევიზიო გამოსვლამ სავსებით გაამართლა ჩემი ვარაუდიც. იგი 70 წლის გახდა იანვარშივე და მთელი წელი 70 წლისა იქნება. ღმერთმა დიდხანს ჯანმრთელი ამყოფოს!

ამნაირ ჯანმრთელ, განმრთელ (არც კბილს აკლია, არც ყურს, არც თვალს, სხვაზე აღარაფერს ვამბობთ) პრეზიდენტს, დღის განაწესიც გონიერულად ექნება დაპროგრამებული. დაძაბულ მუშაობას (ნერვიულობა არ აკლია) ზომიერი კვება და ვარჯიში ენაცვლება, დარწმუნებული ვარ: რომ არ ეწევა და არ სვამს უზომოდ, ქე ვხედავ, ფლობს საკუთარ ემოციებს, სხეულს, ნერვებს.

ამ ფაქტორებს დიდი ყურადღება ექცევა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამიტომაა მთელი მსოფლიო გულისფანცქალით ადევნებს თვალს ელცინის — ფიზიკურს იმდენად არა — ფსიქიკურ მდგომარეობას. საშლევარგარეთის პრეზიდენტები (ტელევიზორის საშუალებით ვადევნებთ, ცხადია, თვალს) გარეგნობას, ფიზიკურ კონდიციებს (ძალიან მომწონდა ბუშის აღნაგობა, მანერები) აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

კლინტონი: შეხედავ, — გაგიხარდება, მამაკაცური პოტენცია (ქალი არ გაუშვა თეთრი სახლის ახლომახლო), შეგშურდება მისი. თმას, ფრჩხილებს (ქალებზე აღარ ველაპარაკობ), ძაღლს (სახელი დამავიწყდა) და საქსოფონს, მე მგონი, მეტ დროს უთმობს, ვიდრე პოლიტიკას. ეს კარგია ერთგვარად.

მახსოვს, კარტერი, ექს-პრეზიდენტი ტრუს-მაისურით, ცხვირსახოცით კი არა, „პლატოკით" თავწაკრული ქუჩაში გარბოდა პრეზიდენტობის დროს, მასობრივ თუ მასიურ მარათონში იღებდა მონაწილეობას. მართალია, შუა გზაში გული წაუვიდა და გაგორდა ასფალტზე, მაგრამ ხომ ირბინა. მთავარია მონაწილეობა და არა შედეგი.

ჩვენი პრეზიდენტი, ღვთის მადლით, არ დარბის, თუმცა ჩქარა დადის, დაცვაც ვერ ეწევაო (კომენტატორს ბატონ გელა ჩარკვიანს, მე მგონი, ზედმეტი მოუვიდა), მაგრამ სიარული რომ არ ემლება, ესეც ვიცი.

ამნაირ სპორტულ ფორმაში იყოს ყველა ის მინისტრი, რომლის მისამართითაც გამოცემული 1997 წლის 22 დეკემბერს (30/12) გამოქვეყნებული ბრძანებულება, არ გეგონია!

ბრძანებულების ძირითადი ადრესატი, როგორც მივხვდი, ჯანმრთელობის სამინისტრო, მინისტრი ბატონი ავთანდილ ჯორბენაძეა.

ხსენებულმა სამინისტრომ დანარჩენ სამინისტროებთან შეთანხმებით უნდა შეადგინოს **„...ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ღონისძიებათა ხუთწლიანი მიზნობრივი პროგრამა"**, რომელიც მაისამდე (რაღა დარჩა), სამ თვეში უნდა წარმოადგინოს. მაისი აგერაა, 5 წელიც გასრულდება და ჯანმრთელობის მინისტრი ისე არ გააჯანსაღებს მოსახლეობას, რომ საკუთარ ექიმთა არმია ულუკმაპუროდ დატოვოს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი შესაბამისი უწყებები (ციხე-კოლონიების ჩათვლით) უკეთესად ხომ არ შეძლებდნენ დასახული პრობლემების გადაწყვეტას: ამტანობის, გამძლეობის, გაძლების გამომუშავებას!

ერთი გამორჩეული მინისტრი მოიკითხა თურმე დღის თერთმეტ საათზე — მაშინდელმა სახელმწიფოს მეთაურმა — ედუარდ შევარდნაძემ.

პალერმოშიაო, მოახსენეს.

— რატომ წავიდა, უჩემოდ როდის გაემგზავრა? — გაოცდა სახელმწიფოს მეთაური, — როდის დაბრუნდება?

— მალე, — აქვეა, რესტორან „პალერმოში", — დაამშვიდეს.

რამდენად მართალია ეს ამბავი — არ ვიცი, როგორც მომყიდეს, ისე ვყიდი, მაგრამ ის მინისტრი ჩემი თვალით ვნახე იმავ, ახლადგახსნილ „პალერმოში", იმჟამად უკვე ღამის თერთმეტ საათზე; ჩაბნელებულ-ჩაშავებული უბნიდან ტრანსფორმატორის შესაკეთებლად წამოსული მობინადრეები ეძაგძაგებდით მოყინულ ეზოში. „პალერმოდან" გამოსულ მინისტრს და მაღალი რანგის რუს გენერალს სპირტისა და თამბაქოს ოხშივარი ადიოდათ. მოხვია ჩვენმა მინისტრმა წელზე ხელები რუს გენერალს და აწია სიყვარულის თუ პატივისცემის ნიშნად. უშვა ხელი და შემდეგ გენერალმა აწია. ფეხზე ვერ დგებოდნენ და ერთმანეთს სწევდნენ. ამით ჩვენ საქმეს აკეთებსო, ამიხსნეს. იმ მინისტრის გაკეთებული საქმე (საბრძოლო იარაღის, ტექნიკის გადმოცემა იგულისხმებოდა) მე პირადად ვერ ვნახე, მაგრამ ამნაირ ჯანმრთელ, ჯანსაღ მინისტრს სამსახურიდან როგორ დავითხოვდი. აბა გულზე ხელი დაიდონ დანარჩენმა მინისტრებმა და თქვან — რამდენი გენერალი ეყოლებათ აწეული?

უსაქმური, უმუშევარი კაცი მეტს ჭამს.

რამდენჯერ გინახავთ ვარჯიშით გადაღლილი სპორტსმენი (მოყვარული ყოფილიყო თუნდაც), ანდა მუშაკი — გლეხი, მუშა — ჭამის თავი არა მაქვსო, რომ უთქვამს! რამდენიც გინდათ.

უსაქმური და უმუშევარი ახალგაზრდა (ჩვენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ხომ ამ კატეგორიას ეკუთვნის) როგორც გითხარით, მეტს ჭამს, რატომ? ეს უკვე ჩემი დაკვირვებაა და ნუ დამიკარგავთ.

უსაქმური, არაფრისგამკეთებელი ჭამაში, ყბების ხათქახუთქში ხარჯავს ენერგიას. ომში არ მიდის, სამსახური არ აქვს, სპორტი ეზარება. სად დახარჯოს კალორიები და ის ენერგია, რომელიც განგებამ მიუბოძა? ჭამაში: ჭამს, ფქვავს, სვამს. ეზრდება მუცელი, კისერი; ჩვენ ხომ გალასუქებული, დონდლო ხალხი ვართ. ამიტომაა ფიზიკური ვარჯიში აუცილებელი. ეკონომიკური სარგებლიანობაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, ყველაფერთან ერთად.

**რეზო ჭეიშვილი.**



სპორტული შეჯიბრება — სიხარული, სიცოცხლე, ალტაცება...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## კვიცი — გვარზე

**ნაძალადევის** რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ მერვე წელიწადია მუშაობს ლალი ქარქუსაშვილი. ეს ერთადერთი ქალბატონია საქართველოს სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებს შორის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ერთ აქამდე აქ, ამ თანამდებობაზე მყოფ მამაკაცს არ გაუკეთებია იმდენი, რაც ამ ხნის განმავლობაში შეძლო ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის ქალბატონმა ლალიმ. ამისათვის იყენებს ყველაფერს, დაწყებული სპორტის პროპაგანდიდან, დამთავრებული სექციების მუშაობისადმი კონტროლით.

მისი ინიციატივით აქ ხშირად აწყობენ ლექციებს, თეატრალიზებულ დადგმებს, შეხვედრებს გამოჩენილ სპორტსმენებთან. რაიონული სპარტაკიადის გარდა, ხშირია შეჯიბრებები ცალკეულ სახეობებში, საჩვენებელი გამოსვლები, ხანდაზმულთა და სკოლამდელ ბავშვთა პაექრობები.

ტყუილად არ არის ნათქვამი: „კვიცი გვარზე ხტისო", — იგი ხომ წარსულში ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის, ორმოცდაათიანი წლების არაერთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სამბოში და თავისუფალ ჭიდაობაში (რომლის სახელობის თასის გათამაშებაც ყოველ წელს ტარდება), ესტატე ქარქუსაშვილის შვილია.

განსაკუთრებულ ყურადღებას ლალი გოგონებთან მუშაობას უთმობს და ზოგიერთ მძლეოსნურ სექციაში გოგონების შედეგები თითქმის გაუთანაბრდა ვაჟებისას... სწორედ ასეთ პატრიოტებზე, ენთუზიასტებზე დგას დღეს ჩვენი სპორტი, რომელიც, თანდათან გამოდის მძიმე მდგომარეობიდან და, ღვთის შეწევნით, ახერხებს ადამიანების, ახალგაზრდობის დაინტერესებას სპორტით. ეს კი ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

**ამირან მონიავა,**
სპორტის ვეტერანი მუშაკი.

ფეხბურთი

## კალაძის ბენეფისი

მართალია, თბილისის დინამოელები მეოთხედფინალიდან, ჩვენი თანამემამულეებით გაძლიერებული ლატვიურ-თურქმენული კლუბები კი ნახევარფინალიდან გამოეთიშნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეექვსე გათამაშებას, მაგრამ ტურნირზე მთავარი სიტყვა მაინც ქართველმა თქვა.

კიევის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" ფინალური შეხვედრის ბედი უკრაინელთა ჩვენებური მცველის კახი კალაძის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა — 1:0. ამ მოგებით ლობანოვსკის გუნდი საერთო გამარჯვებათა რიცხვით გაუთანაბრდა „სპარტაკს" — მათ სამ-სამჯერ მოიპოვეს დსთ-ს თასი.

## ევროპის სტადიონებზე

**იტალია.** XVIII ტური. „ლეჩე" — „იუვენტუსი" 0:2, „ბრეშია" — „ინტერი" 0:1, „ფიორენტინა" — „უდინეზე" 1:0, „ნაპოლი" — „ლაციო" 0:0, „პარმა" — „ბარი" 1:0.

„იუვენტუსი" — 41, „ინტერი" — 40, „უდინეზე" — 34, „ლაციო", „პარმა" — 32-32, „ფიორენტინა" — 30 ქულა.

**ესპანეთი.** XXIII ტური. „ბარსელონა" — „სპორტინგი" 2:1, „ვალიადოლიდი" — 11, „სოსიედადი" 0:4, „ბილბაო" — „სალამანკა" 1:0, „სელტა" — „ატლეტიკო" 1:1.

„ბარსელონა" — 44, „რეალი" — 43, „სოსიედადი" — 42, „ბილბაო" — 39, „ატლეტიკო" — 38 ქულა. „ბარსელონას" და „რეალს" თითო თამაშით ნაკლები აქვთ გამართული და მორიგ ტურში 7 თებერვალს ერთმანეთს კატალონიის დედაქალაქში ხვდებიან.

**ინგლისი.** XXIV ტური. „მანჩესტერი" — „ლესტერი" 0:1, „ჩელსი" — „ბარნსლი" 2:0, „ლივერპული" — „ბლექბერნი" 0:0, „არსენალი" — „საუთჰემპტონი" 3:0.

„მანჩესტერი" — 49, „ჩელსი", „ბლექბერნი", ლივერპული" 45-45, „არსენალი" — 41 ქულა. „არსენალს" ერთი გამოტოვებული მატჩიც აქვს.

პირველ დივიზიონში „მანჩესტერ სიტიმ" სტუმრად ფრედ — 0:0 ითამაშა „ტრანმერთან" და 29 ქულით სატურნირო ცხრილში მეოცე ადგილზეა.

**გერმანია.** XXI ტური. „მალკე-04" — „კაიზერსლაუტერნი" 1:1, „ბაიერნი" — „ჰამბურგი" 3:0.

„კაიზერსლაუტერნი" — 46, „ბაიერნი" — 44 ქულა.

**თურქეთი.** XX ტური. „ტრაბზონი" — „ფენერბახჩე" 0:0.

„ფენერბახჩე", „ტრაბზონი" — 41-41 ქულა.

ჭადრაკი

## „2 მილიონი, ოღონდ... რუპიებით!"

მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, მას შემდეგ, რაც პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია დააარსა, თავისი წოდება ორჯერ დაიცვა და თანაც სავსებით დამაჯერებლად: 1993 წელს ნაიჯელ შორტთან (ინგლისი) და 1995 წელს ვიშვანათან ანანდთან (ინდოეთი). ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონმა საჭადრაკო სამყაროს აღუთქვა, რომ ასეთ მატჩებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ითამაშებდა.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება კასპაროვ-კარპოვის მატჩის მოწყობის შესახებ, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. ამდენად, მსოფლიო ჩემპიონის დაპირება არ შესრულდა.

კასპაროვის მიმართ არა ერთი საყვედური გაისმა. იგი, რა თქმა უნდა, აპირებს მდგომარეობის გამოსწორებას, და, გერმანულ საჭადრაკო ჟურნალ „როხადეს" ცნობით, საჭადრაკო სამყაროს ახალ, საინტერესო პროექტს სთავაზობს. თვით კასპაროვი შექმნის ფონდს 2 მილიონი დოლარის ოდენობით, მოეწყობა მსოფლიოს 5 უძლიერესი დიდოსტატის მატჩ-ტურნირი ოთხ წრედ, რომელშიც გამარჯვებული რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე კასპაროვს შეხვდება მატჩში მსოფლიო პირველობაზე პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით.

საინტერესოა, რომ ამ ასპარეზობაზე არ იწვევს ანატოლი კარპოვს. რატომ? კასპაროვი თვლის, რომ დღეისათვის კარპოვი არ შედის მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ხუთეულში (კასპაროვსაც თუ ჩავთვლით, პირველ ექვსეულში).

ანანდი მეტად ირონიულად არის განწყობილი კასპაროვის ამ ახალი პროექტის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, მას არ სჯერა, რომ ჩემპიონი შეძლებს საპრიზო ფონდის შექმნას ორი მილიონი დოლარის ოდენობით. „2 მილიონი, ეტყობა, აქვს, ოღონდ... მალაიზიური რუპიებით", — დამცინავად თქვა ინდოელმა.

ჩოგბურთი

## სეზონის პირველი ლაურეატები



მარტინა ჰინგისი.



პეტერ კორდა.

პროფესიონალმა ჩოგბურთელებმა ახალი სეზონი, ტრადიციისამებრ, ავსტრალიის ღია ჩემპიონატით დაიწყეს.

ყველასათვის მოულოდნელად, ფინალური შეხვედრები დაძაბული ბრძოლების გარეშე წარიმართა.

ქალთა ტურნირი უპრობლემოდ მოიგო მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა. იგი იოლად გაუსწორდა ტრავმირებულ ესპანელ კონჩიტა მარტინესს — 6:3, 6:3.

ვაჟთა ასპარეზობის გამარჯვებულმა ჩეხმა პეტერ კორდამ პირველად მოიგო „დიდი მუზარადის" მთავარი პრიზი. მან ჩილელი მარსელო რიოსი დაჯაბნა — 6:2, 6:2, 6:2.

# ნაგანოში ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 5 დღეღა დარჩა

NAGANO 1998

### მეგობრობისა და მშვიდობის ხიდი

„ჩვენ მაქსიმალურ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ სხვა ქვეყნების ათლეტებს შევებრძოლოთ პატიოსნად და ღრმა მეგობრული გრძნობით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ნაგანოს თამაშები გახდება მშვიდობის თავისებური ხიდი XXI საუკუნისაკენ", — განაცხადა იაპონიის გუნდის კაპიტანმა, ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიო თასის გათამაშების ლიდერმა მასაკინო ხარადამ ტოკიოში იაპონიის დელეგაციის ოფიციალურ წარდგენაზე. ბანკეტს ესწრებოდნენ იმპერატორ აკიხიტოს უმცროსი შვილი, პრინცი აკიშინო და ქვეყნის განათლების მინისტრი ნაბუტაკა მაშიმურა.

ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე იაპონიის დროშის ტარება მიანდეს ცნობილ ათლეტს — მოციგურავე ხიროიასი შიმიცის.

### დოპინგს იზოტოპებით მოძებნიან

თეთრი ოლიმპიური თამაშების მთელი ისტორიის მანძილზე სპორტსმენთა დოპინგტესტებს დადებითი შედეგი ჰქონდა მხოლოდ ოთხჯერ: ორჯერ ინსბრუკში, თითოჯერ კი სარაევოსა და კალგარში. ამის მიუხედავად, ნაგანოს ოლიმპიადის ორგანიზატორები დოპინგის პრობლემებს ძალზე სერიოზულად მიუდგნენ. ოლიმპიური თამაშების განმავლობაში ტესტირებას გაივლის შეჯიბრებათა 800 მონაწილე, თანაც პირველად გამოიყენებენ ნახშირბად-იზოტოპურ მეთოდს. ის კი, **სოკის სამედიცინო კომისიის თავკაცის, პრინც ალექსანდრე დე მეროდის განცხადებით**, საშუალებას იძლევა სპორსტმენის სხეულში გამოავლინოს ხელოვნურად წარმოქმნილი ჰორმონი — ტესტოსტერონი.

### დიდი სამუშაო

აუარებელი სამუშაო დაატყდა თამაშების ოფიციალურ საინფორმაციო ქსელის სისტემას Info-98. მან დიდი პოპულარობა მოიპოვა მუშაობის პირველსავე დღეს, როცა 62 ათასი ცნობა გასცა, მომდევნო დღეს კი კიდევ 56 ათასი. ყველაზე დიდი მოთხოვნაა ოლიმპიადის მონაწილეთა ბიოგრაფიებზე, მეორე ადგილზე კი ახალი ამბების ფურცლებია.

### ნაგანოში თებერვალშიც გაზაფხულია

ნაგანოს პრეფექტურის 11 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სტუდენტები ცოცხალი ყვავილებით მორთავენ ოლიმპიურ სოფელს, მთავარ პრეს-ცენტრსა და თამაშების სპორტულ ასპარეზებს. თითოეულ ჯგუფს გამოჰყავს განსაზღვრული ყვავილი — ბეგონიები, ყოჩივარდები, ფურისულები და სხვა. ისე რომ, თებერვალში ნაგანოს სტუმრებს გაზაფხულის სურნელი დახვდება.

### დალაქებიც არ მოიწყენენ

თამაშების ორგანიზატორები ყველაფერს აკეთებენ, რათა ოლიმპიური სოფლის თითქმის სამი ათასი მცხოვრები თავს შინაურულად გრძნობდეს. მაგალითად, საერთაშორისო ზონაში გაიხსნა საპარიკმახერო სალონი, სადაც პირველსავე დღეს 30 კლიენტი ჰყავდათ. ერთ-ერთი ოსტატი მაკოტო ცუკადა თვლის, რომ კარგმა ვარცხნილობამ, შეიძლება, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სპორტსმენის შედეგებზე. სხვათა შორის, ოლიმპიური საპარიკმახეროს შტატში 100 პარიკმახერია.

### ხუთი რგოლის გარშემო

● **ნამდვილი ოქროს** ოლიმპიური მედლები სპორტსმენებს უკანასკნელად 1912 წელს გადაეცათ. ნაგანოს ოქროს მედლები ვერცხლისაა და ოქროს შენადნობია, სადაც ოქრო 6 გრამია. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები კი ნამდვილად ამ ლითონებისგანაა დამზადებული.

● **სამხრეთ აფრიკის** რესპუბლიკაში, რომელიც ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობს, თოვლი არასდროს არ მოდის. სამაგიეროდ, აქ აქვთ შესანიშნავი დახურული მოედნები ზამთრის სახეობებისათვის.



● **ძალზე მრავალფეროვანი** იქნება ოლიმპიური მენიუ-საუზმისათვის, სამხრისათვის, სადილისა და ვახშმისათვის აქ ასამდე დასახელების კერძს დაამზადებენ. მათ შორის, იქნება როგორც ინტერნაციონალური, ისე „ვიწრო", ეროვნული კერძები, როგორიცაა, მაგალითად, მონღოლური მწვადი.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

გილოცავთ, კოლეგა

# მიბრუნება-გაბრუნებაში სამოცდაათი წელი გასულა



თუ გივი ჩიქვინიძეს დავუჯერებთ (ალბათ, უნდა დავუჯეროთ), შოთა ცირეკიძისთანა გულადი და პურადი ორი არ მუშაობდა ჩვენს რედაქციაშიო. თუ არჩილ მანჯგალაძეს ვერწმუნებით (სხვა რა გზაა), შოთა ცირეკიძისთანა მუშაკი ორი არ იყო იმელის პოლიტიკურ გამოცემათა რედაქციაშიო.

ვერ გეტყვით, ქართული ენციკლოპედიის თანამშრომლები რა აზრისანი არიან ბატონ შოთაზე (ამჟამად იქ მუშაობს), მაგრამ ჩვენს რედაქციაში (შეთავსებით ჩვენთანაცაა სტილისტად) რომ ერთი დარბაისელი, საქმიანი, ღიმილიანი კაცის სახელი აქვს, ეს ფაქტია.

შოთა ცირეკიძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1953 წელს დაუწყია მუშაობა გაზეთ „კომუნისტში“, — ჯერ მრეწველობის განყოფილებაში ვიყავიო, — ამბობს, — მერე იმელში გადავედიო. იქიდან ახლად დაარსებულ ენციკლოპედიაში წასულა, მერე ისევ იმელში მიბრუნებულა, იქიდან ისევ ენციკლოპედიაში და — ჩვენთანაც.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რას მიდი-მოდიოდა, ვერ ჰგუობდა ეს კაცი ხალხსო? პირიქით, შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ჩვენი რედაქციის თანამშრომლებთან, საუბარიც გულითადი იცის და არც არაფერში „იჭრება“.

ჩემი დაკვირვებით, პირფერობას, არაკომპეტენტურობას, დილეტანტიზმს ვერ იტანს, ბატონ შოთას რამდენჯერმე სარედაქციო თათბირზე, კაი, მწარე, მწარე რაღაცეები „წამოსცდა“. სხვა მხრივ, თუ „გაგიკეთილშობილებს“ ნაწერს, თორემ უბატონოდ ხმას როგორ გაგცემს, ოკრიბაში ფესვებგამდგარი კაცი.

ჰოდა, სამოცდაათი წლისა გამხდარა... ხარობს შვილებითა და შვილიშვილებით, ღმერთმა სიხარული არ მოაკლოს!

ვილენ მარდალეიშვილი.

სასამართლო

# ასეთი ჩვენება პროკურორებს აოცებთ...

ჩვენება მისცა მიმოხილვითი, ზოგადი ხასიათისა დაახლოებით ამგვარი: – 29 აგვისტოს ტაბახმელიდან ერთად წამოვედით მე და გიგა გელაშვილი. მივედით სამშობიაროსთან, სადაც უნდა ემშობიარა ჩვენი მეგობრის მეუღლეს. იქ იყო თემურ ხაჩიშვილიც, ნიკა კვეზერელიც, ლევან ზაქარეიშვილიც. მერე წავედით ბაზარში, ვიყიდეთ ყვავილები, „კოკა-კოლა“. მივუტანეთ დიდუბეში გიგა გელაშვილის მეუღლეს, რადგან მისი დაბადების დღე იყო. ვისადილეთ, დავბრუნდით ისევ სამშობიაროში. მერე ავედით გიგას სახლში. იქ დავრჩით ორ საათს. მოვიდა გიგა, წავედით მის მეგობარ ქალთან. იქ შევიტყვეთ რაღაც აფეთქების შესახებ, რამაც გიგა გააკვირვა. ვიყავით ერთ ბინაში, მეორე ბინაში, მერე ჩემი სიმამრის სახლში და მეორე დღეს დავშორდით...

ასეთი ჩვენება პროკურორებს აოცებთ. ადრეულ პერიოდში სულ სხვა „საუბრები“ იყო. ამიტომ ჯერ კონკრეტულ კითხვებს სვამენ, მერე კი იმ ადრეული ჩვენებების გამოქვეყნებას ითხოვენ. ჯერ კითხვები:

– რამდენი სახლი ჰქონდა გიგა გელაშვილს?

– ერთი – ჭავჭავაძეზე, ერთი – ბარნოვზე, ერთი – წერეთელზე...

და მაინც, 1995 წლის 28 აგვისტოს ღამით გიგა გელაშვილი ისე, რომ შინ არავინ ყოფილა, ასულა მამუკა ომხერელის სიმამრის, გიორგი კერესელიძის აგარაკზე ტაბახმელაში. ღამე იქ გაუთევია.

და 29 აგვისტოს დილას, როცა კარგად ნამთვრალევი ომხერელი მეზობლიდან გადმოსულა, შინ ბავშვობის მეგობარი – გიგა დახვედრია და მასთან ერთად თბილისში დაბრუნებულა.

– იმ სამშობიაროსთან გიგა გელაშვილმა და თემურ ხაჩიშვილმა განმარტოებით ისაუბრეს?

– არ მახსოვს!

რატომ დარჩით ორი საათი გიგა გელაშვილის სახლში ფალიაშვილზე მარტოდმარტო?

– აბაზანაში შესვლა მომინდა.

– რომ დაბრუნდა, აღელვებული იყო?

– ვერ შევატყვე.

– იგი წავიდა „ბმვ“-თი და დაბრუნდა უმანქანოდ. მერე სამ ადგილას წახვედით, იარეთ ხან – ფეხით, ხან – ტაქსით. არა ჰკითხეთ, – სად წაიღო ის მანქანა?

– არ დავინტერესებულვარ.

– იმ ღამით თემურ ხაჩიშვილს შეხვდით ვაკეში. რაზე საუბრობდნენ გიგა გელაშვილი და თემურ ხაჩიშვილი?

– არ მესმოდა. მანქანაში მუსიკა იყო ჩართული.

– ვის გადასცა ცელოფანის პარკი გიგა გელაშვილმა (საბრალდებო დასკვნით ამ ცელოფანის პარკში იდო პულტი, რომლითაც პარლამენტის ეზოში „ნივა“ ააფეთქეს)?

– ცელოფანის პარკი გიგა გელაშვილს ჰქონდა, მაგრამ ვის გადასცა და შიგ რა იყო, არ ვიცი!

– თქვენს ბინაში იპოვეს კარაბინის რამდენიმე ვაზნა, სიმამრის ბინაში კი – ხელყუმბარა... ვისი იყო?

– არ ვიცი. მე ასეთ რამეებთან საქმე არა მქონია...

მამუკა ომხერელი 12 სექტემბერს დააკავეს. მანამდე კი, 8 სექტემბერს, დაჰკითხეს. რასაც ახლა, სასამართლო პროცესზე ამბობს, პირველი ჩვენების იდენტურია, მაგრამ არის მერე მიცემული ჩვენებები – 13 სექტემბერს, 14 სექტემბერს, 15 სექტემბერს... და სულ სხვა.

„გიგამ მითხრა, რომ მე მგონი გავარტყიო“...

„გიგამ მითხრა, რომ პარლამენტის ეზოში დანაღმული „ნივა“ იდგაო“.

„გიგამ მითხრა, რომ შევარდნაძე ავაფეთქეო“...

– რატომაა ასეთი სხვაობა ახლანდელ და ადრინდელ ჩვენებებს შორის?

– მაძალებდნენ. იყო როგორც მორალური, ისე ფიზიკური ზემოქმედება. ერთხელაც, თავად გიგა გელაშვილმა გამაფრთხილა, რასაც გეტყვიან, ყველაფერი დაწერე, ყველაფერი იკისრეო...

– მერე დაუჯერეთ?

– დავუჯერე იმიტომ, რომ ოჯახის განადგურებითაც მემუქრებოდნენ.

– ვინ გემუქრებოდათ, კონკრეტულად?

– არ მახსოვს!

მამუკა ომხერელი რამდენიმე გამომძიებელმა დაკითხა. პროკურორები ეკითხებოდნენ, – კონკრეტულად, რომელმა გამომძიებელმა გაიძულაო. ასეთ კითხვებს განსასჯელი რატომღაც გაურბოდა: – მაგათ რას ერჩით, ზემოდან ეუბნებოდნენ და იმას აკეთებდნენო.

პირველი დაკითხვებისას მამუკა ომხერელს ადვოკატი არა ჰყავდა. მისი თქმით, ეს ასე იყო გათვლილი, ასე ეუბნებოდნენ. მერე კი ჰყავდა, მაგრამ მაინც იძლეოდა აღიარებით ჩვენებებს. პროკურორები ამითაც დაინტერესდნენ: – როცა ადვოკატი ჰყავდა, მაშინ უფრო გულწრფელად ლაპარაკობდიო. ამაზე მამუკა ომხერელმა უპასუხა, ხომ გითხარით, ზეწოლა იყოო. ეს ზეწოლა ახლაც არისო. ამაზე ძალზე გაოცდნენ როგორც პროკურორები, ისე სასამართლო კოლეგიის წარმომადგენლები, მაგრამ განსასჯელმა მაინც არ იუარა, გამორიცხული დღესაც არაფერი არ არისო...

ისევ არ დავმალავ: ვფიქრობდი, რახან ურიგოდ დაჰკითხეს, ამ ინფარქტის ჩამოყალიბების შემდეგ მაინც მამუკა ომხერელს აუცილებლად შეუცვლიან-მეთქი აღმკვეთ ღონისძიებას. და ისიც მწამდა, რომ ასეთ შუამდგომლობას ხელახლა აუცილებლად დააყენებდა მისი ადვოკატი. და ეს ასეც მოხდა! თავს ვიკავებ დასკვნების გამოტანისგან, ან რაიმე წინასწარი გუმანისგან, მაგრამ... ასეთი სამსჯავრო ჩვენების მიცემით, უფრო სწორად, სხვათა წამხედურობით, ადრინდელი ჩვენების რადიკალური შეცვლით, მამუკა ომხერელმა ხომ არ გაიუარესა თავისი მდგომარეობა?

ამაზე შემდეგ!

ბონდო გულიაშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ხსოვნა

## ლეილა ერაძე



შენს მშვენიერებას შევხაროდით, დაო, ლეილა, შენს სილამაზეს შევნატროდით... თურმე სიკვდილი ყოველივეს ანაცარტუტებს...

შენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოციანელთა“ უტურფესი დაიკო იყავი, შემკული სათნოებით, ნიჭითა და კდემამოსილებით, გარშემორტყმული მეგობრებითა და თაყვანისმცემლებით.

უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დამთავრების შემდეგ გაიფურჩქნა შენი ნიჭი – ჟურნალ „დილას“ რედაქციის თანამშრომელი თუ ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი, ავტორი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებისა, ქართული სიტყვის ჯავარს ეტრფოდი და რამდენიმე საკუთარი ლექსების კრებულის გარდა, შესანიშნავი თარგმანები დაგვიტოვე აზერბაიჯანულიდან, იტალიურიდან... აზერბაიჯანთან შენი ურთიერთობა ხომ საერთოდ განსაკუთრებული იყო – შენ, შენი ძვირფასი შემოქმედებით, საზოგადო მოღვაწეობით იმ ხიდის ერთ-ერთი მშენებელი იყავი, რომელიც მყარად არის გადებული საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის.

სწორედ ამ ღვაწლისათვის, სწორედ აზერბაიჯანულიდან ბრწყინვალე თარგმანებისათვის მოგენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული პრემია და რასულ რზას სახელობის პრემია, მოგენიჭა აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

შენ შინაგანი სითბოთი და გარეგნული მომხიბვლელობით ასხივოსნებდი ყველაფერს, როცა ჟურნალისტთა ფედერაციის სტუმარი იყავი, ანდა, როცა რედაქციებს შენს ნაშრომ-ნალვაწს შესთავაზებდი.

ნუთუ, ჩაქრა ეს სილამაზე!...

ნუთუ შენი განუმეორებელი ღიმილი ვეღარ უნდა ვიხილოთ!...

ვაი რომ, ყოველივე მწარე რეალობაა და დღეიდან წარსულში უნდა მოვიხსენიოთ... მშვიდად იძინე ჩვენო დაიკო, ნათელი დაადგეს შენს სახელს!...

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

## ბორის ხეცურიანი



ცაგერის რაიონის საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, შემოქმედი, ნამდვილი ინტელიგენტი **ბორის აკაკის ძე ხეცურიანი.**

ბორის ხეცურიანი დაიბადა 1930 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერში. 1949 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა, 1954 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშობდა კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად, პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორად, რაიონის კულტურის სახლის დირექტორად, ადგილობრივი რადიოგადაცემის რედაქტორად, ცაგერის რაიონული გაზეთის რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად, კულტურის განყოფილების გამგედ, კინოფიკაციის დირექტორად.

წავიდა ჩვენგან ღირსეული ადამიანი. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა, დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი იყო გულისხმიერი, თავისი ქვეყნისა და კუთხის დიდი პატრიოტი, დიდებული მეუღლე, მამა, ბაბუა, ძვირფასი მეგობარი და ამხანაგი.

რაიონში უკანასკნელი 40 წლის მანძილზე არ ჩატარებულა რაიმე მხატვრული, შემოქმედებითი თუ სხვა ღონისძიება, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იგი არ ყოფილიყოს.

იყო განათლებული, ერუდირებული ჟურნალისტი. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული პიესა „მზის ამოსვლამდე“. იყო ბრწყინვალე მსახიობი, რეჟისორი, მუსიკათმცოდნე, აქტიური წევრი და ხელმძღვანელი რაიონის მხატვრული შემოქმედებითი ანსამბლებისა თუ ჯგუფებისა. გადაღებულია გელა კანდელაკის ფილმში „უბედურება“. გამოუქვეყნებელი დარჩა ნაშრომი „ცაგერის სახალხო თეატრი 90 წლისაა“.

მას კიდევ დიდი შემოქმედებითი გეგმები ჰქონდა დასახული, მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა. ბორის ხეცურიანის ხსოვნა დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ცაგერის რაიონის გამგეობა; კულტურის სამინისტრო; საზოგადოება „ლეჩხუმი“; პარლამენტის წევრთა ბიურო.

დაკრძალვა 3 თებერვალს, 2 საათზე ცაგერში.

ბლიც-ანკეტა



## მურმან ჯინორია,

### რუსთაველის თეატრის მსახიობი, კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი

1. ზოდიაქოს ნიშანი – თევზები;
2. საყვარელი მწერალი – გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, გურამ რჩეულიშვილი;
3. საყვარელი ლიტერატურული ქმნილება – „ჰამლეტი“, „დონ კიხოტი“, „ვეფხისტყაოსანი“.
4. საყვარელი მხატვარი – მიქელანჯელო, ვან გოგი, სალვადორ დალი, მოდილიანი, ფიროსმანი, ავთო ვარაზი;
5. საყვარელი რეჟისორი – კოპოლა, ფორმანი, რობერტ სტურუა, ოთარ იოსელიანი;
6. საყვარელი ფილმი – „ნათლიმამა“, „ერთხელ ამერიკაში“, „მონპარნასი 19“, „ნატვრის ხე“, „გიორგობისთვე“;
7. საყვარელი მსახიობი მამაკაცი – სერგო ზაქარიაძე, მარლონ ბრანდო, ჟერარ ფილიპი, ალ პაჩინო;
8. საყვარელი მსახიობი ქალი – ვერიკო ანჯაფარიძე, ანუკ ემე, მიშელ პფაიფერი;
9. საყვარელი კომპოზიტორი – ბეთჰოვენი, ვაგნერი, რევაზ ლაღიძე;
10. საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები – ვაგნერის ოპერა „ღმერთების დაღუპვა“, ბეთჰოვენის სიმფონიები;
11. საყვარელი ხალხური სიმღერა – მრავალჟამიერი;
12. უდიდესი პოლიტიკოსი – დავით აღმაშენებელი, ნაპოლეონი, სტალინი;
13. ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება – ცოტნე დადიანი;
14. საყვარელი ქალაქი – თბილისი, ბათუმი, ვენეცია;
15. სპორტის საყვარელი სახეობა – ფეხბურთი;
16. ზიზღი – ღალატი – ხატვა;
17. საკუთარი ღირსება – მიზანდასახულობა;
18. საკუთარი ნაკლი – მელანქოლია;
19. ყველაზე დიდი წარმატება – ერთი მსახიობის თეატრში ჩემს მიერ განხორციელებული ორი სპექტაკლი – ქართველი პოეტების ლექსების მიხედვით – „და სიმღერით ვკვდები“ და გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების მიხედვით „ზღვა ძალიან ღელავს“;
20. ცხოვრების ყველაზე დიდი კურიოზი – ვფიქრობ, ადამიანის ცხოვრება მთლიანად კურიოზია დაბადებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, განსაკუთრებით ჩვენს სინამდვილეში;
21. ყველაზე მიმზიდველი ქალი – ჩემი მეუღლე;
22. ყველაზე სიმპათიური მამაკაცი – ალენ დელონი;
23. ოჯახის შემადგენლობა – მე და ჩემი მეუღლე;
24. მეგობართა წრე – ანსამბლი „ქართული ხმები“, კოტე მახარაძე და სოფიკო ჭიაურელი, ამ ხალთან ურთიერთობისას მუდამ ლაღად ვგრძნობ თავს:
25. რას აფასებთ ადამიანში? – გულწრფელობას, მიზანდასახულობას;
26. საყვარელი კულინარული ნაწარმი – თევზი, საცივი, მწვადი, მჭადი და ყველი;
27. საყვარელი სასმელი – ღვინო, ლუდი;
28. საყვარელი ცხოველი – ძაღლი, ცხენი;
29. საუკეთესო მოგონება – ბავშვობის მოგონებები, დაკავშირებული ჩემს სოფელ სორტასთან (სენაკის რაიონი) და თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდი;
30. სანუკვარი ოცნება – საქართველო იყოს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ქვეყანა – მშვიდი და მოწესრიგებული, მისთვის სახასიათო ეროვნული ღირსებით; ქვეყანა სადაც კანონი მართლაც უმაღლესი კატეგორია იქნება!

რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი.

გვწერენ

## ორივე მხარე თანასწორი უნდა იყოს

ვართ ძმები. ვმუშაობდით მძღოლებად №3 ავტოსატრანსპორტო საწარმოში, რომლის ბაზაზე 1995 წელს ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „ტრაქტები“. კოლექტივს უფლება მიეცა შეეძინა აქციათა საკონტროლო პაკეტი – 51 პროცენტი. თითოეულ მუშაკს შეეძლო აქციათა სასურველი რაოდენობის შეძენა, თუკი მათზე პრეტენზია არ ექნებოდა კოლექტივის სხვა წევრებს. ყოველგვარი წესის დაცვითა და ქონების მართვის სამინისტროს მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირის, საზოგადოების დირექტორ ჯ. ციცხვაიას თანხმობით, ძმებმა ცალცალკე შევიძინეთ აქციათა 17-17 პროცენტი. ამავე დროს ჩვენმა მამამ – ზურაბ ნესტორის ძე ყვავაძემ აუქციონზე შეისყიდა აქციათა 24 პროცენტი. ამან კოლექტივის წევრთა უკმაყოფილება გამოიწვია. კრებაზე დაადგინეს, რომ ჩვენს მიერ შეძენილი აქციები ყველა მათგანზე გადანაწილებულიყო.

ეს გადაწყვეტილება გავასაჩივრეთ კრწანისის რაიონის სასამართლოში, რომელმაც ჩვენი მოთხოვნა სრულიად კანონიერად დააკმაყოფილა 1996 წლის 16 დეკემბერს. მერე გადადიოდა ეს საქმე რაიონიდან ქალაქის სასამართლოში, ბრუნდებოდა უკან. ბოლოს, 1997 წლის 21 ნოემბერს უზენაეს სასამართლოს გადაეცა.

ეს საქმე კარგა ხანს უმოძრაოდ იდო. მერე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ე. ხრუსტალს. გავიდა ორ თვეზე მეტი. ვერანაირი ცნობის მიღება ვერ შევძელით. მოსამართლესთან მიღებაზე უარს გვეუბნებიან. ტელეფონითაც პასუხს არ გვცემენ. ამასობაში ჩვენი მოწინააღმდეგე მხარე არ მალავს, რომ კვლავ ზემოქმედებას მოახდენს სასამართლოზე.

სადავო აქციების შესყიდვისას ჩვენ გადავიხადეთ 102.000 დოლარი. ჩვენ კოლექტივს არ ვუპირისპირდებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, ორივე მხარე თანასწორი უნდა იყოს.

იქნებ, ამ წერილით მაინც მივაწვდინოთ ხმა სასამართლო ორგანოებს, რათა საქმე განიხილონ დროულად და ობიექტურად. ჩვენ ამის იმედს ვიტოვებთ!

მერაბ და ზურაბ ყვავაძეები.

ხსოვნა

## თემურ ჯაფარიძე



მოულოდნელად წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ქართველი კაცი, მრავალგზის პრიზიორი და ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში, რესპუბლიკის ნაკრების ყოფილი წევრი **თემურ გივის ძე ჯაფარიძე.** წავიდა და დაგვიტოვა გაუნელებელი ტკივილი.

თემურ ჯაფარიძე დაიბადა 1959 წლის 27 იანვარს მესტიაში. მამის ხელშეწყობით ბავშვობიდანვე ეზიარა სამთო-სათხილამურო სპორტს. ეს არც უნდა გვიკვირდეს: მამამისმა – გივი ჯაფარიძემ რამდენიმე ათეული ჩემპიონი გაუზარდა საქართველოს. თემურმა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე განაგრძო. ინსტიტუტი დაამთავრა და მშენებელ ინჟინრად დაიწყო მუშაობა თბილისის ჩუღურეთის რაიონის სამშენებლო ტრესტში, სადაც დიდი ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა.

ბოლო წლებში მუშაობდა გარდაბნის რაიონში.

თემურმა დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბეთქილი“, რომლის თაოსნობით ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

თემურ ჯაფარიძე ერის სულიერი გაჯანსაღებისთვისაც ზრუნავდა – მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა გარდაბნის რაიონის ეკლესიის მშენებლობის საქმეში.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, პიროვნება და მამულიშვილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

მეგობრები.

მეუღლე თინა წერედიანი, შვილები ანა, გვანცა, დედა ფაცია დოლიძე, მამა გივი ჯაფარიძე, ბებია ნატალია ჯაფარიძე, ძმები თამაზი, ბორია, რძლები ნინო გიორგაძე, ეკა გომთელიანი, ძმისწულები, ბიძები რეზო ჯაფარიძე, ანდრო ქართველიშვილი ოჯახებით, სიდედრი ფოჩი წერედიანი, ცოლისძმები, ცოლისდები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ გივის ძე ჯაფარიძე

პანაშვიდი 3, 4, II, 3 სთ. გამოსვენება 5, II, 2 სთ., ფიროსმანის ქ. 18

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივნის, ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაჩინო მოღვაწისა და ორგანიზატორის, ცნობილი მთარგმნელის

ლეილა ერაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და ჟურნალ-გაზეთების გაერთიანებული პროფკავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჟურნალისტი და მწერალი, ცნობილი მთარგმნელი, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი

ლეილა ერაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ვენერა, შვილები მალხაზი, თემური, მამუკა, დები ციალა, ცისანა, ციური, ციცო, რძლები ქეთევანი, დარეჯანი, სიძე ჯემალ ჩემია, შვილიშვილები, დისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი მაკარის ძე სურმავა

პანაშვიდი თბილისში 2, 3, II გადასვენება 4, II, დაკრძალვა 7, II, მარტვილის რ-ნი, სოფ. ბომბოთში.

საქართველოს კულტურის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს კულტურის მინისტრის მოადგილეს რევაზ ამაშუკელს

სიდედრის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს განათლების სამინისტრო თანაუგრძნობს ვახტანგ როდონაიას და მის ოჯახს დედის

ქსენია კაკაბაძე-როდონაიას

გარდაცვალების გამო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და ფიზიკის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა გეოფიზიკის კათედრის ასისტენტი

სერგოლ სევერიანეს ძე მესხი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გახსენება

## გოჩა ასანიძე



ორმოცი დღე გავიდა ჩვენო თვალისჩინო, რომ შენ აღარ ჰყავხარ დედას. ჩვენო სიამაყევ, როგორ გაგვაუბედურე. ჯერ ხომ 31 წლის იყავი. უდროოდ დააობლე შენი საყვარელი ცოლშვილი, შენი დები, სიძე. ჩვენო ხატივით საფიცარო **გოჩა,** მუდამ სიკეთის გამკეთებელო, არადა სწორედ ამ ცოდვილ ქვეყანაში იყავი საჭირო გაჭირვებულთა და მეგობართა შემწედ, სანუგეშოდ. ჩვენ რითი ვინუგეშოთ თავი, რა ქნას შენმა ცოლმა ნანამ, შვილებმა მარიმ, ათუნამ და პატარა ბონდომ, რომელსაც შენი მამის სახელი ჰქვია. შენი საცოდავი ბაია ისედაც დიდად დამწუხრებული იყო, თავიდან განუახლე ყველაფერი, ახლა შენი შვილების დამრდაზე ფიქრობს. ასევე შენი და ბელა და მისი მეუღლე გია შენი ცოლშვილის გვერდით არიან და რითაც შეუძლიათ არ აკლებენ ყურადღებას. შვილო, ჩვენ, მე და მამამენი მალე მოგვაშორე ამ სატანჯველს, ძნელია ამის გაძლება.

ნათელში იყოს შენი სული ჩვენო სიყვარულო. შენ ჩვენთან ხარ და სანამ მიწაზე დავაბიჯებთ, ვერასოდეს გაქცევთ წარსულად. ორმოცი დღე გავიდა, შვილო, მაგრამ დრო გადის, განა დარდი ქრება? განა დედას შეუძლია შენი დავიწყება. ყოველ ზარის ხმაზე კართან გელოდება და ეს მოლოდინი დიდხანს გაგრძელდება.

შენი გაუბედურებული დედ-მამა, ცოლი, შვილები, დები, სიძე.

## მერაბ ოსიძე



ჩვენო საყვარელო **მერაბ!** 31 იანვარი შენი დაბადების დღეა. წელს პირველად შევხვდით უშენოდ. უშენობა მუდამ სატანჯველი და აუტანელი იქნება შენი ცოლ-შვილისათვის. გელოდება ყოველდღე შენი პატარა ბუბა, რომელიც მოითხოვს მამის ალერსს. მერაბ, შენს უბედურებას მეორე დიდი უბედურება მოჰყვა. შენი ოჯახის უსაყვარლესი ადამიანი, შენი ცოლისძმა გოჩაც უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, რომელმაც შენს სახელზე მერევში დადგა დიდი ჯვარი და ამით გამოხატა თქვენი მარადიული სიყვარული. ძალიან მწარეა შენი უდროოდ წასვლა ამქვეყნიდან, განუსაზღვრელია ახალგაზრდა ქალის უდროოდ გაუბედურება. ჩვენ, მე და გია, როგორც შეგვეძლება სულ გვერდში ვედგებით შენს ცოლ-შვილს.

ღმერთს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი სული მარადიულ სასუფეველში.

შენი მოსიყვარულე ცოლისდა ბელა და სიძე გია.



მეუღლე ნათელა, და შურა, ძმა კაკო, რძალი სვეტა, ძმისწულები გოჩა, მაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი (მიხეილ) ლუკას ძე კოხია

პანაშვიდი 3, 4 II, 3 სთ. გამოსვენება 5, II., 2 სთ. ცაგარლის 72.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, თბილისის სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის №1 კათედრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ პალიკო კინტრაიას გარდაეცვალა დედა

ოლია ვასილის ასული ხურცილავა-კინტრაია

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ივარავენ

## ხელი „თელასმაც“ გამოიღო

იანვარში მათ მიერ მოწყობილმა რეიდებმა დარღვევის მრავალი ფაქტი გამოავლინეს.

ტაშკენტის ქუჩაზე №63/2-ში მდებარე სასტუმრო „ხედი“ „თელასის“ ტექნიკური პირობების გარეშე უნებართვოდ იყო ქსელზე მიერთებული, მოხმარებული ელექტროენერგია კი რასაკვირველია არსად არ აღირიცხებოდა.

ელექტროქსელზე უნებართვოდ მიერთებული აღმოჩნდა, აგრეთვე, ინდივიდუალური ბინათმშენებლობები ფალიაშვილისა და საირმის ქუჩაზე, წითელი ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე და რუსთაველის გამზირზე, რომლებიც ყოველგვარი აღრიცხვისა და ნებართვის გარეშე მოიხმარდნენ ელექტროენერგიას.

აღრიცხვიანობის კვანძში დარღვევა აღმოაჩინდათ და ელექტროენერგიას იტაცებდნენ გამსახურდიას პროსპექტზე მდებარე სახაზინო საწარმო „უნივერსიტეტში“ და თბილისის კლინიკურ საავადმყოფოში, რისთვისაც ამ უკანასკნელს ჯარიმის სახით 6616 ლარი დაერიცხა. ბახტრიონის ქუჩაზე №22-ში მდებარე ინსტრუმენტულ ქარხანაზე უნებართვოდ მიერთებული აღმოჩნდა რამდენიმე ქვეაბონენტი, რომელნიც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანგარიშსწორებას „თელასის“ ნაცვლად ქარხნის ბუღალტერიასთან აწარმოებდნენ.

მრიცხველის პრეტენზია გაყალბებული იყო ლარსის შესახვევში ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაზე.

აღნიშნულ დარღვევებზე „თელასმა“ სათანადო რეაგირება მოახდინა. ჩახსნა ელექტროქსელზე უნებართვოდ მიერთებული ობიექტები, მათ ჯარიმის სახით დაერიცხათ აღურიცხავი კილოვატსაათები.

სახელმწიფო ბრჯენების გაყალბებასთან დაკავშირებით, „თელასის“ ტექნიკური ლაბორატორიის დასკვნის მიღებისთანავე, ობიექტებზე, რომელთაც არ დარიცხვიათ აღურიცხავი კილოვატსაათებისათვის ფულადი ჯარიმები, დაუყოვნებლივ გაიცემა საჯარიმო სანქციები.

„თელასი“ კვლავ აგრძელებს რეიდებს და აფრთხილებს ყველას, რომელნიც, დატაცების მიზნით, არღვევენ ელექტროენერგიის მოხმარების წესებს, ალტერნატიული ქმედება, თორემ მათ მიმართ განხორციელდება მკაცრი ღონისძიებები.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.